საქართ. ... საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

ოთხშაბათი, 13 იანვარი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 9 (1464)

დღიური

- განიარაღების კონფერენცია შესაძლებელია არც შესდგეს.
- არგენტინის მთავრობამ უარი სთქვა მეფის ყოფილი ელჩის შტეინის ცნობაზე.
- ამხ. ჩიჩერინმა ლენინგრადში მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე.
- გერმანიაში ძლიერდება მოძრაობა ყოფ. მეფის გვარეულობის ქონების უსასყიდლოთ ჩამორთმევის სასარგებლოდ.

დღეს, 13 იანვარს საღამოს 6 საათზე
შესდგება
საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი
სხდომა

სახკომსაბჭოს მდივანი—ტ. ლომიძე

ლონდონის ანტისაბჭოთა პოლიტიკა

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულმა ამხ. რაკოვსკიმ, სხვათა შორის, განაცხადა: „ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკამ საგრძნობი გავლენა მოახდინა დანარჩენ ევროპიულ ქვეყნების პოლიტიკაზე. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში (1925 წ.) ვგრძნობდით პოლიტიკაშიაც და ეკონომიკაშიაც ლონდონის ანტისაბჭოთა პოლიტიკას“.

ჩემბერლენი დამდგარ წელშიაც განაგრძობს ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის შექმნის ცდას. ავიღოთ ე. წ. განიარაღების კონფერენცია. ეხლა საბოლოოდ გამორკვეულია, წინადაც ცხადი იყო ეს, რომ ამ კონფერენციის ინიციატორებს განზრახვა ჰქონდათ მისი გამოყენებისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირი ვერ გაგზავნიდა თავის წარმომადგენელს ჟენევაში, (სადაც უნდა გაიხსნას კონფერენცია), სანამ შვეიცარიის მთავრობა არ დაგვაკმაყოფილებდა იმ უმზგავსო საქციელის გამო, რომელიც ჩაიდინა მან და მისმა სასამართლომ ამხ. ვოროვსკის მკვლელობასთან დაკავშირებით. ხოლო ერთა ლიგის საბჭო, რომლის ხელმძღვანელია ინგლისი, ამბობს, რომ მას „არ შეუძლია მოითხოვოს, რათა შვეიცარიის მთავრობამ თავისთავზე მიიღოს პასუხისმგებლობა ვოროვსკის მკვლელობისათვის, რასაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვსო“. ამგვარად, ერთა ლიგის საბჭო სრულ სოლიდარობას აცხადებს შვეიცარიის მთავრობას და სასამართლოს მოქმედებასთან ვოროვსკის მკვლელობის საქმეში, ამართლებს მას. ამავე დროს კონფერენციის სხვა ქვეყანაში გადატანის საკითხს არც კი იხილავენ. თუ იგი შესდგებოდა შვეიცარიის გარედ, ჩვენ მასში მონაწილეობას მივიღებდით, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნებოდა „განიარაღების მოტრფიალეთათვის“ ერთა ლიგის და მასში გაბატონებულ ინგლისის განზრახვა აშკარაა: მათ სურთ ჩვენ გამოგვიყვანონ განიარაღების მოწინააღმდეგეთ, მშვიდობიანობის განმტკიცების მოწინააღმდეგეთ, რომლისათვისაც ისინი ვითომ ილწვიან. მაგრამ ასეთი ფანდი საკმაოდ მოძველებულია, რომ მან ვინმე შეცდომაში შეიყვანოს. ევროპის მშრომელ მასამ უკვე იცის, თუ ვინ არის ნამდვილად მშვიდობიანობის მტერი და ვინ იცავს მას მედგრად. ჩვენ ეხლაც მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა კონფერენციაზე, თუ ის გაიმართება სადმე სხვაგან, და არა შვეიცარიაში. თუ ერთა ლიგის საბჭო მაინც ჟენევას ჩააციებდება, ამით იგი მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ მას განიარაღების საკითხი კი არ აინტერესებს, არამედ ერთხელ კიდევ გალაშქრება საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლად ჩვენი მონაწილეობისა კონფერენციაში, იგი მოსალოდნელია გადაიდოს, ვინაიდან კონფერენციაზე განსახილველ საკითხების გარშემო, როგორც დღევანდელი დეპეშა გადმოგვცემს, თავი იჩინა ღრმა წინააღმდეგობამ თვით მის ინიციატორთა შორის.

ინგლისის ოინები ამით არ განისაზღვრება. იგი ცდილობს შეაკავშიროს ყველა სახელმწიფოები, სადაც გაუვა, იმ მიზნით, რომ გამოიყენოს ჩვენს წინააღმდეგ. მკითხველი უკვე იცნობს ლოკარნოს ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთი მიზანია გერმანიის ჩათრევა ანტი-საბჭოთა კოალიციაში. ეხლა უკვე „ბალკანეთის ლოკარნოზე“ ლაპარაკობენ. ინგლისი ურჩევს ბალკანეთის სახელმწიფოებს დასდონ საგარანტიო ხელშეკრულება. კამპანია დაიწყო ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომელიც თითქო საფრთხეს უმზადებდეს ბალკანეთის ქვეყნების უშიშროებას.

ამავე დროს პოლონეთი ბოლო დროს მერყეობას იჩენს ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენაში, რაც უეჭველად იმავე ინგლისის გავლენას მიეწერება. პოლონეთი, როგორც ვიცით, კატასტროფიულ მდგომარეობას განიცდის. ეკონომიურ-ფინანსიურმა კრიზისმა იქ უკიდურეს წერტილს მიაღწია. ინგლისი ცდილობს ამ კრიზისის გამოყენებას, რომ დაეუფლოს პოლონეთს ეკონომიურად და პოლიტიკურად და თავისი იმპერიალიზმის ბრმა იარაღად გაიხადოს.

ინგლისი ყოველ ზომას ხმარობს, რათა შეაფერხოს საფრანგეთის ჩვენთან დაახლოვება, რომლის ნიშნებიც გვაქვს უკანასკნელ ხანებში, ვინაიდან ცხადია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება ლახვარის ჩაცემა იქნებოდა ინგლისის იმპერიალისტების ზრახვებისათვის ჩვენს წინააღმდეგ.

მაგრამ ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკა ეხლაც სასტიკად მარცხდება, როგორც წინედ. თვით ინგლისში სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა მეტად გართულებულია და ეს ხელს უბორკავს მას. გარდა ამისა, დომინიონები [illegible] სახლებული კოლონიები) სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას იჩენენ ინგლისისადმი და თანდათან შორდებიან მას. ისინი კერძოდ უარყოფითად უყურებენ ლოკარნოს ხელშეკრულებას. ამგვარად, იწყება ინგლისის იმპერიის დაშლის პროცესი. ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ აღმოსავლეთის კოლონიებზე, სადაც ანტიბრიტანული მოძრაობა ფართოვდება და ძლიერდება. ყველაფერი ეს გასაქანს არ აძლევს ჩემბერლენებს და მათ იმპერიალისტურ პოლიტიკას რეალურ ძალას აცლის.

და ჩვენ ვხედავთ, რომ წინააღმდეგ ინგლისის ცდებისა, ჩვენ გვიახლოვდებიან სხვადასხვა ქვეყნები. თვით მისი პოლიტიკა აქეთკენ ეწევა ზოგიერთ მათგანს. ამ მხრივ კერძოდ აღსანიშნავია ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულება, გარდა ამისა, როგორც ამხ. რაკოვსკი ამბობს, უახლოეს დროში ჩვენ დავამყარებთ ნორმალურ ურთიერთობას ჩეხოსლოვაკიასა და სამხრეთ-სლავიასთან. ამნაირად, „ბალკანეთის ლოკარნო“-ს იდეა, რამდენადაც მისი მიზანია ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის შექმნა, მარცხდება. მოსალოდნელია დამოკიდებულების აღდგენა ბელგიასთან. საფრანგეთიც არ აპირობს ჩემბერლენის გზით სიარულს და იქ იქმნება ხელსაყრელი ნიადაგი მოლაპარაკების დაწყებისათვის. ჩვენთან დამოკიდებულების საკითხში გარდატეხა ხდება ამერიკაშიც, მიუხედავად მისი ზოგიერთი წრეების ჯიუტობისა.

საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენთვის საერთოდ ხელსაყრელად ვითარდება. ჩვენი შინაგანი სიმტკიცე, ჩვენი სამეურნეო აღორძინება, მსოფლიო მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდა, ფართო განმანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში, თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავება—უტყუარი საწინდარია საბჭოთა კავშირის პოზიციების განმტკიცებისა საერთაშორისო ფრონტზე.

საჭიროა მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მკითხველი იპოვნიდა ცნობას 1925-26 წლისათვის საქართველოს ადგილობრივ ბიუჯეტის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შესახებ. ბიუჯეტის საკითხი და კერძოთ ადგილობრივი ბიუჯეტი ახალი საკითხი აღარაა ჩვენთვის. ამ სიტყვას უკვე საკმაოთ შეეჩვია საბჭოთა მუშაკის ყური და ეს უთუოდ იმას მაჩვენებელია, რომ ჩვენ არა თუ ვიზრდებით ნივთიერათ და კულტურულათ, არამედ ამ უდიდეს ზრდას გარკვეულ მიმართულებით წარვმართავთ და ერთგვარ გეგმას უთანხმებთ.

ურყევ ბიუჯეტის შექმნის შესაძლებლობა ჩვენ მივიღეთ მას შემდეგ, რაც განმტკიცდა საბჭოთა მანეთის კურსი და ფინანსიური ოპერაციები ერთგვარ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ამას შემდეგ ორ წელზე მეტმა განვლო და ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომელსაც საბიუჯეტო დისციპლინის მტკიცე დაცვა ეწოდება. ბევრ შემთხვევაში, პრაქტიკულ მუშაობის დროს, წინასწარ შემუშავებული გასავალ-შემოსავალის გეგმა მხოლოდ ქაღალდზე რჩება და საბიუჯეტო წლის დასასრულს (ზოგჯერ კი დასასრულამდე ბევრათ ადრე) აშკარა ხდება, რომ თავი და ბოლო ერთმანეთს არ ეთანხმება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დისციპლინის დარღვევა თითქმის ყოველთვის გასავალის ხარჯზე ხდება, რაც გვაყენებს დეფიციტიან ბიუჯეტის ფაქტის წინაშე. აქედან გამოწვეულია მთელი რიგი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელიც წინ ეღობება საბჭოთა გეგმაშეზომილ აღმშენებლობას და რომელიც ერთგვარ უკმაყოფილებას ჰბადებს მოსახლეობაში.

ბოლოს და ბოლოს ყველასათვის აშკარაა, რომ ადგილობრივ ორგანოების მოღვაწეობის წარმატებით წარმოება უმთავრესად დამოკიდებულია ამა თუ იმ დაწესებულების მატერიალურ უზრუნველყოფაზე. მიუხედავათ ამისა, ბევრ შემთხვევაში ჩვენი ორგანოები ანგარიშს არ უწევენ არსებულ რეალურ შესაძლებლობას და საეჭვო იმედებით გატაცებული ხელს კიდებენ ისეთ საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებული არაა ბიუჯეტით.

ზოგჯერ ეს შეიძლება იმდენათ ბიუჯეტისათვის ანგარიშგაუწევლობით არაა გამოწვეული, რამდენადაც იმ ფართე მოთხოვნილებით, რომელსაც ადგილი აქვს თითქმის ყველა ორგანოების მუშაობის დარგში. ამხანაგები აქ შესაფერის სიმტკიცეს ვერ იჩენენ და კეთილი სურვილით გატაცებულნი ცდილობენ ყველა ან უმეტეს მოთხოვნილების ერთბაშათ დაკმაყოფილებას.

შედეგათ ამას მოსდევს მთელ რიგ დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა მთელი თვეობით უჯამაგიროთ სხდომა, უკვე აყვანილ შტატების შემცირება, დაწყებულ და თითქმის სანახევროდ მოთავებულ საქმეების შეჩერება და სხვა.

გარდა ამისა ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტიანობა თავის მავნე გავლენას ახდენს რესპუბლიკის ბიუჯეტის სიმტკიცეზე და ამრიგად არევ-დარევა შეაქვს საერთო ხარჯთაღრიცხვაში. ამითაა გამოწვეული სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომელიც დაუშვებლათ სცნობს მაზრაღმასკომების მიერ ხარჯების გადიდებას ან დამატებითი ხარჯთაღრიცხვის შედგენას, თუ ამისათვის წინასწარ არ იქნება გათვალისწინებული შემოსავლის რეალური წყაროები.

ამავე დადგენილების თანახმად დაუშვებელია ბიუჯეტით ერთხელვე მიღებულ ნორმის ყოველგვარი გადიდება, რაც იწვევს მაზრების დავალიანებას. ამ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა თვით მაზრაღმასკომებს ეკისრება.

ამრიგათ საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ შევიგნოთ საბიუჯეტო დისციპლინის სასტიკად დაცვის აუცილებლობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მტკიცე ბიუჯეტი ჩვენი ეკონომიური წინსვლელობის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს. ჭამა მადაზე ჰკიდიაო, ამბობს ძველი თქმულება.

აღმშენებლობა და მოღვაწეობა—ნივთიერ შესაძლებლობაზე ჰკიდია, ასე უნდა იქნას გადაკეთებული ეს თქმულება ჩვენს ზოგიერთ მეტისმეტად ერთგულ დაწესებულებებისათვის, რომლებიც თავის მოღვაწეობაში უფრო კეთილი სურვილით ხელმძღვანელობენ, ვიდრე საბიუჯეტო დისციპლინის მტკიცეთ გატარების აუცილებლობით.

უცხოეთის პრესა

ავსტრიის მუშები სოციალ-დემოკრატიულ ბელადების წინააღმდეგ

დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან არის ამჟამათ ერთი იმ საკითხთაგანი, რომელიც თიშავს მუშა სოციალ-დემოკრატებს მათი ბელადებისაგან. ჩვენ უკვე გვქონდა [illegible] გორ აწარმოებენ მუშა-სოციალ დემოკრატები კამპანიას საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის გარშემო. სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა და პროფკავშირების ცენტრმა ყოველი საშუალება იხმარეს, რომ ხელი შეეშალათ მუშებისათვის ეწარმოებიათ ეს კამპანია. ამან კიდევ უფრო გაამწვავა დამოკიდებულება მათ შორის. მუშებმა ამოირჩიეს „რუსეთის კომიტეტი“ (საბჭოთა რუსეთში დელეგაციის გაგზავნის მოსამზადებელი კომიტეტი), რომელიც შესდგება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი მუშა-წევრებისაგან და შეუდგენ ფართო მუშაობას. აგროვებენ გზის სახარჯო ფულს თვით მუშებში და მოწოდებით მიმართეს ყველა საწარმოო დაწესებულებებს დელეგატების ასარჩევად. პარტიისა და პროფკავშირების ბელადებმა რომ ვერაფერი გააწყვეს, თვითონ დაიწყეს „ზევიდან“ დელეგატების არჩევა, ისეთი დელეგატების, რომლებიც მათთვის სასიამოვნო და მისაღები იყვნენ. „რუსეთის კომიტეტი“ (ე. ი. ფაქტიურათ ისევ მუშა სოციალ-დემოკრატები) გამოვიდა ამის წინააღმდეგ და მიმართა მოწოდებით დაწესებულებებს, სადაც ამბობს, რომ მხოლოდ ამ დაწესებულებებში და თვით მუშების მიერ არჩეული დელეგატები იქნებიან გაგზავნილი საბჭოთა კავშირში. დელეგაციის გაგზავნის კამპანია უპარტიო და მასიურ სოც. დემოკრატიულ მუშებიდან მოედო თვით სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და მათ ხელმძღვანელ წრეებს. თვით ორგანიზაციებში შეიქნა დარაზმვა ორი ხაზით: ერთნი დელეგაციის გაგზავნის წინააღმდეგნი, მეორენი—მომხრენი გაჩაღდა ბრძოლა. ერთნი (ბელადები და პარტიული ბიუროკრატია) აძაგებენ საბჭოებს, მეორენი—მუშა სოციალ-დემოკრატები გამოდიან ამ საბჭოების ქება-დიდებით და მათი დაცვით. კამათმა მიიღო ფართო ხასიათი და ჩაითრია თითქმის მთელი სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „დი როტე ფანე“ („წითელი დროშა“) აქვეყნებს თავის პირველი იანვრის ნომერში ბურგენლანდის სოც. დემოკრატიული ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკების კონფერენციის ანგარიშს, რომელიც არ მოათავსა სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა ორგანომ „არბაიტერ ცაიტუნგ“-მა. მოგვყავს ამ ოქმებიდან რამოდენიმე სიტყვის ნაწყვეტები. ერთი ორატორი ამბობს:

„როდესაც რეაქციონური გაზეთები აგინებენ საბჭოთა რუსეთს—ეს გასაგებია. მაგრამ როდესაც იმავეს სჩადის „არბაიტერ ცაიტუნგი“—ეს სხვა საქმეა და უნდა ჩავუფიქრდეთ. მე ვერ დაგიმალავთ იმას, რაც მე მომივიდა ამას წინედ, როდესაც წავიკითხე „არბაიტერ ცაიტუნგში“ ასეთი გინება, მაგრამ დაგკუშმე გულმოსულმა ეს ჩვენი პარტიული გაზეთი და გადავსტყორცნე შორს. მე თვითონ ვიყავი რუსეთში, იქ ბრძოლაში მონაწილეობა მიმიღია, შენიშნულია ის, მინახავს ყოველივე და დღეს გამოდიან და გვეუბნებიან: არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი რუსეთის, მაგრამ შემოიღონ იქ დემოკრატია, გაანთავისუფლონ მენშევიკები, ხოლო ფაბრიკები დაუბრუნონ მეპატრონე-კაპიტალისტებსო. არა, ეს არ მოხდება და ამისთვის ტყუილ-უბრალოდ აგინებენ რუსეთს. საბჭოთა ქვეყანამ გაართვა თავი ნგრევას, მან გადალახა არეულ-დარეულობა და ბეჩავი ცხოვრება. **ხოლო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას იქ აღარ მისცემენ საშუალებას ატყუოს მთელი ხალხი**“.

გამოდის მეორე ორატორი და აცხადებს შემდეგს:

„მე უკვე იყო ლაპარაკი იმაზე თუ რასა და როგორ სწერს „არბაიტერ ცაიტუნგი“. ამხანაგებო! მეც არა ერთხელ შევუწუხივარ ისეთ აღშფოთებას, როგორზედაც ზემოთ ილაპარაკა ორატორმა. პატიოსანმა სოციალ-დემოკრატმა არ უნდა აგინოს საბჭოთა რუსეთი. მე ვაცხადებ აქ ამხანაგების გასაგონად, რომ რუსეთი არის ჩემთვის წმინდათა-წმინდა. („Russland steht für mish heiliqda“) მე არავის მივსცემ საშუალებას გამოვიდეს მის წინააღმდეგ, სისხლით დავიცავ მას.

„აქ ლაპარაკობდენ რუსეთის სოფლის მუშის მდგომარეობაზე. ამ მხრით ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის შორის ის განსხვავებაა, რომ იქ საბოტაჟს არ ეწევიან ამ მდგომარეობის გაუმჯობესების წინააღმდეგ. ამაში მე სოციალ-დემოკრატებს კი არ ვსდებ ბრალს, არამედ ბურჟუაზიულ პარტიებს. მაგრამ სოციალდემოკრატია იმაშია დამნაშავე, რომ მან ბურჟუაზიას ჩაუგდო ხელში ძალაუფლება, რათა მან ჩაიდინოს დანაშაულება ჩვენი სოფლის მუშების მიმართ. **ამაშია განსხვავება დემოკრატიისა და პროლეტარული დიქტატურის შორის**“.

გამოდის, რომ ორატორი ბრალს არ სდებს სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც დამნაშავეა. აქ რაღაც ერთი-ერთმანეთს არ ეთვისება. მაგრამ ჩვენ არ გვსურს კამათი ამის შესახებ. ცხადია, რომ ავტორს შეგნებული აქვს რა არის „დემოკრატია“ და რა მოაქვს მუშისთვის პროლეტარიატის დიქტატურას.

დავუგდოთ ყური მესამე ორატორს:

„მე სრულიად ვეთანხმები იმ ორატორებს, რომლებმაც ილაპარაკეს „არბაიტერ ცაიტუნგის“ შესახებ. პარტიულმა ყინჩიობამ და სიძულვილმა არ უნდა დაგვაბრმავოს ჩვენ და უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთში არსებობს ჭეშმარიტად მუშათა და გლეხთა მთავრობა. მჭიდრო კავშირი საბჭოთა რუსეთთან და მასთან ძმური დამოკიდებულების დამყარება ავსტრიელ მუშებისათვის ეკონომიურ აუცილებლობასაც შეადგენს, ეს ნიშნავს ცხოვრებისა და პურის უზრუნველყოფას ჩვენი უმუშევრებისათვის. მაგრამ მოუკიდია როდისმე სერიოზულათ ხელი ამ საქმისთვის სოციალ-დემოკრატიას? ტილლმა (სოციალ-დემოკრატების დეპუტატი) განაცხადა პარტიის საოლქო კონფერენციაზე, რომ უმუშევრობის საკითხი არის ინტერნაციონალური საკითხიო. (ხმები: ისეთი საკითხი, რომელიც შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან კავშირით!) ეს ცხადია. მაგრამ იმის მაგიერ, რომ ჩვენმა პარტიამ ეს კავშირი დაამყაროს და ძმური ურთიერთობა დაიჭიროს რუსეთის პროფკავშირებთან და რუსეთის მუშათა და გლეხთა მასებთან, ამის მაგიერ ჩვენ პარტიას უფრო აინტერესებს რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების ბედნიერება და იმეორებს მათ ტყუილებს ტერორიზმის შესახებ საბჭოთა რუსეთში, ჩვენი პარტია უფრო მაღლა აყენებს პარტიის ინტერესებს ავსტრიის მუშების ინტერესებზე“.

ასეთია მოკლე ნაწყვეტები იმ სიტყვებიდან, რომლებიც წარმოითქვა სოციალ-დემოკრატების კონფერენციაზე სოციალ-დემოკრატიული ბელადების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. გვგონია, რომ აქ ბევრი ახსნა-განმარტება საჭირო აღარ არის.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამხ. რაკოვსკი ჩვენი საგარეო მდგომარეობის შესახებ

ამერიკის პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ გარდატეხა მოხდა

საფრანგეთთან მოლაპარაკებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება

ახლო ხანში მოსალოდნელია შეთანხმება ჩეხო-სლოვაკიასთან, ბელგიასთან და სამხრეთ-სლავიასთან

მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის აგიტაცია საბჭ. კავშირის სასარგებლოთ გერმანიაში

ამხ. რაკოვსკის მოხსენება

ლენინგრადი, 12 იანვ. ლენინგრადში ახლად ჩამოსულმა რაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება ჩვენი ურთი-ერთობის შესახებ ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვა ქვეყნებთან.

დაასურათა რა ინგლისის საერთო მდგომარეობა, რაკოვსკი შეჩერდა საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთი-ერთობაზე და აღნიშნა, რომ ყოველივე იმედი, რომ ჩვენ მოვახერხებთ ინგლისთან შეთანხმებას, შემცდარი გამოდგა.

„ყოველივე ჩვენი ცდა—ამბობს რაკოვსკი,—გამომერკვია ლონდონში—თუ ძველი შეთანხმებების რომელი მუხლები არის მიუღებელი ინგლისის ეხლანდელი მთავრობისათვის, უშედეგო გამოდგა. იყო ისეთი მომენტები, როცა ჩვენ ვფიქრობდით, რომ მოსალოდნელია ურთი - ერთობის სრულებით შეწყვეტა“.

ლოკარნოს შესახებ რაკოვსკიმ განაცხადა: „ლოკარნოს ხელშეკრულება არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბლოკის შექმნას, მაგრამ იგი შეიცავს ასეთი ბლოკის შექმნის საფრთხეს. ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპის სხვა სახელმწიფოების პოლიტიკაზე. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში პოლიტიკაში და ეკონომიკაშიც ვგრძნობდით ლონდონის ანტისაბჭოთა პოლიტიკას. აი რატომ ვხედავთ 1925 წელში კრიზისს საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაში ევროპის სახელმწიფოებს მიმართ“.

1926 წელში, რაკოვსკის აზრით, იწყება უფრო ხელსაყრელი განწყობილება.

„ამერიკას პოლიტიკურად ძველი პოზიცია უჭირავს, მაგრამ კულიჯის სიტყვამ გამოიწვია ერთგვარი გარდატეხა ამერიკის პოლიტიკაში.

ჩვენ, ალბად, ახლო მომავალში დავამყარებთ ნორმალურ ურთი-ერთობას ჩეხო-სლოვაკიასთან და სამხრეთ-სლავიასთან. მოსალოდნელია აგრეთვე ნორმალური დამოკიდებულების დამყარება ბელგიასთან. ლოკარნოს შემდეგ საფრანგეთში შეიქმნა ხელსაყრელი ნიადაგი მოლაპარაკების დასაწყებად“.

დასასრულ რაკოვსკიმ დასკვნა გაუკეთა თავის მოხსენებას:

„წინად გზა მიდიოდა ლონდონიდან პარიზისკენ, ეხლა კი—პარიზიდან ლონდონისკენ“.

ხიგსის ნებართვით

ლონდონი, 11 იანვარი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომი გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ ათავსებს წერილებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს წერილები, როგორც იუწყებიან, წინასწარ განხილული და მოწონებული იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის ჯონსონ ხიგსის მიერ.

[illegible] პალური პრეს

[illegible] 11 იანვ. არგენტინის გარეშე საქმეთა სამინისტრომ და ბუენოს-აირესის სასამართლომ საბოლოოდ უარი სთქვეს არგენტინაში მეფის ყოფილი ელჩის შტეინის დიპლომატიური უფლებების ცნობაზე. ხსენებული შტეინი აქამდის ხელს აწერდა ქაღალდებს, იძლეოდა პას[illegible]ოდა თითქოს 1917 წლიდან არაფერი არ შეცვლილიყოს.

ამ ცოტა ხნის წინად შტეინი შეეცადა დაესაკუთრებია მეფის რაღაც ყოფილი ქონება. ბუენოს-აირესში ეჭვი არ ეპარებათ, რომ სასამართლო უარყოფს შტეინის პრეტენზიებს ამ ქონებაზე.

ფსიხელი ხმები პოლონეთში

ვარშავა, 11 იანვარი. „გაზეტა ვარშავსკა“-ში ცნობილი პუბლიცისტი ნოვაჩინსკი პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსათ პილსუდსკის შესაძლებელი დანიშვნის გამო სწერს, რომ ეს სახიფათო იქნებოდა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით:

„პოლონეთის სოციალისტური პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ,—სწერს ნოვაჩინსკი,—აღიარა საბჭოთა კავშირთან უფრო მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა.

1925 წ. სავაჭრო ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის საგრძნობლად გაუმჯობესდა და საბჭოთა კავშირმა, რომელსაც წინათ პოლონეთის ექსპორტში მეცამეტე ადგილი ეჭირა, ახლა მეექვსე ადგილი დაიკავა. დადგა დრო, როცა იურიდიული საძირკველი უნდა ჩაეყაროთ ჩვენს ურთიერთობას საბჭ. კავშირთან.

მაგრამ, მთავრობის უკანასკნელი კრიზისისა და სცენაზე პილსუდსკის გამოჩენის შემდეგ, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გაუარესდა. ამავე დროს, მოსკოვში ვამჩნევთ ზოგიერთ, პოლონეთისათვის არახელსაყრელ ნიშნებს. „რაბოჩაია გაზეტამ“ ანკეტა ჩაატარა პოლონეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების საკითხში, წერილში, რომელიც ჯამს უკეთებს ანკეტას, ნათქვამია, რომ საფუძვლად ყოველგვარ მოლაპარაკებას და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას პოლონეთთან, უნდა დაედვას რიგის ხელშეკრულების გადასინჯვა. უკრაინულ და ბელორუსულ მოსახლეობის განთავისუფლება ხელოვნურად გაყვანილ საზღვრების მძიმე შედეგებისაგან და ახალი საზღვრის დაწესება მდ. ბუგის გასწვრივ.

ვარშავაში ჩიჩერინის ჩასვლასთან დაკავშირებით ასეთივე აზრი გამოსთქვა გაზეთმა „ბერლინერ ტაგებლატ“ და ლოიდ ჯორჯმა.

საბჭოთა ორგანო „ომი და რევოლიუცია-მ“ აღნიშნა, რომ პილსუდსკი ინგლისის იარაღია, ასეთივე აზრი გამოსთქვა პარიზის გაზეთმა „ეერ“.

ყოველ შემთხვევაში,—განაგრძობს ნოვაჩინსკი,—პილსუდსკის დანიშვნა ერთ-ერთ უმთავრეს თანამდებობაზე არმიაში, გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას საბჭოთა კავშირში და გამოიწვევს პოლონეთისადმი უნდობლობის გაძლიერებას. ამას ჩვენ სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოთ“.

საბჭოთა კავშირის დას ცავათ

მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის პროპაგანდა

ბერლინი, 11 იანვ. გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდა, გადასწყვიტა ჩაატაროს ფართე კამპანია საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ იმპერიალისტების მტრული გეგმების ჩასაშლელად და პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

10 იანვარს ბერლინში შესდგა დელეგაციის პირველი მოხსენება მუშა-ახალგაზრდობის ორგანიზაციების [illegible]მელსაც დაესწრო 250 კაცი.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს გერმანიის პროფკავშირთა საბჭოს მოიწვიოს საგანგებო კონგრესი, რომელზედაც განხილული იქნება მუშათა ბრძოლის ყველა მორიგი საკითხები

უთანხმოება კონსერვატორებს შორის

ლონდონი, 11 იანვ. ინგლისის პრესის ცნობით, კონსერვატორებს შორის დიდ უთანხმოებას აქვს ადგილი. გარკვევით ლაპარაკობენ უთანხმოებაზე ერთი მხრით ბალდვინსა და მეორე მხრით ბირკენხედსა, ჩერჩილსა და ჩემბერლენს შორის.

შოტლანდიელ კონსერვატორების ორგანო „გლაზგ გერალდ“ სწერს, რომ უახლოეს ორ თვეში შესაძლებელია ადგილი დაურჩეს ბალდვინის გადაყენებას და კონსერვატორთა პარტიის გაყოფის ცდას. კრიზისი, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ნახშირის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ალბათ ხელს შეუწყობს ამ ცდას. ესეც რომ არ იყოს, გამოძებნილი იქნება სხვა რაიმე საბაბი.

ერთ-ერთმა შოტლანდიელმა კონსერვატორმა, პარლამენტის წევრმა განაცხადა, რომ ბალდვინის წინააღმდეგ მოძრაობა კონსერვატიულ პარტიის ძველ წევრებში, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჩემბერლენი, ბირკენხედი და ჩერჩილი, იზრდება, ახალგაზრდობა კი ყოველთვის მხარს უჭერდა და აწიც მხარს დაუჭერს ბალდვინსო.

სიკორსკის დანიშვნა

ვარშავა, 11 იანვ. ყოფილი სამხ. მინისტრი სიკორსკი დაინიშნა კორპუსის მეთაურათ და ლვოვის სამხედრო ოლქის უფროსათ, გენერალ მალჩევსკის მაგიერათ რომელიც ვარშავის სამხედრო ოლქის უფროსათ დაინიშნა მალჩევსკი პილსუდსკის მომხრეა.

გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი

მოითხოვენ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას

ბერლინი, 11 იანვ. გერმანიის „ადამიანთა უფლებების დამცველი ლიგის“ საზოგადო კრებამ დაადგინა მხარი დაუჭიროს ხალხის მოთხოვნილებას ყოფილ მეფის გვარეულობის ქონებათა აუნაზღაურებლად კონფისკაციის შესახებ.

ჰალლეს ოლქში — ბერზებურგში გაიმართა 16 დემონსტრაცია ამ ქონების აუნაზღაურებლად კონფისკაციის სასარგებლოთ.

პლებისციტის ჩამტარებელ კომიტეტში შემოვიდა 5000 წერილობითი განცხადება, რომელიც მოითხოვს ყოფილ მეფის გვარეულობის ქონების კონფისკაციას აუნაზღაურებლად.

სოციალ - დემოკრატებმა აღიარეს თავისი დანაშაული

ბერლინი, 11 იანვ. კომპარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგი ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების აუნაზღაურებლად კონფისკაციის შესახებ დიდი წარმატებით სარგებლობს. ეს აიძულებს სოციალ-დემოკრატიას მიჩქმალოს ის ფაქტი, რომ ისინი პირველად მხარს უჭერდენ ყოფილ სამეფო გვარეულობის ინტერესებს.

რესპუბლიკანელების კრებაზე ფრანკფურტში რეიხსტაგის პრეზიდენტმა სოც.-დემ. ლებემ აღიარა, რომ რევოლიუციამ „მძიმე დანაშაული ჩაიდინა ყოფილ მეფის საგვარეულოს საკითხში“. ლებემ დასძინა, რომ ყოფილ სამეფო გვარეულობის მთელი ქონება წარმოადგენს „ტანჯულ ხალხის საკუთრებას“ და რეიხსტაგმა მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებათა უნდა მოამზადოს საყოველთაო კენჭის ყრა ამ საკითხზე.

ლებემ განაცხადა, რომ ყოფილ სამეფო გვარეულობის წარმომადგენლებს, რომლებსაც არ აქვთ ქონება საზღვარ-გარეთ, უნდა დაენიშნოს მუდმივი რენტა.

გლეხთა კავშირის მოთხოვნილება

ბერლინი, 11 იანვ. ბავარიის გლეხთა კავშირის ოფიციალური ორგანო „ლანდაუერ ფოლკსბლატი“ მოითხოვს „პარაზიტების მიერ ნაძარცვ ქონების კონფისკაციას“.

აღმოსავლეთი

იბნ-საუდი-გეჯასის მეფე

ლონდონი, 11 იანვ. ვახაბატების მეთაური იბნ-საუდი, რომელმაც 1925 წ. დეკემბერში დაიკავა გეჯასის დედა-ქალაქი, ოფიციალურად გამოცხადებულია გეჯასის მეფედ.

უკანასკნელი ცნობები

განიარაღების კონფერენციის გარშემო

კონფერენცია გადაიდო.

ბერლინი, 12 იანვ. განიარაღების კონფერენცია აპრილისათვის გადაიდო.

სოციალისტური კონგრესი

პარიზი, 12 იანვ. სოციალისტური კონგრესი დაიხურა. 1766 ხმით წინააღმდეგ 1331 კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია მთავრობაში მონაწილეობის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პარტია არ მიიღებს მონაწილეობას ისეთ მთავრობაში, რომელიც სხვა პარტიის მიერ არის შედგენილი, მაგრამ ის მზადაა იკისროს პირდაპირი პასუხისმგებლობა ხელისუფლებისთვის მარტომ, ან სხვა მემარცხენე ჯგუფების მხარის დაჭერით.

ისევ ბჭობა

პარიზი, 12 იანვ. დეპუტატთა პალატის ფინანსიურმა კომისიამ დაიწყო დუმერის ფინანსიურ პროექტის განხილვა.

სისხლის ღვრა გრძელდება

პარიზი, 12 იანვ. მაროკოში ისევ განახლდა სამხედრო ოპერაციები.

ზარალი წყალდიდობისაგან

პარიზი, 12 იანვ. ბელგიის მთავრობის გამოანგარიშებით წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი ერთ მილიარდ მარკას უდრის.

სარგებლობენ შემთხვევით.

ვარშავა, 11 იანვ. უცხოელი კაპიტალისტები მეტად მძიმე პირობებში იძლევიან სესხს, ისინი მოითხოვენ 8,3 პროცენტს.

პოლონეთის ბანკი სპეკულიაციას ეწეოდა.

ვარშავა, 11 იანვ. ოფიციალურად მტკიცდება, რომ პოლონეთის ვალიუტის კურსის დაცემას ხელი შეუწყო სახელმწიფო ბანკის სპეკულიაციამ უცხოეთის ვალიუტით. საბანკო წრეებში დამფრთხალი არიან, რადგან მოელიან დიდ ბოროტმოქმედებათა აღმოჩენას.

მორიგი თვალთმაქცობა

ლონდონი, 12 იანვ. ფილიპ სნოუდენი კატეგორიულად უარყოფს ცნობას, რომ სწარმოებს მოლაპარაკება ლიბერალებთან შეთანხმების შესახებ.

გერმანიის კომპარტიის ც. კ. მოწოდება.

ბერლინი, 11 იანვ. გერმანიის კომპარტიის ც. კ. მოუწოდებს მუშებს 27 იანვარს ყველა ქალაქებში მოაწყონ დემონსტრაციები კომპარტიის პოლიტიკურ-ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაცავად.

ფინ-იუი-სიანის გადადგომა მიღებულია.

პეკინი, 11 იანვ, დუან-ცზი-ჟუის მოთხოვნით, ახალი პრემიერი შუ-ში-ინ დაუბრუნდა თავისი მოვალეობის შესრულებას და მოიწვია მთავრობის სხდომა. მთავრობამ მიიღო ფინ-იუი-სიანის გადადგომა და ნება მისცა მას გაემგზავროს ევროპასა და ამერიკაში.

პაპა და იტალიის მთავრობა.

რომი, 11 იან. რომის გაზეთების ცნობით მოსალოდნელია დამოკიდებულების გაუმჯობესება რომის პაპასა და იტალიის მთავრობის შორის.

როგორც ვიცით, 1870 წლიდან, როცა რომი იტალიის სატახტო ქალაქად გამოცხადდა, ოფიციალური ურთიერთობა რომის პაპასა და მთავრობის შორის შეწყვეტილია და პაპა თავის თავს „ტყვეთ“ თვლის.

მზადება ამ.-კავკასიის ცაკის სესიისთვის.

ერევანი, 12 იანვ. შექმნილია განსაკუთრებული კომისია წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლათ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიის ერევანში მოწვევასთან დაკავშირებით.

სესიის სხდომები გაიმართება სახ. თეატრში. მზადდება ბინები დეპუტატებისათვის, რომელთაც მოელიან საქართველოდან, აზერბეიჯანიდან და სხვა კუთხეებიდან.

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდებათ
გაზ. „კომუნისტი"-ს
ყველა ხელისმომწერთ უფასო დამატებანი
„დროშა"
და
„მეცნიერება და ტექნიკა"

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ. მეთოთხმეტე პარტყრილობის შესახებ.

პარიზი, 11 იანვ. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია საკავშირო კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შესახებ. საფრანგეთის კომპარტიის ც. კ. სრულ ნდობას უცხადებს საკავშირო კომპარტიის ც. კ. და ესალმება ყრილობის დადგენილებას, რომელიც მიზანს ისახავს კომინტერნის ხელმძღვანელობის გაძლიერებას მოძმე პარტიის გავლენის გადიდების გზით.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კოოპერატიული განათლების მუშაკთა თათბირი.

მოსკოვი, 12 იან. გაიხსნა კოოპერატიული განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. დაესწრო 200 დელეგატი ადგილებიდან. თათბირმა ჯამი უნდა გაუკეთოს წარსულ მუშაობას და გამოიმუშაოს ახალი გზები მასიური კოოპერატიული განათლებისათვის.

ნათესების მდგომარეობა
(მთავარი გეო-ფიზიკური ობსერვატორიის ცნობა).

მოსკოვი, 12 იანვ. საბჭოთა რუსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით ეხლანდელ ყინვებს არავითარი ზიანი არ მიუყენებია ნათესებისათვის, რადგან ყინვები დაიწყო საბჭოთა კავშირის იმ რაიონებში, სადაც მიწა დაფარულია ღრმა თოვლით, რომელიც იფარავს ნათესებს სიცივისაგან.

მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის გამოკვლევით, 12 იანვარს შესაძლებელია დიდი თოვლის მოსვლა საბჭოთა რუსეთის ზოგიერთ რაიონებში. 18 იანვრიდან ვოლგის განაპირა მხარეებში უნდა მოველოდეთ ქარბუქს, ცენტრში და ჩრდილოეთ-დასავლეთში შესაძლებელია დაიწყოს დიდი სიცივეები. იანვრის 20-ისათვის უნდა მოველოდეთ თბილ ამინდებს. 25—26 იანვრისათვის სიცივეები. 28—29 იანვარს იმატებს სითბო, რომელიც გასტანს დაახლოებით 4 თებერვლამდე, როცა ისევ უნდა მოველოდეთ აციებას.

ბელორუსია

ღარიბი გლეხობის შეკავშირება.

მინსკი, 12 იანვ. ბელორუსიის კომპარტია აწარმოებს კამპანიას ღარიბი გლეხობის შესაკავშირებლად. კამპანიამ დიდი შედეგები გამოიღო. ბელორუსიაში სულ მოწყობილ იქნა ღარიბი გლეხობის 800 მდე კრება. გამოირკვა სოფლის ღარიბი მოსახლეობის სრული ნდობა კომპარტიისადმი და საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დამყარების სურვილი. კრებებს ესწრებოდენ საშუალო გლეხებიც და მონაწილეობას იღებდენ კამათში. ზოგიერთ ადგილებში ისინი გაუბედაობას იჩენდენ, მაგრამ მაინც უმეტეს შემთხვევაში გამოსთქვამდენ ღარიბ გლეხობასთან დაკავშირების სურვილს და ხმას აძლევდენ ღარიბი მოსახლეობის კანდიდატებს. საშუალო გლეხობა მხურვალედ ესალმებოდა კომპარტიის პოლიტიკას სოფლად საშუალო გლეხთა მიმართ.

ზოგიერთ ადგილებში კულაკები ცდილობდენ კრებების ჩაშლას და მოითხოვდენ მათ დაშვებას კრებებზე.

ამ კრებებზე გამოირკვა სოფლის ღარიბი მოსახლეობის მოთხოვნილებანი და აგრეთვე ის, რომ ღარიბ გლეხობას მთლიანად არ გამოუყენებია ყველა ის შეღავათები, რომლებიც მას მინიჭებული აქვს.

ღარიბ გლეხობის დარაზმვა კოოპერატივებში

მინსკი, 12 იანვ. ბელორუსიის კოოპერაციამ დაიწყო ღარიბ გლეხობის კოოპერატივებში დარაზმვა.

ყველა სამეურნეო კავშირებმა და მომხმარებელთა საზოგადოებებმა [illegible] გადასდონ 10 პროც. ღარიბ გლეხობის საპაიო თანხის შესაქმნელად.

ბელორუსიის კოოპერატივთა კავშირი შუამდგომლობს, რომ მიეცეს 262.000 მან. ღარიბ გლეხობის კოოპერატივებში დასარაზმავად.

ღარიბ გლეხობას პაიებ-ს გადასახდელათ ეძლევა დროის შეღავათი, რომ გაუადვილდეთ მათ კოოპერატივებში ჩაწერა. ამ მიზნით შემოღებულია პაიების გადახდა სურსათ-სანოვაგით და მუშაობით.

პურის ბაზარზე

მოსკოვი, 12 იან. შინაგაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, 1 იანვრიდან ბევრ რაიონში ამინდი ჯერ არ დაწყნარებულა. ამიტომ პურის მოზიდვა ხშირად ფერხდება გზების გაფუჭების გამო.

პურის მოზიდვის გაძლიერება ემჩნევა აღმოსავლეთ რაიონებში.

დეკემბრის ბოლოს ფასებმა რამდენიმეთ აიწიეს ქვავზე, პურზე, შვრიაზე, ქერზე და მზესუმზირა.

მუშათა მოძრაობა

როგორ ცხოვრობენ მაღაროს მუშები გერმანიაში

გერმანიის მაღაროს მუშათა აუტანელ მდგომარეობამ მიიპყრო თვით ბურჟუაზიული პრესის ყურადღებაც, „ბერლინერ ტაგებლატ"-მა მოათავსა ვრცელი წერილი, რომელშიაც აღწერილია მაღაროს მუშათა მდგომარეობა ნიდერლაუზიტცში. წერილში აღნიშნულია, რომ ნიდერლაუზიტცი არ შეადგენს გამონაკლისს, რომ ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს თითქმის ყოველგან.

სამუშაო დღე მაღაროებში გრძელდება 12 საათს, მიუხედავად იმისა, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად 1924 წლ. 24 აგვისტოდან, ის არ უნდა აღემატებოდეს 10 საათს, მაგრამ ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია ის, რომ ბრიკეტის ფაბრიკების მუშებს უხდებათ 12 საათი შეუსვენებლივ მუშაობა. ისინი მხოლოდ რამოდენიმე წუთით ანებებენ თავს მუშაობას და იქავე, მანქანებთან სჭამენ საჭმელს.

მუშებს ახარებს მანქანის გაფუჭების ყოველი შემთხვევა, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევს ადამიანურად სჭამონ საჭმელი.

მუშების სამუშაო ხელფასი ამჟამად შეადგენს ომის წინა დროის ერთ მესამედს, მიუხედავათ იმისა, რომ სიძვირე გაიზარდა. ამ რაიონის დუქნის პატრონმა შემდეგი სიტყვებით აღწერა მუშების მდგომარეობა „ფულის მიღების შემდეგ გადის რამოდენიმე დღე და მუშებს ისევ ვალად მიაქვთ სურსათ სანოვაგე ლაპარაკია არა საკმაო საჭმელ-სასმელის ყიდვაზე, არამედ მეოთხედ გირვანქა გარგარინზე (ერბოს სუროგატი), რომელიც ღირს 66 პფენი (დაახლოებით 30 კაპ.), და მეოთხედ გირვანქა შაქარზე. მეოთხედი გირვანქა ქონი უნდა იკმარონ მთელი კვირის განმავლობაში. პური გარგარინით, ტარანი და კარტოფილი, აი რით იკვებება უმძიმეს პირობებში მომუშავე ხალხი და მათი ოჯახი. თითქმის კვირა-დღეებშიაც ხორცი იშვიათი მოვლენაა მუშის სუფრაზე".

ყოველივე ამას უნდა მიუმატოთ მორალური ჩაგვრა. მწარმოებლები სათავეში უდგანან შავრაზმულ ორგანიზაციას „ფოლაუის მუზარადი"-ს სახელწოდებით. ისინი არაფერს არ იშურებენ შავრაზმულ აგიტაციისათვის მუშებს შორის. მათ შეიტანეს გახრწნა და ჯაშუშობის სისტემა წარმოებებში. მუშები ისე არიან დაშინებულნი, რომ ვერც კი ბედავენ რამე [illegible] ადმინისტრაციის აშკარა თავხედობისათვის.

მუშების ოჯახებში მძვინვარებს ფილტვების და კუჭის ავადმყოფობა. სასკოლო ჰასაკის ბავშვებს შორის 20,5 პროც. დაავადმყოფებულია ჯირკვლების ანთებით, 50 პროც.—სისხლ-ნაკლებობით და ორგანიზმის საერთო დასუსტებით. მუშების ოჯახს არა აქვს არავითარი უფასო საექიმო დახმარება. საავადმყოფოებში მუშების ცოლებმა დღეში უნდა იხადონ 2 მარკა (1 მანეთამდე), რაც მათ, რასაკვირველია, არ შეუძლიათ.

წერილის დასასრულს ნათქვამია: „ყველაფერი ეს სრული სინამდვილეა. და ეს სინამდვილე ისეთია, რომ ვერ მოგვინახავს სიტყვები იმ პირობების გასამართლებლად, რომლებიც ჩვენ დავხატეთ გაცილებით უფრო რბილად, ვინემ ის არის სინამდვილეში".

ეკონომიური ცხოვრება

პურის ბაზარი ამიერ-კავკასიაში

თბილისი

მდგომარეობა პურის ბაზარზე იანვრის პირველ რიცხვებში მტკიცე იყო. პურის გეგმა-შეწონილი შემოტანა სუსტად მიმდინარეობდა და სრულიად ვერ აკმაყოფილებდა კოოპერაციის მოთხოვნილებას. კერძო პირებს აღარ შემოაქვთ პური. აღძრულია საკითხი გეგმაშეწონილი შემოზიდვის გადიდების შესახებ. გეგმაშეწონილი შემოზიდვის გეგმა ამიერ-კავკასიისათვის გადიდებულია მილიონ ნახევარ ფუთით.

თბილისის ბაზარზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა მესამე ხარისხის ფქვილზე. სახელმწიფო ორგანოების ფასები უცვლელია. კერძო ბაზარი გაცხოველებულია. კერძო ვაჭრების ფასები 20—30 პროც.-ით აღემატება სახელმწიფო ორგანოების ფასებს.

ბათომი

გაძლიერებული მოთხოვნილებაა პურის ფქვილზე, რაც აიხსნება შემოზიდვის შესუსტებით. კერძო ვაჭრებს საქონელი არ აქვთ. სახელმწიფო ორგანოებს აქვთ მხოლოთ ერთი თვის მარაგი—50 ვაგონი, რის გამო პურის ფქვილის მიცემა კერძო ვაჭრებისათვის შეწყვეტილია.

ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ყველა ხარისხის ფქვილზე. ფასები მტკიცეა. ბათომის საქონლის საფონდო ბირჟამ გარიგება მოახდინა 12 ნახევარ ვაგონ პურის ფქვილზე. დანარჩენი ხორბლეულის მოთხოვნილება სუსტია.

ბაქო

უკანასკნელ ხანებში პურეულის, განსაკუთრებით, ხორბალის შემოზიდვა ბაქოს ბაზარზე გაიზარდა 42 პროცენტით. გადიდება მოხდა ხორბლეულის ძირითად შემომტან ორგანიზაციების ხარჯზე. პურის ფქვილის შემოზიდვა გაძლიერდა კოოპერაციის და კერძო პირების ხარჯზე.

გაძლიერებული მოთხოვნილებაა საქონლის საკვებზე. კერძო ბაზარზე შემჩნეულია ფასების ზრდის ტენდენცია. სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების და კოოპერაციის ფასები უცვლელია.

საქართველოს მარგანეცი

ჭიათურის შავი-ქვის კონცესიონერი ამ ჟამად შავი-ქვის ამოღებას დამოუკიდებლად არ აწარმოებს, ის მადანს იღებს კერძო მრეწველთა ფირმებისაგან, რომლებთანაც მას ხელშეკრულება აქვს დადებული.

რაც შეეხება საკონცესიო წარმოების ხელახლა მოწყობის პროექტის შედგენას, ამ მხრივ საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი"-ს მიერ დიდი მუშაობაა შესრულებული. თითქმის დამთავრებულია ფოთში ელევატორის ტიპის მექანიკური გადამტვირთველის მოწყობის, ჭიათურა-შორაპან ფოთის რკინის გზის გადახალისების და შავი-ქვის მექანიკურად ამოღების პროექტები.

უკანასკნელ ხანებში დადებითად გადაწყდა საკითხი კავკასიის სამთო ამხანაგობის („კარუტო") მონაწილეობის შესახებ პარალელურ ხელშეკრულებაში; ფირმა „კარუტო"-ს მონაწილეობა საკონცესიო წარმოებაში უნდა გამოიხატოს 10 პროც.

ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გვიანდება იმის გამო, რომ მოგვარებული არ არის კომერციული ურთიერთობა შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებასა და „კარუტოს" შორის.

უთანხმოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა შრომის დარგში და კონცესიის რაიონში დასახლებულ გლეხებთან ურთიერთობაში, მოგვარებულია საზოგადოება „საქართველოს მარგანეცის" ვიცე-პრეზიდენტის რაშკოვიჩის მიერ.

საზოგადოება „საქართველოს მარგანეცს" განზრახული აქვს გაზაფხულიდან შეუდგეს მთელი ქალაქის გაშენებას დარკვეთის რაიონში, რითაც საგრძნობლად შემცირდება საბინაო კრიზისი, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა ჭიათურაში. ამ ქალაქში გადატანილი იქნება საზოგადოების ყველა დაწესებულებები.

შავი ქვის ექსპორტი.

მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე საზ-ბა „საქართველოს მარგანეცმა" საზღვარ-გარეთ გაიტანა 160.000 ტონა შავი-ქვა. მარტო დეკემბრის განმავლობაში გატანილია 50.000 ტონაზე მეტი. იანვრის და თებერვლის განმავლობაში გატანილი იქნება არა ნაკლებ 100.000 ტონა შავი-ქვა.

შინამრეწველობა

აგურისა და თიხის ჭურჭლის წარმოება

აგურ-კრამიტის და თიხის ჭურჭლების წარმოება განსაკუთრებით [illegible] რაიონში. [illegible] აგურ-კრამიტის 25 ქარხანა, რომელნიც ადგილობრივი რაიონის გლეხებს ეკუთვნის. აგურის დამზადება სწარმოებს, რასაკვირველია, პრიმიტიული—კუსტარული წესით. თვითეული სეზონის განმავლობაში ყოველი ქარხანა ამზადებს დაახლოებით 100 ათას ცალ აგურს. აგურზე გლეხობაში, უკანასკნელ ხანებში გაძლიერებულ სახლების მშენებლობის გამო, დიდი მოთხოვნილება არის და ამიტომ სწრაფად სალდება. ადგილობრივ ყოველი 1000 ცალი აგურის ფასი 10 მანეთს არ აღემატება. მეტად ძვირი ჯდება აგურის გადაზიდვა ალაზანს გაღმა მდებარე სოფლებში, რადგანაც ცუდი გზების გამო ძნელი ხდება დატვირთული ურმების მისვლა-მოსვლა.

თიხის ჭურჭლების დამზადებას გლეხები ეწევიან ბოდბისხევს და კაკაბეთის რაიონში. ამზადებენ ქვევრებს, სურებს, დოქებს, ჩაფებს, ქოთნებს და სხვა შინაურ ჭურჭლებს. [illegible] ხასიათს ატარებს და გლეხობა იშვიათად მიმართავს დაქირავებულ მუშახელს. უნდა ითქვას, რომ მეჭურჭლეობა ვერ არის იმ რაიონში სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

ჭურჭლეულობაზე სოფლებში დიდი მოთხოვნილებაა და ბევრიც სალდება, მაგრამ აქ ნაკეთები ჭურჭელი მეტად ტლანქი და ულამაზოა. შინამრეწველნი მუშაობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად—ცალკ-ცალკე; არა აქვთ შექმნილი საწარმოო კავშირი, მხოლოდ სოფელ კაკაბეთში არსებობს მეჭურჭლე ხელოსანთა პატარა არტელი, მაგრამ იგი ძალიან ზანტად და სუსტად მუშაობს. ჩვენს სამეურნეო დაწესებულებებს და აგრეთვე პროფორგანოებს მართებთ ყურადღება მიაქციონ შინამრეწველობის ამ დარგს კახეთში.

ა.-კ. ფინსახკომში

სას.-სამეურნეო გადასახადის ვადების შესახებ.

მიმდინარე წლის პირველ იანვარს გათავდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის მეორე ვადა ამიერ-კავკასიაში. ამ დროისათვის შეტანილი უნდა ყოფილიყო გაწერილი გადასახადის არა ნაკლებ 65 პროც. მაგრამ, ა/კ. ფინსახკომის წინასწარი ცნობების მიხედვით, პირველ იანვრისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემოვიდა 2.623.505 მანეთის რაოდენობით, რაც მხოლოდ მთელი წლიური დავალების 49.79 პროც. შეადგენს.

ცალკე რესპუბლიკების მიხედვით, შემოსული გადასახადი ნაწილდება შემდეგნაირათ: საქართველოში შემოვიდა 819.342 მანეთი (დავალების 52.65 პროც.), აზერბეიჯანში—1.255.405 მან. (45,75 პროც.) და სომხეთში—548.758 მან. (56.62 პროც.).

გამოკვლევამ, რომელიც ა/კავკასიის ფინსახკომმა მოახდინა, დაამტკიცა, რომ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასე მცირე რაოდენობით შეკრების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ საფინანსო ორგანოები ადგილებზე არ მიმართავენ გადასახადის აკრეფის იძულებით ზომებს.

ამ გარემოებამ გადამხდელთა შორის შექმნა რწმენა, რომ რომც არ შეიტანონ გადასახადი, მომავალში მათ გადახდება მხოლოდ უმნიშვნელო საურავი; ამას გარდა, ისინი ფიქრობენ, რომ გადასახადის შეტანის უკანასკნელი ვადის (პირველი მარტი) გათავებამდე არ შეიძლება მიღებული იქნეს იძულებითი ზომები (ქონების აწერა და გაყიდვა) იმათ წინააღმდეგ, ვინც დროზე არ გადაიხდის გადასახადს.

ამის გამო, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა განუმარტა ადგილებს, რომ ამიერ-კავკასიისათვის დაწესებული ყველა ვადები ერთნაირად მტკიცე და უკანასკნელია გადასახადის იმ ნაწილისათვის, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს თვითეულ ამ ვადაზე.

ამიტომ, თუ გადამხდელი ამ ვადებში არ გადაიხდის მასზე გაწერილ გადასახადის განსაზღვრულ ნაწილს, ეს უკანასკნელი, საურავის დარიცხვის გარდა, აკრეფილი უნდა იქნეს იძულებითი წესით.

არაპირდაპირი გადასახადები.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინასწარი ცნობებით, გასული წლის ოქტომბერში და ნოემბერში არაპირდაპირი გადასახადები შემოვიდა 4.385.045 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხიდან შემოსავალი აქციზიდან შეადგენს 3.533.871 მანეთს.

ცნობების ანალიზიდან სჩანს, რომ ყველაზე მეტ პროცენტს იძლევა შაქარი და თამბაქო.

თვითეული რესპუბლიკის მონაწილეობა არაპირდაპირ გადასახადების შემოსავალში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: საქართველოში შემოვიდა 1.900.346 მანეთი—43 პროც., აზერბეიჯანში—2.297.914 მანეთი—52 პროც. და სომხეთში—186.785 მანეთი—55 პროც.

ეკონომიურ საბჭოში

თელავის აღმასკომის შუამდგომლობა

თელავის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ეკონომიურ საბჭოს წინაშე მევენახეთა საჭიროებისათვის 100.000 მან. გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ. საკითხი მთელი მასალებით გადაეცა საქართველოს საგეგმო კომისიას, რომელსაც დაევალა დაუკავშიროს აღძრული საკითხი მიწსახკომის მიერ შედგენილ მევენახეობის აღდგენის საერთო გეგმას.

კრედიტის მიცემა მევენახეობის აღსადგენად

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა ა/კ. სასოფლო სამეურნეო ბანკის გამგეობამ არ შეუჩეროს სესხი საქართველოს მიწსახკომისარიატს ვენახების აღსადგენად საჭირო სამუშაოების შესასრულებლად.

საზ—ბა „აბრეშუმის" და კოოპერატივების ურთიერთობა

არჩეულია კომისია მ/გ ინსპექციისა, ცეკავშირისა და საზ—ბა „აბრეშუმ"-ის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა პარკის იმ ფარდულების, საშრობის და სხვა ხელსაწყო—იარაღის შეფასება, რომლის შესყიდვის შესახებ მოხდება შეთანხმება „აბრეშუმ"-სა" და ადგილობრივ კოოპერატივებ შორის.

კურორტთა სამმართველოს შუამდგომლობა

კურორტთა სამმართველოს შუამდგომლობა მის განკარგულებაში არსებული ტყეებიდან გასატანი ხე-ტყის ნიხრის გადიდების შესახებ უარჰყო ეკონომიურმა საბჭომ.

ბორჯომის კომბინატის ბალანსის დამტკიცება

ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით ბორჯომის კომბინატის 1924-25 წ. მოგება განსაზღვრულ იქნა 78.557 მან. 69 კაპ. რაოდენობით.

საწარმო „საწერკალამი"-ს დებულება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ საწერ მასალის წარმოებისა და ვაჭრობის საწარმოს „საწერკალამი"-ს დებულება იმ შესწორებით, რაც აღნიშნულია ამ საკითხზე საგეგმო კომისიის დასკვნაში.

საგეგმო კომისიაში

ფინანსიური დახმარება მრეწველობას.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსებული ყოფილიყო სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც ფინანსიური დახმარება უნდა აღმოუჩინოს სახელმწიფო მრეწველობას.

ს. მ. უ. ს. პროექტის მიხედვით, ამ საზოგადოების აქციონერებათ უნდა გახდენ ს. მ. უ. ს., ფინსახკომი, სახელმწიფო ბანკი და სამრეწველო ბანკი.

საკითხი განსახილველად გადაეცა სახელმწიფო საგეგმო კომისიას. საქართველოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ ეს საკითხი მოითხოვს დეტალურ დამუშავებას, დაადგინა მოიწვიოს თათბირი სამრეწველო ბანკის, ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს, ს. მ. უ. ს. და სათანადო ტრესტების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

შეღავათები ახალქალაქის მაზრას.

ახალქალაქის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს მთავრობის წინაშე საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ ახალქალაქის მაზრისათვის.

საგეგმო კომისიამ, სადაც გაგზავნილი იყო დასკვნისათვის ახალქალაქის აღმასკომის შუამდგომლობა, აუცილებლად სცნო აღნიშნულ მაზრას მიენიჭოს საგადასახადო შეღავათები, მაგრამ ვინაიდან მიმდინარე წლის ბიუჯეტი უკვე შედგენილია, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა შესაძლებლად სცნო ახალქალაქის მაზრაზე გავრცელდეს შეღავათები მხოლოდ 1926—27 წლიდან.

სამხრეთ-ოსეთის ელექტროფიკაცია

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც გამოიკვლია ცხინვალის ჰიდრო-ელექტრო სადგური, და საჭიროთ სცნო, რომ აღნიშნული სადგურის აგების დასამთავრებლად ელექტრო-ბანკში გახსნილი იქნეს კრედიტი 35.000 მანეთის რაოდენობით სამი წლის ვადით.

სარევიზიო კომისიები თემაღმასკომებთან.

საქართველოში სათემო ბიუჯეტის შემოღების გამო, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო სარევიზიო კომისიების დაარსება სათემო აღმასკომებთან.

მდგომარეობა პროვინციის ბაზარზე

ჩვენს პროვინციის ბაზრებს თანდათანობითი გაუმჯობესება ეტყობა. იქ ჭირნახული, ფქვილი და სხვა ადგილობრივი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ამ უკანასკნელად ფართლის მიწოდების მხრივაც მათ გამოცხოველება ეტყობათ, თუმცა ფართალი პროვინციის ბაზარზე საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება.

არის ისეთი საგნები, რომლებიც სრულიად არ მოიპოვება ბაზრებზე.

მაგ. თელავში დიდია მოთხოვნილება დამზადებულ ტანისამოსზე, განსაკუთრებით შინელებზე, რომელიც კოოპერატივს არ მოიპოვება, ნაკლებათ მოიპოვება აგრეთვე სააღმშენებლო მასალაც, რომელზეც ფასებმა აიწია.

წნორის წყალზე დიდია მოთხოვნილება სპირტის ნაწარმოებზე, მაგრამ გლეხებს იგი ბაზარზე არ გააქვთ და უცდიან ფასების მომატებას.

ადგილობრივმა კოოპერატივმა ამ უკანასკნელად მიიღო ფართლის საკმაო რაოდენობა და იგი იყიდება მტკიცე ფასებში, რის გამო კერძო ვაჭრები იძულებულნი გახდენ დაეკლოთ ფასები.

გორში დიდია მოთხოვნილება მზა ტანისამოსზე. კალოშები სრულიად არ იშოვება.

ახალქალაქში, ვინაიდან მძვინვარებს საქონლის ჭირი და ბაზარზე საქონლის შემორეკა შეწყვეტილია, ფასები ხორცზე და რძის ნაწარმოებზე გაიზარდა. აქაც დიდი მოთხოვნილება არის ფართალსა და ნავთზე.

კოოპერატივმა მიიღო დიდი პარტია ფართლისა და კერძო ვაჭრობაშიაც გაჩნდა ნავთი.

რეაქციონური მთავრობის ერთი წლის მუშაობა

(წერილი ინგლისიდან)

1925 წელი ინგლისის ისტორიაში დარჩება როგორც ერთი უფერული წელთაგანი. ყოველ შემთხვევაში ეს ჭეშმარიტებაა, რაც შეეხება ამ ქვეყნის შინაურ ეკონომიურ მდგომარეობას. იოტის ოდნადაც არ განხორციელდა ის მშვიდობიანობა და მყუდროება, რომელიც ბალდვინმა აუწყა ქვეყნიერებას ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე—მაკდონალდის მთავრობის უბადრუკ და უიმედო ცდების შემდეგ. კონსერვატორულ მთავრობის არცერთი დაპირება არ შესრულებულა. ინდუსტრიალური უკან დახევა უფრო და უფრო ძლიერდება. უმუშევრობის სიმძიმე აუტანელ ტვირთად აწევს ყოველგვარ ეკონომიურ საქმიანობას. საბინაო საკითხის მოგვარებაში ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა წინ. სასოფლო მეურნეობაც ერთ წერტილზეა გაყინული. ხაზინის მდგომარეობა ხომ ისეთი უნუგეშოა, რომ მიუხედავათ ყოველგვარი ეკონომიისა, ჩერჩილი მაინც იძულებულია რამე საშუალება მოსძებნოს დეფიციტის დასაფარავათ.

ბალდვინის მთავრობის პოლიტიკას პოლიტიური ხასიათიც კი არ ჰქონია, ეს მთავრობა მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ ბრიყულათ ხელი დაეფარებინა ძირშივე შერყეულ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობისათვის. ამავე დროს ის ოსტატურათ სარგებლობდა შექმნილ რეაქციონულ პირობებით, რომ განეხორციელებინა პროტექციონიზმი, რომლის შესახებაც მთავრობის ხელმძღვანელებმა ასეთი თავგამოდება გამოიჩინეს და ფორმალურადაც დაადასტურეს იგი. აგრეთვე მთავრობა ყოველნაირად სცდილობდა, რომ ზურგი გაემაგრებინა კაპიტალიზმის იერიშებისათვის მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

ბალდვინის მთავრობის პოლიტიკა გადაჭრით ანტიპროლეტარული პოლიტიკა იყო.

უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული, უბრალო ცდაც კი არ მოუხდენიათ ამ მიმართულებით. კონსერვატიული მთავრობა მხოლოდ იმასა სცდილობდა, რომ აღმაშფოთებელი თვითნებობით რაც შეიძლება მეტად შეემცირებინა დახმარების მიმღებ უმუშევართა რიცხვი. ამ სისტემატიური პოლიტიკის მიზანი ის იყო, რომ შეემცირებინათ ოფიციალურად უმუშევართა რიცხვი და განემტკიცებიათ ყალბი აზრი, თითქოს წარმოება ვითარდებოდეს. მაგრამ ეს ოფიციალური ციფრები სრულ სიყალბეს წარმოადგენენ და არასგზით არ ეთანხმება იმ ინდუსტრიალურ დაქვეითებას, რომელიც თვალსაჩინო ხდება.

თუ მთავრობამ უმუშევრების ხარჯზე მართლა მოახდინა რამოდენიმე ეკონომია, სამაგიეროთ, შემოსავლის ყოველგვარ პროპორციის გარეშე, მან სრულიად აუტანელი ხარჯები დაადო იმ მუნიციპალიტეტებს, რომელთაც უნდოდათ დახმარება გაეწიათ უმუშევრებისთვის. ამგვარად ყველაზე მეტი ტვირთი არსებითად წააწვა მუშურ რაიონების მინიციპალიტეტებს.

რაც შეეხება თვით უმუშევრებს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იმათ რიცხვმა სრულიადაც არ დაიკლო. ყოველ შემთხვევაში, იმ პროპორციით არ დაუკლია, როგორც ამას ყოველკვირეულათ იუწყებოდა შრომის სამინისტრო.

მაგრამ მთავრობის მუშათა საწინააღმდეგო მოქმედება აქ არ შეჩერებულა. ჰიგიენის მინისტრმა თვითმპყრობელურათ უბრძანა ქველმოქმედების ბიუროს „ბიარსდოკ გოარდიანს", რომ შესამჩნევად დაეკლო დახმარების გაწევა. როგორცა ხედავთ, ამ ვითომდა ინდუსტრიალურ აღორძინებას თან მისდევს სილატაკისა და გაჭირვების გაძლიერებაც.

ბანკირების მოთხოვნილებით მთავრობამ დაიწყო ოქროს ფულის მოჭრა, ამან კი უფრო შესამჩნევად შეაფერხა ყოველგვარი ინდუსტრიალური განვითარება ეს ოპერაცია, დიახ, სასარგებლო იყო ფინანსისტებისათვის, მაგრამ ყოვლად საზარალო მთელი ქვეყნისთვის. ეს იყო მხოლოდ პოლიტიკურ-ფინანსიური ზომა, რასაც უკარნახებდა მთავრობას სტერლინგის გამწვავებული ბრძოლა ამერიკულ დოლართან.

⁂

1925 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქვანახშირის კრიზისი. ეს არსებითად წარმოადგენდა კაპიტალიზმის მიერ მუშათა ფრონტის წინააღმდეგ მიტანილ იერიშების შესვლას გადამწყვეტ პერიოდში. ამ კონფლიქტს უნდა ეფეთქა გასულ ივლისში. მუშების მხრივ ყველანი გამზადებული იყვნენ საიერიშოდ შეერთებული ტრედუნიონების ძალებით და ზოგიერთის აზრით, დიდი შეცდომაც იქნა ჩადენილი, რომ ამ დროს არ ასტეხეს ბრძოლა. რადგან მთავრობა მზათ არ იყო ამ კონფლიქტისათვის, ამიტომ თავი დააღწია ამ გამწვავებულ მდგომარეობას და ნახშირის მწარმოებლებს მისცა 30 მილ. გირ. სტერლინგზე მეტი მხოლოდ იმიტომ, რომ დროებითი ზავი ჩამოეგდოთ მუშებთან პირველ მაისამდე. ჩვენ მხოლოდ შესვენების ხანაში ვიმყოფებით, როცა მთავრობაც და ბურჟუაზიაც აშკარათ ემზადებიან გადამწყვეტ ბრძოლისთვის. ცხადია ყველასათვის, რომ ბრძოლა იფეთქებს მომავალ გაზაფხულზე, როცა მთავრობას უკვე გამზადებული ეყოლება ყველა თავისი სამოტაჟური და ფაშისტური ორგანიზაციები, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო. მომავალი ბრძოლა, რასაკვირველია, გადასცდება მემაღაროეთა კონფლიქტის სამზღვრებს. და ამ ბრძოლას მოსალოდნელ გამწვავების წინაშე ზოგიერთი ამხანაგი შიშსაც გამოსთქვამს, რომ მუშების მხრიდან არ არის საკმაო სამზადისი. ეს აღსანიშნავია განსაკუთრებით მაშინ, როცა მუშათა ყალბი ბელადები და ნამდვილათ კი კაპიტალიზმის აგენტები ყოველ ძალღონეს ხმარობენ, რომ გათიშონ მუშათა ძალები.

ამ ბრძოლის სამზადისში ყველამ ყურადღება უნდა მიაქციოს მუშათა ბელადების წინააღმდეგ მიღებულ ზომებს. მაგალითად, აღსანიშნავია კომპარტიის 12 ბელადის პროცესი და მათთვის ყოვლად უსამართლო განაჩენის გამოტანა. ამის ნამდვილი მიზანი კი იყო, რომ მოსალოდნელი ბრძოლის გარეთ დაეტოვათ ის აქტიური მებრძოლები, რომელთა გავლენაც უდავოა მუშათა მასსებზე. კომპარტიის მეთაურების ჩამოცილებით, ალბათ, მთავრობას ეგონა, რომ ამით სულ ერთიან ანადგურებდა თვით კომპარტიას. შოტლანდიის სამხრეთ რაიონშიც გაფიცულ მემაღაროების დევნითა და დაპატიმრებით მთავრობას უნდოდა საერთოდ შიშის ზარი დაეცა მუშებისათვის და დაერღვია მათი რაზმები.

⁂

საგარეო პოლიტიკაში, ვერ დავფარავთ, რომ ინგლისმა მოიპოვა ერთგვარი გამარჯვება, მაგრამ ეს არ არის დამსახურება არც ბალდვინის, არც ამერის (კოლონიების მინისტრი) და არც ჩემბერლენის. ეს არის „ფორეინ ოფისის" (საგარეო საქმეთა სამინისტრო) მოღვაწეობის შედეგი. ეს რაღაც ზემთავრული და „საიდუმლოებით" აღსავსე ორგანოა, რომელიც განაგრძობს თავის გზას, როგორც ამას გვიჩვენებს თვით მაკდონალდის მოხვედრა ამ დეპარტამენტში.

მთავრობა თავის აქტივში სთვლის დოუესის გეგმის განხორციელებას, ლოკარნოს ხელშეკრულობას ე. ი. მთელი ევროპის მოქცევას ინგლისის ფინანსიურ-პოლიტიკურ გავლენის ქვეშ, გარდა საბჭოთა კავშირისა. საფრანგეთის პოლიტიკას (რომ გაბატონდეს ევროპაში მილიტარულად, რომლისთვისაც მას არ გააჩნია საკმაო საშუალებანი) „ფორეინ ოფისმა" დაუპირდაპირა დაახლოვებისა და შეგუების პოლიტიკა გუშინდელ მტრებთან. რასაკვირველია მას უსაყვედურებენ არა გულწრფელობას ამ მეგობრობაში, მაგრამ ყველაფერი ქარწყლდება იმ მიზნის წინაშე, რომელსაც „ფორეინ ოფისი" ისახავს, რაც უნდა შორეული იყვეს იგი, ევროპაზე გაბატონებისთვის ბრძოლაში ინგლისმა საუცხოვოდ გამოიყენა თავისი მოვალეების გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობა. მან თავი რბილათ აჩვენა მოვალეებს, მაგრამ როცა მიზანს მიაღწია, მას მადა უფრო და უფრო მოემატა. და შეიძლება მთელი თავისი ძალღონე იხმაროს, რომ განახორციელოს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბლოკი დასავლეთ ევროპაში.

ჩემბერლენის საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო პოლიტიკა მარცხით გათავდა, რაც იმას მოსვენებას აღარ აძლევს, რასაკვირველია. მან მედიდურათ უარჰყო ნორმალურ ურთიერთობის აღდგენა, თანაც უხეშის გულგრილობით ეპყრობა რაკოვსკის, მაგრამ იმას მაინც იმდენი გამბედაობა ვერ გამოუჩენია, რომ ყოველგვარი ურთიერთობა შესწყვიტოს საბჭოთა კავშირთან. მაგრამ მეგობრული განწყობილება და უფრო მჭიდრო დაახლოვება საბჭოთა კავშირსა და ევროპის სხვა ქვეყნებ შორის მეტად აშფოთებს ინგლისის საგარეო სამინისტროს. ოსმალეთ-საბჭოთა კავშირი ხომ კარგა საფუძვლიანად აწუხებს ინგლისს სწორეთ იმ დროს, როცა ის სცდილობს სხვადასხვა ხერხით დაუახლოვდეს ოსმალეთს. ეს შესაძლებლად მიაჩნია მას ამის შემდეგ, რაც ერთა ლიგის უმართებულო დახმარებით მოსული ხელიდან გამოაცალა ოსმალეთს. ესეც ერთგვარ გამარჯვებათ ჩაეთვლება „ფორეინ ოფისს".

⁂

კოლონიების საკითხში თუ ინგლისმა ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა მცირე-აზიაში ახალი იმპერიის შექმნით (არაბეთი და ირაქი), სამაგიეროთ ინდოეთში საკმაო ნიშნები მოსჩანს სერიოზული მღელვარებისა. ირლანდიაც ჯერჯერობით თითქოს დამშვიდებულია, მაგრამ ეს სამუდამო მშვიდობათ არ ჩაითვლება. აგრეთვე ეგვიპტეში. რაც შეეხება დომინიონებს, მიუხედავათ ამერის მრავალი ცდისა, სრული ჩამოშორების აზრი თანდათან უფრო ძლიერდება, განსაკუთრებით კანადაში, სადაც ამერიკის პროპაგანდა უფრო და უფრო აქტიურ ხასიათს ატარებს.

ჩინეთის ამბებმა, უცხოელების ბატონობის წინააღმდეგ ამხედრებამ, რაც განსაკუთრებით შეეხება ინგლისსა და იაპონიას, შედეგათ ის მოიტანეს, რომ ინგლისმა შესამჩნევათ დაჰკარგა ნიადაგი შორეულ აღმოსავლეთში. მისი ვაჭრობა ჩინეთთან სრულიად შეფერხებულია. საუკეთესო კოლონია გონ-კონგი კი არსებითად ალყა შემორტყმულია და ეხლა თვით ლონდონს უხდება მისი ფინანსიური დახმარება.

მთავრობა ბრალსა სდებს ბოლშევიკებს, რომ იმათი პროპაგანდის შედეგია ასეთი მდგომარეობის შექმნა. მაგრამ „წითელი საფრთხე"—ეს მარტო ინგლისის შინაურ ავადმყოფობას კი არ წარმოადგენს, არამედ ის სისტემატიურათა და მტკიცედ განაგრძობს თავის დაუღალავ მუშაობას ყველგან და ყოველთვის.

⁂

კონსერვატორული მთავრობა ასე უტიფრად განაგრძობდა თავის რეაქციონულ პოლიტიკას როგორც შინ, ისე გარეთ. და ყველაფერ ამას სჩადის პარლამენტის თვითმპყრობელურ და ავტომატიურ უმრავლესობის წყალობით. მთავრობა უფრო თამამათ მოქმედობს კიდევ იმიტომ, რომ ოპოზიცია თითქმის სულ ერთიან ჩანელებულია. ოპოზიციის გახსენებაზე ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ ლიბერალებზე, რომელთა უკბილო ოპოზიციაც უფრო თანამშრომლობას მოასწავებს, ვიდრე ნამდვილ წინააღმდეგობას.

პოლიტიკურმა პირობებმა მუშათა პარტიას არგუნა პარლამენტარულ ოპოზიციის მეთაურობა. მაკდონალდისა, კლინისა, ჰენდერსონისა და ტომასის ხელმძღვანელობიდან ჩვენ არაფერ სერიოზულს არ უნდა ველოდეთ. თვითონ იგინი იმპერიალისტურ პოლიტიკის მოთაყვანენი არიან და საკმაო წვლილიც შეუტანიათ ამ საქმეში. ამიტომ იმათთვის უხერხულია ისე გადაჭრით შეეკამათონ კონსერვატორებს, რომ ისინი შეაფიქრიანონ თავიანთ იმპერიალისტურ ზრახვებში. ასეთი ბელადების ხელში ოპოზიცია დაკნინდა, მან დაჰკარგა შინაგანი ძალა იმ ზომამდის, რომ მუშათა პარტიის პარლამენტარულ ფრაქციის ყველაზე აქტიური ჯგუფი კატეგორიულად ამხედრდა ასეთ უმოქმედობის წინააღმდეგ და განსაკუთრებით კი კლუარებში მთავრობასთან მორიგების წინააღმდეგ.

ოპოზიციას არც ერთხელ არ მოუხდენია რაიმე გავლენა მთავრობაზე, არც უმუშევრობის და არც საბინაო საკითხში. ქვანახშირის კრიზისს ხომ ისინი მრავალჯერ უფრო შიშით შეხვდენ, ვიდრე თვით მთავრობა, რომელსაც მეტად აშფოთებდა შედეგების მოულოდნელობა.

მრავალი შემთხვევა იყო კონსერვატორულ მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. ვერც კომუნისტების ბელადების დევნის დროს, ვერც ფაშისტურ ორგანიზაციების წინააღმდეგ, ვერც შეიარაღებულ ძალით მუშათა პარტიის ორგანო „დეილ ჰერალდის" წინააღმდეგ ამხედრების დროს ოპოზიციამ ვერ გაბედა დაეწყო საფუძვლიანი საპროტესტო მოძრაობა. მხოლოდ ერთად ერთი შემთხვევაში გამოიჩინეს აქტიობა მუშათა პარტიის ბელადებმა. ეს იყო მაშინ, როცა მთავრობამ გულის მოსაგებათ მათ გაჰკაფეს მუშათა საწინააღმდეგო რეპრესიების გზა და ლივერპულის ყრილობაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლის თანახმად კომუნისტებს რიცხავდენ მუშათა პარტიიდან.

ჭ. დავიდ

ლონდონი, 1 იანვ. 1926 წ.

ხუთშაბათს, 14 იანვარს,

საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

საბჭოს ყველა სექციების ბიუროების

გაერთიანებული სხდომა

დღის წესრიგი:

1. საბინაო საკითხი,
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ბიუროების წევრებისათვის სავალდებულოა.
აღნიშნულ სხდომას შეუძლიათ დაესწრონ საბჭოს წევრებიც.

2—1 ნ. 585 პრეზიდიუმი.

პატარა ფელეტონი

ტფუ!..

ჰუნგრეთის მთავრობის წევრები დაჭერილ იქნენ ყალბი ფრანგული ბანკნოტების კეთებაში.
საფრანგეთი ჰუნგრეთისაგან ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს.

(დეპეშებიდან)

სკანდალი!.. სკანდალი!.. სკანდალი!..
ჩავიცვი ცალ ფეხზე სანდალი
და ცალზე—მოვირგე კალოში,
სხვა რიგათ ვერ შევხვალ სალონში,
მისული მინისტრთან ვიზიტათ...
ვაფასებ ამ საქმეს მე დიდათ.
საბჭოთა ქვეყნებით ეული,
რადგანაც მაკლია წყეული
ფული და მსურს ვნახო პარიზი...
არ ვიცი მე საქმის ფარიზი,
თუ მისგან ფულებს კი დავაძვრენ,
ოცნებას ბუზივით დავაფრენ:
ვეძებ, თუ სადაა „გეშეფტი“!..
ვიარე ჩვენში და ვერ შევხვდი:
ვერც ყალბი ბონების მომჭრელებს,
ვერც სხვისი ცხენების მომგვრელებს,
დამით რომ ფულებზე გავსცვალო,
ვერც „კასსა“-ს ისე, რომ გავსცალო,
(ამ საქმეს თვით სჩადის „კასსირი“!
მეც „კასსა“ ვერ ვნახე ავსილი,
რადგან ის თვით „კასსირს“ გაელო
და ფული, რაც იყო, წაეღო!..)
ვერც მუშას ვერ გავლეტ ჩვენს
დროში!..
ბიჭი ხარ, დააკელ მას გროში!
მაშინვე აგტეხს ერთ ყაყანს,
მიმართავს იქვე „ერ-კა-კა“-ს,
გაჩივლებს „ტრუდ-სუდში“, კავშირ-
ში,
გაგმურავს, არ გაგრევს ნახშირში,
ამ „ომში“ ის ბოლოს მიგილებს!..
და ხვედრს არ შეგარჩენს, მოგი-
გებს!..
მაშ, სიდგან ვიშოვო, რა გზებით?!
ფული კი მე მინდა აგზნებით,
რადგანაც პარიზში ცხოვრება
გამიტკბებს იქაურ „პოვრებმა“!..
რა და რა კერძებს არ გაჭმევენ!..
ფასად შიგ „პუსტიაკ“ გართმევენ,
მაგრამ ამ „პუსტიაკს“ ვინ მოგ-
ცემს?!

მე ბგერ, გიფიცავთ სამოთხეს,
რომ გროშიც არ მიდევს უბეში,
ვიხრჩვები ვალების გუბეში:
მრეცხავი ქალის მაქვს აბაზი,
მანათში სულს მართმევს ხაბაზი,
თვრამეტი კაპიკიც ბინისა
ვერ ქირას, მთელი თვის წინისა,
მისაცემს და არ მაქვს „ყურუშიც“
და მლანძღვენ!.. რა ვუყო? ვერ ვუშ-
ლი!..
მაშ, ამ ცხოვრების პატრონმა
რა ვქნა ამ ტკბილ ამბას ვამგონმა,
რომ აი, ბუდაპეშტ-ვენაში
ფული, ვით ნაგავი ვენახში,
ჰყრიათ, მოდი და მოხვეტე!..
მეც ქვეყნად ფულისთვის მოხეტე!..
წაველ, რომ შემეტყო ამბავი:
მართლაა, თუ არა, ამთავი,
იქ ფული, რომ ჯიბე გავტენო
და დარდი-სისაწყლე გავდენო!..
ჩავედი, რას ვხედავ მე ამას?
აქ ახალს წავაწყდი „პანამას“!..
მინისტრი... გენაცვათ... მინისტრი...
თუ ვსტყუი, მე ენას მივიჭრი...
ფრანგულს თვით აკეთებს ბანკნო-
ტებს!..
არ უმძიმს ეგ საქმე აქ ხორტებს
და არც მის პატარა წორტუნებს!..
ბდღვინავენ!..
იქნევენ ხორთუმებს!..
და ისე არიან მაღლები,
რომ მნახველს ზედ გრჩება თვალები!..
და ვაი!.. რა ესმა ეს ყურებმა?!
ვდგევარ და ამ „სკანდალს“ შევყუ-
რებ!..
შეჰყურებს მას მთელი ევროპა:
„ვენგრიის მთავრობამ შესტოპა
იმდენად ბანკნოტთა სკანდალში,
რომ ჩაჯდა პირდაპირ სანდალში,
არა თუ რიგიან კალოშში!..“
ტფუ, ახეთ მინისტრთა სალონში!..

ოსიხიძე.

კოოპერაცია

კოოპერაცია უნდა გავაძლიეროთ

(წერილი ზემო-სვანეთიდან)

საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოიპოვება კოოპერაციის გაძლიერებისათვის ისეთი ადგილი, როგორიც სვანეთში.

სხვა მაზრებში კოოპერაციის გაძლიერებას ხელს უშლის ჩარჩ-ვაჭრების კონკურენცია. ყველგან გვჭირდება აგიტაცია და პროპაგანდა იმის შესახებ, რომ კოოპერაცია უფრო სასარგებლოა გლეხებისათვის, ვიდრე კერძო სავაჭროები. ყველგან გვჭირდება კერძო ვაჭრებთან ბრძოლა კოოპერაციის გახსნის დროს. ზემო სვანეთში კი სულ სხვა მდგომარეობაა. აქ დღემდე არც ერთი კერძო სავაჭრო არ ყოფილა და არც დღეს არის, სვანეთის გლეხობა პირველად კოოპერატივს იცნობს, მას არც ერთი კერძო ვაჭარი არ ატყუებს და არ ამხედრებს კოოპერაციის წინააღმდეგ. მოთხოვნილება საქონლისა ბევრია. კოოპერატივი გახსნილია მხოლოდ დ. მესტიაში, არც ერთ რაიონში მეტი სავაჭრო დუქანი არაა.

მესტიის მომხმ. საზ-ბა „უშბას“ სავაჭრო დუქანში დღეს იმდენი მუშტარია, რომ მესამედსაც ვერ აკმაყოფილებს. საჭიროა ზემო სვანეთში კოოპერაციის გაძლიერება, საჭიროა გაიხსნას მაზრის 4 რაიონში ეპოები და თავისი განყოფილებები.

გრ. ჰელ—ი.

დააარსეთ სას.-სამეურნეო კოოპერატივი

(საპაიჭაოს თემი, ქუთაისის მაზრა)

საპაიჭაოს თემი, რომელიც მდებარეობს ქ. სამტრედიიდან 20 ვერსის მანძილზე, მდიდარია ყოველგვარ ხილეულობით, როგორიცაა: თხილი, ნიგოზი, ვაშლი, მსხალი, მოცვის ჩაი და სხვა. ადგილობრივი გლეხობის მთელი სიმდიდრე ხელში უვარდება სოფლის ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც ჩალის ფასად იტაცებენ გლეხობის ნაწარმოებს. რის მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს ხსენებულ თემში სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის უქონლობა. არა ერთხელ ყოფილა აძრული შუამდგომლობა „წარმოკავშირის“ გამგეობის წინაშე ხსენებულ ამხანაგობის დაარსების შესახებ, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

იმედია არ დასტოვებს „წარმოკავშირი“ მშრომელ გლეხობის თხოვნას უყურადღებოდ და დაარსებს საპაიჭაოს თემში სასოფ. სამ. კოოპერაციას.

ილია ადეიშვილი.

სპეკულიანტები ინვალიდთა კოოპერატივში

1923 წლის 10 მარტს ზესტაფონში დაარსდა ინვალიდების სავაჭრო საწარმოო არტელი—„იმერეთი“, რომელსაც შემდეგ სახელათ დაერქვა „იმედი“.

ეს არტელი თუმცა სავაჭრო-საწარმოო ხასიათის უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავისი მუშაობის მიხედვით არტელი გადაიქცა ისეთი პირების სავაჭრო ამხანაგობათ, რომლებიც მთელ რიგ ბოროტმოქმედებებს სჩადიოდენ როგორც საქართველოში, ისე მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

ინვალიდების არტელ „იმედს“ საკუთარი თანხები არ ჰქონდა და ის ყველა ოპერაციებს აწარმოებდა სახელმწიფო ორგანიზაციებიდან მიღებულ კრედიტების და კერძო კაპიტალის საშუალებით; ამასთანავე კერძო კაპიტალის მონაწილეობა გამოიხატებოდა 40 პროც., სახელმწიფო კაპიტალი [illegible].

„იმედს“ მოსკოვში ჰქონდა თავისი განყოფილება, რომლის მუშაობაში კერძო კაპიტალი უფრო დიდ როლს თამაშობდა; მოსკოვის წარმომადგენლობას მოსკოვში ჰქონდა 19 მაღაზია, 9 პროვინციაში, 1 ღვინის საწყობი, 2 ხილის მაღაზია და ძეხვის დუქანი, რომელთა შენახვა არ შეიძლებოდა იმ 6,988 მან. 63 კაპ. ღვინოებით, რომლებიც „იმედმა“ გაუგზავნა თავის მოსკოვის წარმომადგენლობას.

მოსკოვის წარმომადგენლობის მუშაობა მდიდარია მთელ რიგ ბოროტმოქმედებებით და სისხლის სამართლის დანაშაულით.

მოსკოვის წარმომადგენლობა მოსკოვში ხსნის ღვინის საწყობს, რომლის გამგეთ ნიშნავს საწყობის ყოფ. მეპატრონეს მოქ. ქეიშვილს; წარმომადგენლობა ადგენს საწყობის ფიქტიური ყიდვის აქტს და სათანადო ნდობის ბარათს აძლევს მოქ. ქეიშვილს; ამავე დროს ის ყოველის მხრივ იცავს მის ინტერესებს, უფლებას აძლევს მას იმოქმედოს „იმედის“ სახელით და, როგორც კოოპერატიული ორგანიზაცია. სარგებლობს სახელმწიფო ორგანოებიდან ყოველგვარი შეღავათებით.

კიდევ უფრო მეტი,—ქეიშვილი [illegible] ფერაძე მიღებული იქნენ ინვალიდთა არტელის წევრებათ და იღებდენ მაქსიმალურ სპეცგანაკვეთს.

რომ დაფარული ყოფილიყო ღვინის საწყობის ისტორია, ადგენენ ამ საწყობის ფიქტიურ ბალანსს; ქეიშვილისა და ფერაძისათვის მაქსიმალური განაკვეთის დანიშვნა კეთდება იმ მიზნით, რომ განყოფილების მთელი მოგება გადაეცეს ამ პირებს.

ერთ ერთ სპეკულიანტს—ვარლამ ფერაძეს შეცდომაში შეყავს მოსკოვის სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციები ადგენს გაბერილ ბალანსს და იღებს მთელ რიგ კრედიტებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებიდან.

ივანოვო-ვოზნესენსკის ტრესტიდან მიღებულ 17.588 მან. 56 კაპ. სახელხო მანუფაქტურიდან 11.329 მანეთის ფართლეულობა ამ სპეკულიანტებმა მიყიდეს ვაჭარ ხოჯაშვილს.

ყველა მასალები ამ საქმის შესახებ გადაცემულია კუთვნილებისამებრ იმ პირების პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც შენიშნული არიან ბოროტმოქმედებაში; ამასთანავე ზოგიერთი ეს პირები უკვე დაპატიმრებული არიან მოსკოვში.

საბინაო კოოპერაცია

„ცენტრალამშენი“-ს სისტემაში, ახლო ხანში, გარდა არსებული საბინაო-საამშენებლო კოოპერატივებისა, შედგენ აგრეთვე საიჯარო ამხანაგობებიც.

ასეთი რეორგანიზაციის შემდეგ „ცენტრალამშენი“, როგორც ასეთი ალარ იარსებებს და დაარსებულ იქნება სრულიად საქართველოს „საბინაო კოოპერატივთა კავშირი“. ამ ახალ გაერთიანების ჩატარების შემდეგ, თვით ფუნქციები საბინაო კოოპერაციისა გაფართოვდება.

ამჟამად „ცენტრალამშენი“-ს გამგეობა აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას გაერთიანების მოსაწყობათ.

საბინაო ამშენებლობის საქმეს გაადვილებს ის გარემოება, რომ ცენტრალური კომუნალური ბანკი, როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს საქართველოს კომუნალურ ბანკში, სესხს აძლევს საქართველოს საბინაო-საამშენებლო კოოპერაციას.

ამჟამად „ცენტრალამშენი“ აწარმოებს მოლაპარაკებას თბილისის აღმასკომის საქარხნო სამმართველოსთან, საბინაო ამშენებლობისათვის აგურების საკმაო რაოდენობის დამზადების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აღმასკომის საქარხნო-სამმართველო „ცენტრალამშენის“ მოთხოვნილების აგურზე ვერ დააკმაყოფილებს, ამ უკანასკნელს განზრახვა აქვს მოაწყოს თავის საკუთარი აგურის წარმოება, რისთვისაც ფიქრობს ღრმა[illegible] ხანის შეკეთებას და ამუშავებას.

გარდა ამისა, საბინაო ამშენებლობის უზრუნველსაყოფად სამშენებლო მასალით, „ცენტრალამშენი“ ადგენს [illegible] სახელოსნოს მოსაწყობად, სადაც მექანიკური წესით იწარმოებს დამზადება [illegible]ბისათვის საჭირო მოწყობილობების, როგორიცაა [illegible] ფანჯრების ჩარჩოები, კარები და სხვა.

სასოფლო მეურნეობა

კანაფის კულტურა

არც ძველ რუსეთში და არც საბჭოთა კავშირში უკანასკნელ დრომდე არ მზადდებოდა საქონლის სახვევი ჩასალაგებელი ქსოვილები, რომელიც საჭიროების დასაკმაყოფილებლად შემოჰქონდათ საზღვარ-გარეთიდან—უმთავრესად ინდოეთიდან და სპარსეთიდან. მრეწველობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილება სახვევ ქსოვილებზე—ჰილოფებზე და ტომრებზე, რომელიც წელს დიდი რაოდენობით შემოტანილ იქნა უცხოეთიდან, მაგრამ მოთხოვნილება მაინც ვერ დააკმაყოფილა.

ამ ერთი წლის წინად წამოიჭრა საკითხი, რომ შემოღებულ იქნეს საბჭოთა კავშირის სამხრეთ რესპუბლიკებში კანაფის თესვა.

ამ მიზნით საბჭოთა კავშირის ტრესტებმა გასულ წელს მოახდინეს ცდები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. საქართველოში სპარსული ჯიშის კანაფი დაითესა სამტრედიის, ქუთაისის, სუფსის და ფოთის რაიონებში და აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ცდებმა მეტად კარგი ნაყოფი გამოიღეს. გამოირკვა, რომ კანაფის კულტურისათვის შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნეს ყველა ჭაობიანი ადგილები. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ კანაფის კულტურას, რომელიც გადაგვარებას არ განიცდის, შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ქართველი გლეხის ეკონომიკაში. შემოსავლიანობის მხრივ კანაფი ხუთჯერ მეტად სჯარბობს სიმინდს.

მომავალ სასოფლო-სამეურნეო წლიდან საფეიქრო სინდიკატებს გადაწყვეტილი აქვთ შეუდგენ კანაფის თესვა-გაშენებას საქართველოს ტერიტორიაზე ფართო მასშტაბით სამრეწველო მიზნით.

წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია. სათანადო დაწესებულებები უკვე შეუთანხმდენ მიწათმოქმედების სახ. კომატს საჩვენებელი მინდვრების და აგროდახმარების მოწყობის შესახებ. სინდიკატები შეთანხმებული არიან აგრეთვე კოოპერატიულ დაწესებულებასთან, რომელნიც კისრულობენ გლეხებს შორის პროპაგანდის [illegible] მოღების შესახებ. ამავე დროს სწარმოებს იმ მოდინის გამოკვლევა და გამოანგარიშება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანაფის კულტურისათვის. წარსულ წელს დამზადებულ იქნა პირველი ფაბრიკატი ჩვენში მოსულ კანაფიდგან, რაც მეტად კარგი ღირსების გამოდგა.

სახალხო ჯანმრთელობა

სპეციალური კოლეგიის დაარსება ჯანმრთელობის კომისარიატთან

სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად და ამ მიზნით სამკურნალო საქმის გასაფართოებლად, სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსდა ცალკე კოლეგია 12 წევრის შემადგენლობით. კოლეგიაში შედიან: ჯანმრთელობის კომისარი ამხ. კუჭაიძე, მისი მოადგილე აბზიანიძე, უპარტიო გლეხი გეგეჭავა, თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე მამულია, პროფ. ალადაშვილი, ჯ. ხუტულაიშვილი, პროფ. მაჭავარიანი და მუხაძე, მთავარ საკურორტო სამმართველოს და პროფსაბჭოს წარმომადგენლები, სამხედრო სანიტარულ სამმართველოს უფროსი დერევენსკი და ექიმები; ლორთქიფანიძე და მაკაროვი.

კოლეგიის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას მიიღებენ მედსანშრომის წარმომადგენელნი და ჯანმრ. განყოფილებათა გამგენი.

კოლეგიის ამოცანაა უხელმძღვანელოს ყველა მთავარ საკითხებს საექიმო-სანიტარულ მშენებლობაში, როგორიც არის ბრძოლა სოციალურ სნეულებების წინააღმდეგ, სამკურნალო დაწესებულებების მუშაობისათვის თვალყურის დევნება, სოფლად მუშაობის გაცხოველება გლეხებისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის და სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში და სხ.

სასოფლო საკრედიტო ამხანაგობებში

სენაკის მაზრა

1924—25 წლის განმავლობაში ადგილობრივ ორგანიზაციების თაოსნობით სენაკის მაზრის სხვადასხვა თემებში მოწყობილი იქნა სასოფლო მეურნეობის შვიდი საკრედიტო ამხანაგობა.

გასული წლის შემოდგომიდან 7-ვე საკრედიტო ამხანაგობა გადავიდა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკის დასავლეთ საქართველოს განყოფილების გამგებლობაში.

სენაკის მაზრა თემებში არსებულ საკრედიტო ამხანაგობათაგან ყველაზე უკეთ საქმე დაყენებული აქვს ახალ-სენაკის ამხანაგობას დეკემბრის პირველ რიცხვისთვის ამ ამხანაგობას. უკვე ჰყავდა წევრად 610 გლეხი, რომელთაგან 73 წევრს შეუტანია ანაბარები თავის საზოგადოების სალაროში ანაბარების საერთო ჯამი დიდი არ არის, მაგრამ ანაბარების შეტანა აღსანიშნავია იმ მხრივ, რომ გლეხობაში საკრედიტო ამხანაგობა იხვეჭს ნდობას და პოპულიარობას. ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობას შეძენილი აქვს ერთი ტრაქტორი, რომელმაც გაზაფხულზე ხვნა-თესვის სეზონში მოხნა და დათესა არა მარტო საკრედიტო ამხანაგობის წევრთა ყანები, არამედ სენაკის თემის და აგრეთვე სხვა რაიონის არაწევრ გლეხების ადგილებიც, რისთვისაც ამხანაგობა გლეხებიდან ღებულობდა მცირეოდენ ქირას, თვით წევრებს კი უხნავდა უსასყიდლოდ.

ტრაქტორის მუშაობა იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ გლეხების მოთხოვნილებით საკრედიტო ამხანაგობამ გადასწყვიტა 1926 წლის ხვნა-თესვის სეზონის დამდეგისათვის გამოიწეროს კიდევ ერთი ტრაქტორი.

საერთოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდება თემის გლეხობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობამ სათანადო სიმაღლეზე დააყენა: ამხანაგობამ გლეხებს დაურიგა მრავალი სასოფლო სამეურნეო იარაღი. მის საწყობებში ამჟამად მომარაგებულია საკის სისტემის 20 გუთანი, კულტივატორები, ჩალის საჭრელი იარაღები, ცელები, ნამგლები და სხვა.

კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარის თანახმად რესპუბლიკანური შრომის სახ. კომისარიატები აწყობენ სპეციალურ პროფტეხნიკურ კურსებს. ამ ჟამად ა/კ. მრეწველობა განიცდის მომზადებულ მუშა-ხელის კრიზისს. განსაკუთრებით საგრძნობია კვალიფიციური მუშახელის სიმცირე სამეტალურგო, საფეიქრო, სამთო, საამშენებლო მრეწველობის დარგებში. იმ მიზნით, რომ გამოირკვიათ მუშა-ხელის [illegible]ბისათვის, შრომის სახ. კომისარიატებმა წინასწარ სახალხო-მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან და ცალკე სამეურნეო გაერთიანებებთან შეთანხმებით გამოარკვიეს საჭირო მუშა-ხელის რაოდენობა.

კურსები იქნება ექვსთვიანი და მასზე სამაცადინოდ მიწვეულნი არიან მხოლოდ უმუშევრები, რომელთაც უფლება აქვთ სოციალური დაზღვევის ორგანოებიდან დახმარების ღებისა.

ა. კ. შრომის სახ. კომ-ტის ცირკულიარის თანახმად პირველ რიგში უნდა 210 მუშა-ხელის გაწრთვნა-მომზადება. ამ რიცხვიდან აზერბეიჯანის მრეწველობისათვის უნდა მომზადდეს 100 ახალგაზრდა, საქართველოს მრეწველობისათვის—80, ხოლო სომხეთის მრეწველობისათვის—30. კურსებზე გავლილი იქნება 3 სპეციალობა.

შრომის სახ. კომ-ტის ორგანოები თავის თავზე კისრულობენ კურსების გასტუმრების და [illegible] უმუშევართა ნივთიერ დაკმაყოფილებას, რომელნიც პროფტეხნიკურ კურსზე არიან დაგზავნილნი.

ხარჯები სახელოსნოების მოსაწყობად, შენობების ქირა, და კომუნალურ სამსახურის ხარჯების გასტუმრება თავს იდებს სამეურნეო ორგანოებმა, რომელნიც პირობას აძლევენ აგრეთვე, რომ კურსანტების კურსის დასრულებისთანავე ისინი ჩააბან მუშაობაში.

გაბრიელ სუნდუკიანცის დაბადებიდან 100 წ. შესრულების გამო

გაბრიელ სუნდუკიანცის ხსოვნას

(1825—12 ივლისს (29 ივნისს)—1925).

ახალი სომხური ლიტერატურის წარმომადგენელთაგან არავინ იდგა ქართულ ლიტერატურასთან ისე ახლო, როგორც „პეტერატურასთან ისე, ახლო, როგორც „პეპო“-ს უკვდავი ავტორი—გაბრიელ სუნდუკიანცი.

ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი ის, რომ სუნდუკიანცი თბილელი მოქალაქე იყო და მთელი თავისი სიცოცხლე აქ გაატარა და ძველი თბილისის ცხოვრების გამოხატვას მოენდო; მეორე—რომ ის ლიტერატურული სომხური ენით კი არ სწერდა, არამედ თბილისის ხალხური კილოთი, რომლის წყალობითაც დიდი პოპულიარობა დაიმსახურა ფართო წრეებში, როგორც სომხურში, ისე ქართულშიაც; მან, როგორც საუკეთესო მცოდნემ ქართული ენისა, თავის ნაწარმოებებში შექმნა ისეთი სტილი, რომელიც ადვილი გასაგები იყო ქართველებისათვისაც. და ზოგიერთი საკუთარი თხზულებანი თვითონვე გადათარგმნა ქართულად.

სომხურ ლიტერატურაში სუნდუკიანცს უკავია განსაკუთრებული ადგილი. იგი მიმდევარია მოლიერისა, ოსტროვსკისა და, როგორც ასეთი, ერთად-ერთია სომეხ დრამატურგთა შორის. ამასთანავე ერთად, სუნდუკიანცს ბევრი რამ აქვს საერთო ზურაბ ანტონოვთან (ესეც ტომით სომეხი იყო), რომელიც ქრონოლოგიურად რამოდენიმე წინ უსწრებს მას.

გაბრიელ სუნდუკიანცი ტიპიური თბილელი მოქალაქე იყო. დაბადებულა 29 ივნისს (12 ივლისს) 1825 წელს. პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო იმ დროინდელ თვალსაჩინო პირთა—შაჰან-ჯრპეტისა და არტემ არარატიანისაგან (სომხური, ფრანგული და რუსული ენები მერე კი არზანიანების პანსიონში და კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დაუმთავრებია 1846 წელს. ხოლო უმაღლესი სწავლა-განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე—1850 წელს. ამის შემდეგ მსახურებდა თბილისში (და მოკლე ხნით დაღესტანში). გარდაიცვალა 30 მარტს 1912 წ. თბილისში და დასაფლავებულია ხოჯივანქის სასაფლაოზე.

სუნდუკიანცის სალიტერატურო მოღვაწეობა იწყება წარსული საუკუნის სამოციან წლებში და აღწევს 1912 წლამდე, მაშასადამე გრძელდება მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ ნახევარ საუკუნეში მას დაუწერია მრავალი პიესები (კომედიები) და აგრეთვე საგაზეთო ფელეტონები,—სულ ყველა ერთის გამონაკლისით თბილისის სომხურ დიალექტზე დაწერილი.

სუნდუკიანცი არ იყო პროლეტარული მწერალი და არც შეიძლება, რომ ასეთი ყოფილიყო. სუნდუკიანცს არც გლეხობა ყავს გამოხატული თავის ნაწერებში, და ეს იმით აიხსნება, რომ ის როგორც თბილისის მუდმივად მცხოვრებელი, ვერ იცნობდა სომეხ გლეხს. მაგრამ ამავე დროს, სუნდუკიანცი არ არის არც ე. წ. „მეშჩანური“ წრეების იდეოლოგი, ვინაიდან სწორედ ამათ დასცინის თავის ნაწარმოებებში და მათთან შედარებით „კინტო“-ს, ქუჩა-ქუჩა თაბახით ან „ტაჭკით“ მოვაჭრესა და ხუმარა-მასხარას, მორალურად მაღლა აყენებს.

პირველი კომედია, რომელიც სუნდუკიანცმა დასწერა, არის „საღამოს ერთი ცხვირი ხვირია“ ეს ერთ მოქმედებიანი კომედია პირველად წარმოდგენილ იქნა თბილისის ქალაქის თეატრში (აწინდელი „თამამშოვის“ ქარვასლის ადგილას) 1863 წ. 23 ოქტომბერს*); დაიბეჭდა სამჯერ, უკანასკნელად 1909 წელს. ეს კომედია გადათარგმნა ქართულადაც.

მეორე დაწერა „ხათაბალა“—4 მოქმედებით და 6 სურათით;



გაბრიელ სუნდუკიანცი

შემდეგ „ოსკან პეტროვიჩი საიქიოში“—1 მოქმედებით; „და სხვა, ანუ ახალი დიოგენესი“—2 მოქმედებით; „კვლავ ერთი მსხვერპლი“—5 მოქმედებათ; „პეპო“—3 მოქმედებათ; უკანასკნელი კომედია ავტორის მიერ გადითარგმნა ქართულად და გამოიცა 1880 წელს ამ სათაურით: „გაბრიელ სუნდუკიანცი. პეპო. კომედია სამ მოქმედებად. მისგანვე ქართულად ნათარგმნი“. (თბილისი 1880. გვ.).

გ. სუნდუკიანცის კალამს ეკუთვნის აგრეთვე: „დაქცეული ოჯახი“—3 მოქმედებით და „ცოლქმარი“—4 მოქმედებით;

მან გადათარგმნა ფრანგულიდან მოლიერის კომედია: „ჟორჟ დანდე, ანუ შეკრთომილი ქმარი“—3 მოქმედებით, რომელიც ფრანგულად პირველად დაიდგა ვერსალში 1668 წ. 18 ივლისს, ხოლო სომხურად ძველი რედაქციით თბილისის ქალაქის თეატრში 1878 წ. აპრილს სათაურით „დანდან-გევო“ და მომქმედ პირთა სახელების შეცვლით. სომხური თარგმანი დაიბეჭდა ერთხელ—1907 წელს.

შემდეგ გ. სუნდუკიანცმა დასწერა „აბანოს ბოხჩა“—2 მოქმედებით; „სიყვარული და თავისუფლება“—5 მოქმედებათ და უკანასკნელად „ანდერძი“—3 მოქმედებათ; სამწუხაროდ, დაუბეჭდავად დარჩა.

ყველა ზემოდ დასახელებული თხზულებები ერთის გამონაკლისით („ცოლ-ქმარი“), როგორც უკვე აღვნიშნე, თბილისის სომხურ დიალექტზეა დაწერილი, თბილისში მრავალჯერ წარმოდგენილი და თბილისშივე დაბეჭდილი. მაგრამ სულ ყველაზე პოპულიარული აღმოჩნდა „პეპო“, რომელიც არა მარტო ქართულად გადითარგმნა, არამედ რუსულადაც.

„პეპო“—ში საუცხოვოდ გამოხატულია, ერთის მხრივ, თბილისში ახლად ფეხმოკიდებული ბურჟუაზია და სავახშო კაპიტალი, რომელიც ემყარება ძალაზე, ხელისუფლებაზე, პოლიტიკაზე, მეორე მხრით კი—ხელოსნები ანუ ე. წ. ამქრობა. ამ ორ წრეთა შორის, რომლებიც ერთმანეთში ვერ რიგდებიან, ჩნდება „კინტო“, რომელიც დაქვეითებული და გამასხარავებული და, თუმცა ისჯება, მაგრამ მორალურად მაინც გარეშე წრეზე მაღლა დგას. ამიტომაც სუნდუკიანცის სიმპატია მუდამ „კინტო“-ს მხარეზეა. „კინტო“ ის ობიექტია, რომელსაც ავტორი მუდამ იცავს.

და მართლაც, „კინტო“-ს სულისკვეთების გასაგებად საკმარისია ადამიანმა ჩაუკვირდეს პეპოს იმ მონოლოგს, რომელიც საუცხოვოდ არის მოყვანილი კომედიის პირველი მოქმედების ბოლოში.

პეპო ამბობს:

„წადი, პეპო, მიწა მოლოკე, ხალხს მუხლები დაუკოცნე, იმათი ფეხების მტვერი ალოკე.. ვინა ხარ შენა? რა კაცების ანგარიშში ხარ შენ? როდესაც უნდათ, ფეხქვეშ ჩაგიგდებენ, ზედ შეგდგებიან, მიწასთან გაგასწორებენ... რა გიშავს? ჭიანჭველაზედ რით ხარ მეტი?! შენ ხომ კაცი არა ხარ, შენ სხვების საჭმელად გაუჩენიხარ ღმერთსა... ღამე იტანჯე, ცის-ქვეშ გაათენე, წვიმას და ქარს ებრძოლე, ზამთარში ყინვისაგან ითრთოლე, ზაფხულში მზის პაპანაქებაში დაიწვი და დაიხრუკე. წადი ამნაირად ლუკმა-პური იშოვე და იმ ლუკმა-პურით დაი და დედა არჩინე!.. ეს რა, რა კაცობაა?.. ამნაირად ხომ ძაღლიც შოულობს ერთს ლუკმას, რომელიც ხალხს ყარაულობს...მითომც შენც ძაღლი ხარ...სანამ დედა-მიწაზედ დადიხარ, შენც ისე ძაღლურათ ირჩინე თავი!.. ეს რა კაცობაა?.. ბიჭო თუ გინდოდა კაცი გამოსულიყავ, წავიდოდი, ხალხს გახცარცვავდი, იქურდებდი, ჩემისთანა საწყლებს დასჩაგრავდი, ოციათას ადგილს სისხლის ცრემლებს დააღვრევინებდი, იმ ცრემლებს ფულად აქცევდი და ამ ფულით ოქროს ჩარდახებს დასდგამდი... შიგ დიდებულად გამოიჭიმებოდი, დროშკას, კალიასკას, ცხენებს გაიჩენდი, ახ ჩემისთანა მოსამსახურეს იახლებდი... აი, მაშინ მე შენ გეტყოდი, რომ კაცი ხარ, პეპო, როგორც კაცობას ეკადრება! რასაც ინატრებდი, მაშინვე იშოვნიდი... მაშინ ყველანი თავს დაგიკრავდენ, დაგპატიჟებდნენ, პატივსა გცემდნენ და ერთმანეთს თავებს მიატეხდნენ, რომ ოღონდ შენი თვალი იმათზე ტკბილად ყოფილიყო“.

„პეპო“-ს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა ეხლაც და არ დაჰკარგავს იგი მას ახლო მომავალშიაც.

სუნდუკიანცის მიერ გამოყვანილი ტიპები, მეტადრე კინტოები, ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც საინტერესო არიან. ხოლო მისი კომედიების ენა დარჩება იმ საუნჯეთ, რომელზედაც მომავალი თაობის მეცნიერ-ლინგვისტებს მოუხდებათ დაამყარონ თავიანთი დაკვირვებანი ე. წ. თბილისის სომხური დიალექტის შესახებ იმის შემდგომ, როდესაც უკანასკნელს აწმყოკვდავის, ხსენებაც არ იქნება.

დასასრულ საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, რომ საუცხოვო იუმორი ახასიათებდა სუნდუკიანცს მთელ მის სიცოცხლეში. იუმორით ცხოვრობდა და იუმორითაც დაამთავრა მან თავისი სიცოცხლე: 87 წლის მოხუცმა სიკვდილის 7 თვის წინ (1911 წ. 14 აგვისტოს) დასწერა „ანდერძი“, რომელიც კონვერტში დაბეჭდილი გაუგზავნა „მშაკ“-ის რედაქციას იმ პირობით, რომ სიკვდილისთანავე გამოქვეყნებულ ყოფილიყო, რაც, რასაკვირველია, წმიდად შესრულებული იყო.

ანდერძში, რომლის სათაური იყო „ჩემი სიკვდილი და დაკრძალვა“, მოხუცი დრამატურგი ემშვიდობებოდა ყველას, სხვათაშორის, შემდეგი სიტყვებით: „მშვიდობით, საყვარელნო ადამიანებო, რა ტომისა, ნათესავისა და სარწმუნოებისაც არ უნდა იყვნეთ. მშვიდობით საყვარელო ქალაქო თბილისო!“ და სთხოვდა, რომ სულ უბრალოდ დაასაფლავონ მისი ნეშთი: კუბოს წაღებად 8 ამბალი და 8 კინტო დაპატიჟეთო, რომლებიც ჩიტსავით გამქტუნებენო; ვინ იცის მათ შორის ნამდვილად პეპოც აღმოჩნდეს და ეგ დიდი პატივი იქნება ჩემთვისო. საფლავზე არავითარი ძეგლი საჭირო არ არისო: ერთი მუქი ქვა და ჩემი სიტყვა, და ქვაზე ასე დააწერინეთო: „გაბრიელ სუნდუკიანცი—შამილ **) დაიბადა 1825 წ. 29 ივნისს, გარდაიცვალა 191—წ.-ს“. არც არავინ იტიროს ჩემი სიკვდილის გამოო, არც გვირგვინები, არც ამპოვანი, არც ქელეხი, ვინაიდან ყველა ამისთანებზე „ჭიპიანად მოვდივართ“. არც არავინ შეაწუხოს ჩემი ოჯახობა სამძიმრებითო: ვისაც სურს სადარბაზო ბარათი დასტოვოს კარებში და იმ წამსვე გაბრუნდესო.

მაგრამ სულ ყველაზე საინტერესოა იმავე ანდერძის ბოლოს დართული post scriptum-ი, სადაც სუნდუკიანცი სხვათაშორის ამბობს: „თუ გულით გინდათ ჩემთვის ძეგლი დადგათ და ამის ღირსად მთვლით, ეგ ძეგლი, ჩემს ნაცვლად, პეპოსთვის აღმართეთ, სადაც კი მოუხდება“. შემდეგ მოდის ძეგლის აღწერა, თუ რა სახისა უნდა იყოს პეპო და რა ჰქონდეს მას ხელში.

უკვდავი დრამატურგის უკვდავი გმირი პეპო მართლაც ღირსია ძეგლისა. და ეს ძეგლი უნდა ამშვენებდეს ძველი თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო კუთხეს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

---

*) თარიღები მომყავს ძველი სტილით. ლ. მ.—ბ.

**) ამ ფსევდონიმით ის სწერდა ფელეტონებს გაზეთებში. ლ. მ.—ბ.

გაბრიელ სუნდუკიანცის ხსოვნას

ერთ დღეს გვითხრეს, რომ ხვალ მთელი დასი გ. სუნდუკიანცთანა ვართ მიწვეულები სადილათ და იქვე უნდა წავიკითხოთ პიესაო. რამდენადაც მახსოვს ეს პიესა იყო „ხათაბალა“. ეს იყო 1882 თუ 83 წელში.

მაშინდელი დასის შემადგენლობა ძლიან პატარა იყო. მთელ დასში შედიოდა ათი თორმეტი კაცი. სახელდობრ იყვნენ: პატივცემულნი კოტე ყიფიანი, ნატალია გაბუნია ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, შიშნიაშვილი, მძინაროვი, მარიამ საფაროვა, ადამ ჩუბინოვი, ზალიკო მაჩაბელი, მაშო ყიფიანი, კორინთელი, ევქსენტი ცაგარელი და გრიგოლ ყიფშიძე.

ასიკო ცაგარელი იყო სუფლიორი, გიგო ყიფშიძე სცენარიუსი და ადამ ჩუბინოვი ადმინისტრატორი. ყველა ზემოხსენებულ მსახიობებმა მოვიყარეთ ერთად თავი და გავემართენით სოლოლაკისკენ, სადაც სცხოვრობდა განსვენებული სუნდუკიანცი. მივედით, აგვიყვანეს ზემო სართულში. წინ მოგვეგება თვით გაბრიელ სუნდუკიანცი, მშვენიერი სახის ვაჟკაცი, მომცინარე სახით, პატარა ულვაშებით, ერთი სიტყვით წარმოსადეგი ვაჟკაცი.

ჯერ სადილათ მიგვიპატიჟა. მშვენიერი სუფრა გაგვიმართა.

სადილი რომ გავათავეთ ავიშალენით, გავედით სადარბაზო ოთახში. იქიდანვე სტუმართმოყვარე მასპინძელმა მიგვიწვია თავის კაბინეტში: „აი, ესეც ჩემი სამუშაო ოთახიო“.

შემოუსხედით მაგიდას გარშემო. დავიწყეთ პიესის კითხვა. თან ყველა ჩვენთაგანს განსვენებული გვეუბნებოდა: „აი, გენაცვალე, ეს თქვენ უნდა ითამაშოთ და კარგათ უგდეთ ყური“-ო. რასაკვირველია, გვიხსნიდა სათითაოთ რა ხასიათის ტიპი უნდა განგვესახიერებინა. როცა გავათავეთ კითხვა, ავიშალენით აღტაცებულნი პიესის შინაარსით. გაბრიელმა ერთხან თვით გამოგვაცილა და გამოთხოვებისას გვითხრა: „აბა, ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ეხლა ჩემ პიესის ბედ-იღბალი თქვენ ხელშიაო“.

თეატრი მაშინ ივსებოდა სუნდუკიანცის პიესებით. მე მახსოვს როდესაც გაგვიჭირდებოდა, იმისი პიესები იყო ჩვენი გაჭირვების ტალკვესი. ამ პატივცემული ავტორის პიესებს ჩვენ თითქმის უნაკლოდ ვთამაშობდით და შემოსავალიც კარგი გვქონდა. როცა სუნდუკიანცის პიესები მიდიოდა, ავტორი არა ნაკლებ ორ რეპეტიციაზედ დაესწრებოდა, საუნდ ათჯერაც გვქონოდა ის პიესა ნათამაშევი. ყველას გვშველოდა მსახიობებზედ უფრო თვითონ ღელავდა, სრულიად უმნიშვნელო როლის შემსრულებელი რომ ენახა გამოცვლილი, სასტიკ ყურადღებას მიაქცევდა და გვეტყოდა: „გენაცვალეთ, შვილებო, ამა და ამ როლის შემსრულებელი გამოგიცვლიათ და თუ შეიძლება ჯერ ის ადგილი გაიაროთო“. მისი მოსვლა ყველაში აღფრთოვანებას გამოიწვევდა ხოლმე.

მახსოვს ერთხელ „ხათაბალაში“ ნატალიას როლი უნდა მეთამაშნა. შემოვიდა ჩემს საპირისფარეშოში და, რომ ამათვალიერ ჩამათვალიერა, სახეზედ სიამოვნების ღიმილი გადეშალა. მითხრა: „აბა, რა გითხრა შვილო, დუშკაჯან, სანამ შენ ცოცხალი ხარ, ჩემი ნატალია და ეფემიაც ცოცხლებენ. მართლა, გენაცვალე, აბა, დღეს ხმაზედ როგორა ხარო?“ „ვერა ვარ „გაბრიელ ნიკიტიჩ“ კარგათ და არ ვიცი ჩემი საქმე როგორ იქნება მეთქი“, ვუპასუხე. „მაშ აი, გენაცვალე, რას გეტყვი, ხომ იცი საცა ვზივართ. სიმღერის დროს მე გადმომხედეო, თუ ასე ვზივარო, (და დაიკრიფა გულხელი) ნუ გაიმეორებ სიმღერას, თუ ასე გაშლილი მილაგია კრესლოს ფრთეებზედო ხელები მაშინ ნუ გეშინიან, წადი და წადი, რამდენჯერაც გთხოვონ გაიმეორეო“.

ამის შემდეგ განსვენებულს მე აღარ შევხვედრივარ ავადმყოფობის გამო. მახსოვს მხოლოდ, როდესაც ჩემი ოცდა ხუთმეტი წლის იუბილე იყო, იმისი მოლოცვა უკვე ავადმყოფისგან.

აი, უკანასკნელი იმისი ჩემდამი გამოხმაურება. ვიხრი მდაბლათ თავს ნიჭიერ მწერლის ხსოვნის წინაშე.

მარიამ საფაროვა-აბაშიძე.

საყოველთაო აღწერა

(სტატისტ. სამმართველოს ცნობებით)

1926 წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარდება რამოდენიმე სტატისტიკური აღწერა—სასოფლო-სამეურნეო, დემოგრაფიული, სავაჭრო-სამრეწველო-აღწერების ჩასატარებლად. საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოსთან მოწყობილია სპეციალური კომისია, რომელიც უკვე შეუდგა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა საქართველოში დაიწყება ივნისში და გაგრძელდება სექტემბრამდე, სამუშაოდ გაწვეულ იქნება 1000-მდე კვალიფიციური მუშაკი—უმთავრესად უმუშევართა წრიდან. ამჟამად ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო ამუშავებს სიებს იმ დასახლებული პუნქტებისა, სადაც აღწერა უნდა ჩატარდეს. მზადდება აგრეთვე ყველა დასახლებულ პუნქტების სამაზრო რუქები. ადგილებზე სწარმოებს იმ პირთა აღრიცხვა, რომელთაც შეუძლიათ აღწერაში მონაწილეობის მიღება. თვით კომისია ამუშავებს აღწერის ტეხნიკას და აგრეთვე ხელფასის სანიმუშო პირობებს.

აღწერისათვის საჭირო ყოველგვარი ფორმულიარები დაიბეჭდება თბილისში როტაციულ მანქანებზე ქართულად და რუსულად. ფორმულიარების შესადგენად ყოველგვარი აღწერისათვის ეწყობა კომისია მცოდნე პირთაგან, რომელთაც დავალებათ რუსულად არსებულ ფორმულიარების გადმოღება.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის დამთავრების შემდეგ დაიწყება დემოგრაფიული (მოსახლეობის რიცხვის) აღწერა, რისთვისაც საჭირო იქნება მომუშავეთა უფრო მეტი რაოდენობა.

სავაჭრო-სამრეწველო აღწერა იწარმოებს მთელი წლის განმავლობაში. აღწერების ვადათ დაწესებულია: სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის ივლისი, აგვისტო და სექტემბრის პირველ ნახევარი, დემოგრაფიული აღწერა იწარმოებს დეკემბერის განმავლობაში.

აღწერების წარმატებით ჩასატარებლად ადგილებზე შედგენილია სპეც. კომისიები, რომელნიც ამჟამად პროპაგანდას ეწევიან აღწერათა მნიშვნელობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცაკის მე-2 სესია

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-2 სესია

მოწვეული იქნება 1926 წ. 25 იანვარს

ქ. ერევანში

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება.
2. სომხეთის მთავრობის მოხსენება.
3. ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.
4. ღონისძიებანი ამიერ-კავკასიაში გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ასაღორძინებლად.
5. ამიერ-კავკასიის 1925—26 წლ. ბიუჯეტი.
6. ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციაში დამატების შეტანა საბიუჯეტო უფლებების შესახებ.
7. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების და საბჭოთა მეურნეობების შესახებ.
8. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ ამიერ-კავკასიის ცაკის სესიების შუალედში მიღებულ დეკრეტების დამტკიცება.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი—ა. ზავრიდოვი

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის
ყველა რაიკომებს
პარასკევს, ა | წ. 15 იანვარს

ერთიან პარტიულ დღეს

მოიწვიონ უჯრედების ჯგუფური კრებები და დღის წესრიგში დასვან საკითხი

საკავშირო კომპარტიის მე-14-ე ყრილობის შედეგების შესახებ

(ცეკას პოლიტიკური ანგარიში)

უჯრედთა კრებების ჩასატარებლად რაიონებზე მიმაგრებული არიან შემდეგი ამხანაგები:

ლენინის რაიონი—ამხ. კახიანი, ხვანიძე, ახრიმეკოვი.
მე-2 რაიონი—ამხ. კახიანი, ახრიმეკოვი, რატნეკი.
მე-3 რაიონი—ამხ. ლუკაშინი, ყურულაშვილი, ვართაპეტოვი და, შირვანსკი.
ქალაქის რაიონი—ამხ. მამია ორახელაშვილი, ოკუჯავა, ლუკაშინი ნაზარეთიანი და კოსტანიანი

მიმაგრებული ამხანაგები უნდა შეუთანხმდენ სათანადო რაიკომებს.

თბილისის კომიტეტის მდივანი—ახრიმეკოვი

ულარიბეს გლეხობის შეკავშირებისათვის

ჩვენი პარტიის ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს დღეს სოფლის ღარიბ ელემენტების შეკავშირება და მისი აქტიური ჩაბმა სოფლის აღმშენებლობაში. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეთ სდგას დღეს, როდესაც ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად აქტიურობას იჩენენ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილები. ქალაქში ბურჟუაზია და სოფლათ კულაკები უფრო და უფრო თამამდებიან და ცდილობენ თავისი გავლენა განამტკიცონ სხვა ფენებზედაც.

სწორეთ აქ მართებს ჩვენს პარტიის სიფხიზლე, რომ ლაგამი ამოსდვათ კულაკის მისწრაფებებს სოფლათ, საჭიროა მას მოწინააღმდეგე შეკავშირებული ძალა დაუხვედროთ ეს ძალა სოფლის ულარიბესი გლეხობაა ამ უკანასკნელთა შორის მუშაობას ამდენ ხანს ჩვენში მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა. აწი კი ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. სოფლის ულარიბესი ელემენტები უნდა გამოვიყვანოთ საზოგადოებრივ ასპარეზზე სამუშაოთ. ამდენხანს კი ვერაფერს ასეთს ვერ ვხედავდით. ღარიბი გლეხი გართული იყო თავის ყოველდღიურ მუშაობაში, დღე და ღამეს ასწორებდა ლუკმა პურისთვის და საშვალება არ ეძლეოდა რაიმე მონაწილეობა მიეღო სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში. იშვიათად ნახავდით ულარი- საქმეზე. ერთი სიტყვით ის არ იჩენდა ბეს გლეხს კრებაზე ან სხვა საზოგადო აქტივობას; მას ნაკლებათ აინტერესებდა, თუ როგორ მუშაობს საბჭო, კოოპერატ., გლეხკომი და სხვ.

არ უნდა თქმა ასეთ მდგომარეობით ისარგებლებს კულაკი, ის შეეცდება განამტკიცოს თავისი გავლენა [illegible] ჩაკლას მათში ინტერესი საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი. რომ ეს მოახერხოს კულაკმა, შემდეგ ის შეეცდება ყველა ორგანიზაციები თავის ხელში ჩაიგდოს და სოფლის ხელმძღვანელის როლში გამოვიდეს.

ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინონ ჩვენი სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა და ულარიბეს გლეხების შეკავშირებით კულაკები თავის ჩარჩოებში ჩააყენონ. ულარიბეს გლეხობას უნდა ჩავაგონოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისი ხელისუფლებაა და საჭიროა იმ ხელისუფლების საქმიანობაში იმანაც მიიღოს მონაწილეობა. სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში ულარიბესი გლეხი აქტიურათ უნდა გამოდიოდეს. საბჭოებში, გლეხკომებში, კოოპერაციაში და სხვ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საშუალო გლეხობასთან ერთად, ულარიბესი გლეხებიც უნდა იქნან ჩაბმული. ამით ჩვენ შევძლებთ კულაკის გავლენის შესუსტებას სოფლის ორგანიზაციებზე.

მალე ჩვენში საბჭოთა არჩევნები დაიწყება. ამით უნდა ისარგებლონ სოფლის უჯრედებმა და არჩევნების კამპანიის ჩატარებაში ერთად შეაკავშირონ ულარიბესი გლეხები. საჭიროა ხშირათ იმართებოდეს ულარიბეს გლეხების კრებები, ასეთ კრებებზე ირჩეოდეს სოფლისთვის საყურადღებო საკითხები.

ყოველი შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ, რომ სოფლის ულარიბესი ნაწილი შევაკავშიროთ, ჩავაბათ საბჭოებში, გლეხკომებში, კოოპერაციაში; დავაყენოთ ისინი ჩვენი გავლენის ქვეშ და მით განვამტკიცოთ სოფლათ პარტიის გავლენა.

ლ.

საბჭოთა არჩევნები და სოფლის უჯრედები

იანვრის პირველ რიცხვებიდან მთელ საქართველოში დაიწყება საბჭოების არჩევნები.

დღევანდელ ხანაში მთელი ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება საბჭოთა ქვედა-აპარატების გაჯანსაღებისაკენ არის მიქცეული.

ამ ქვედა საფეხურის აპარატის მუშაობის გამოცოცხლებაში, თვითონ მშრომელმა გლეხკაცობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

თუ სოფლის საბჭო უმთავრესად საქმიანი ხალხისაგან შესდგება, მაშინ მთელი თემის კეთილდღეობა უზრუნველყოფილია.

დღეს ჩვენ საბჭოების მუშაობის დარგში გვაქვს საკმაო გამოცდილება, ამ [illegible]ებული გამოცდილებით ჩვენ შე[illegible]ლია გავითვალისწინოთ ყველა ის შეცდომები, რომელიც იქნა დაშვებული გასულ წელს.

საბჭოების არჩევნებს თემის უჯრედები საკმაოდ მომზადებული უნდა შეხვდნენ.

სანამ დაიწყებოდეს საბჭოს ახალი არჩევნები, მანამ საჭიროა სოფლის ძველ საბჭოს მოვსთხოვოთ თუ რის გაკეთება შესძლო მან ამ ერთი წლის განმავლობაში. მიმდინარეობდა თუ არა საბჭოს წევრთა შორის სოლიდარული მუშაობა; რა დაბრკოლებები ეღობებოდა საბჭოს თავის მუშაობის დროს; განიცდიდა თუ არა ნაწილობრივ მაინც საბჭოს წევრები სოფლის ბობოლა გლეხების გავლენას; აქედან გამომდინარე, რამდენათ მტკიცეთ იდგა საბჭო, ღარიბი გლეხკაცობის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე; რამდენათ ასრულებდა სოფლის საბჭო ჩვენი ხელისუფლების დაკანონებას.

ამ არჩევნების დროს უბრალო მაყურებელი როდი იქნება სოფლის პარტიული ორგანიზაციები.

სოფლის პარტიულ უჯრედები ახლავე უნდა შეუდგენ წინასწარ სამზადისს. ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული იქითკენ, რათა მშრომელი გლეხკაცობის დიდი ნაწილი მოვაქციოთ სოფლის საბჭოს წევრებათ, რომ ამით მთელი მათი მუშაობა წავიყვანოთ მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცების გზით.

პარტიულმა უჯრედებმა უნდა იცოდენ, რომ მთელი თემის კეთილდღეობა, საბჭოს მუშაობაზეა დამოკიდებული და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეუდგეთ საბჭოსათვის შესაფერი კანდიდატების შერჩევას.

ჩვენ უნდა ვეცადოთ საბჭოს წევრად გავგზავნოთ ჩვენს წარმომადგენლათ ისეთი წევრი, რომელიც დაინტერესებული იქნება თემის კეთილდღეობაში.

როდესაც საბჭოებში ჩვენ გავგზავნით საქმისადმი ერთგულ ამხანაგებს მაშინ უნდა მივცეთ ჩვენს მიერ არჩეულ საბჭოს წევრს დავალება, რათა მათ არ განიმეორონ ის შეცდომები, რომელმაც გასულ წელს ზიანი მოუტანა მთელ მოსახლეობას.

ჩვენ უნდა მივსცეთ დავალება ჩვენ პარტიულ ამხანაგ საბჭოს წევრებს, რათა მათი მიდგომა სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხების მიმართ, გამომდინარეობდეს, არა თავიანთი საკუთარი კერძო შეხედულებიდან, არამედ მთელი თემის მოსახლეობის საერთო შეხედულებიდან.

მაშინ მშრომელი გლეხკაცობა სინამდვილეში მართლაც დაინახავს საბჭოს სახით მათი საერთო ინტერესების დამცველ ორგანოს.

დასასრულ სოფლის პარტიულმა უჯრედებმა უნდა ეცადონ საბჭოში გაიყვანონ მშრომელი ინტელიგენციის ნაწილი მაინც.

დღემდე ამ მხრივ არა გვაქვს საგრძნობი მიღწევები. აქ რასაკვირველია დანაშაული მარტო სოფლის უჯრედებს არ მიუძღვის. გასაბჭოების პირველ ხანებში სოფლის მოინტელეგენტო პირები გაურბოდენ ჩვენთან საერთო თანამშრომლობას დიდ სირცხვილად მიაჩნდა სოფლის ზოგიერთ ინტელიგენტს აღმასკომებში გლეხებთან მუშაობა.

დღეს ეს მდგომარეობა არა გვაქვს ჩვენ სოფლად. სოფლის ინტელიგენციამ პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

ეს მომენტი სოფლის უჯრედებმა უნდა გამოიყენონ ჩვენსა და მშრომელი ინტელიგენციის შორის შეთანხმებული მუშაობისათვის.

რომ საბჭოს საქმიანობა შეთანხმებული იქნეს მთელი მოსახლეობის ინტერესებთან რომ სოფლის საბჭომ მართლაც განახორციელოს ის მთავარი ამოცანები, საჭიროა თვითონ გლეხკაცობა ახლოს იდგეს საბჭოს მუშაობასთან. ამას უსათუოდ უნდა მიაღწიონ სოფლის კომუჯრედებმა.

პატ.

სოხუმის ორგანიზაცია მე-14 ყრილობას უჭერს მხარს

სოხუმი, 12 იანვ. მოხსენებები მე-14 პარტყრილობის შესახებ, რომლებიც ტარდება უჯრედებში, დიდ ინტერესს იწვევს. მიღებულ რეზოლიუციებში კიცხავენ ლენინგრადის ოპოზიციას. ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს მრეწველობაში და სას. მეურნეობაში პარტიისა და მისი ცეკის ხელმძღვანელობით, და მთლიანათ უერთდებიან მე-14 ყრილობის რეზოლიუციას.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მოწაფეთა შორის

(ნაგომარის 7 წ. შრ. სკოლის ა. ლ. კ. კ. უჯრედი).

ზემოხსენებული უჯრედი არსებობს 1924 წლიდან. უჯრედი აერთიანებს 18 წევრს, ამათ შორის 8 ქალია. მოწაფეთა დამოკიდებულება პედ. საბჭოსთან და თვითმართველობასთან კარგია. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ. კომკავშირის ინიციატივით ეწყობა საღამოები. არის „რემედასს"-ის უჯრედი, ქალთა წრე და სხვადასხვა წრეები.

ა.

შუხუთის თემი

ჩვენი საქმიანობა წარსულ ზაფხულის პერიოდში შედარებით ნაყოფიერი იყო; დავაარსეთ საგლეხო კურსები, მოვაწყვეთ 4 ღია კრება, სამი [illegible] კომპარტიის და კომკავშირის წევრები. იმართებოდა კამათიც. გარდა ამისა კომპარტიამ და კომკავშირმა დაამუშავა 2 ქც. მიწა კოლექტიურად. მოაწყო და გააშენა საბავშო ბაღი და შესრულებულ იქნა სკოლის შენობაზე სამუშაო. მოვაწყვეთ ორი საღამო-სეირნობა, ერთი ადგილობრივ ორგანიზაციის სასარგებლოდ, რამაც სრული სააგიტაციო ხასიათი მიიღო. მეორე საქველმოქმედო მიზნით სკოლის შენობის დასამთავრებლად. ნაკლულევანებათა შორის, უმთავრესად უნდა აღვნიშნოთ პარტიის წევრთა შეუგნებლობა, სათანადო წიგნების უქონლობა. საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა და ხელმძღვანელობის უქონლობა. საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა და სათანადო ჟურნალ-გაზეთების მოწოდება. ურიგო არ იქნება მაზრიდანაც რომ შემოიარონ ხანდახან და გაიგონ ჩვენი ტკივილები.

ახკორი ორაგველიძე.

„ავია-ქიმი"

სენაკის მაზრაში 1924 წ. ნოემბრიდან დაარსებულ იქნა ს. ფ. შ. ს. არჩეულ იქნა სათანადო საინიციატივო ბიურო, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებია საზოგადოება მაზრის მასშტაბით, მაგრამ სამწუხაროდ საინიციატივო ბიურო ქაღალდზე დარჩა და მას სინამდვილეში თითქმის არაფერი არ გაუკეთებია. აღნიშნულ ბიუროს 1924 წ. დეკემბრიდან—ნახევარი წლის განმავლობაში ერთი სხდომაც არ ქონია.

ამ უკანასკნელ ხანებში ეს საკითხი დასმულ იქნა სამპარტკომის აგიტ-პროპ. განყ. კოლეგიის სხდომაზე, სადაც აღნიშნულ იქნა წარსულ მუშაობაში ხელმძღვანელთა სისუსტე; მომავალში კი მაზრის მასშტაბით „ავია-ქიმიის" უჯრედების ჩამოსაყალიბებლად შემუშავებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებისა, რომლითაც პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და მასთან კომკავშირის ორგანოებს ევალებათ: [illegible] უჯრედების ჩამოყალიბებაში, ყოველგვარი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ „ავია-ქიმიის" უჯრედებს.

დაგზავნილ იქნა სათანადო ცირკულიარი ყველა ორგანოების ხაზით.

ე.

კოკის თემის უჯრედი.

(ზუგდიდის მაზრა).

სოფ. კოკის თემში არსებობს ა. ლ. კ. კ. უჯრედი, რომელიც აერთიანებს 30-მდე წევრებს და კანდიდატებს. უჯრედის საერთო კრებები კვირაობით ხდება, შაბათობით კი პოლიტიკური მეცადინეობა სწარმოებს. პოლიტ-მეცადინეობას ესწრებიან აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდებიც, ამ ბოლო ხანებში უჯრედი იმდენად გაიზარდა, რომ საჭირო შეიქნა გაყოფა სამ ნაწილად. 1 უჯრედი თვით კოკაში, 2 უჯრედი 7-წლედში და 3 კი ნაჭეი ვახათში. (კოკის თემში) ამ გამოყოფამ დიდი ნაყოფი მოუტანა, მუშაობა გაცხოველდა, უჯრედები უფრო დაუახლოვდა უპარტიო ახალგაზრდობას არის აგრეთვე პიონერთა ორგანიზაცია, სადაც ირიცხება 200-დე წევრი ამ მოკლე დროში დაარსდა პოლიტსკოლა.

ახკორი კოლია მიქელია.

რადიო თბილისში

რადიომ თბილისში მაგრად მოიკიდა ფეხი. მიმღებ რადიოსადგურთა რიცხვმა თბილისში უკვე სამ ასეულს გადააჭარბა. რადიო-ფირმების მოწმობით, ამჟამად თბილისში დიდი მოთხოვნილება არის რადიოს ხელსაწყოებზე, განსაკუთრებით ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატებზე.

მიმღებ სადგურებს სდგამენ სხვადასხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები. ხშირია შემთხვევა აგრეთვე ერთეულ რადიო-მოყვარულთა მიერ მიმღებ სადგურის მოწყობისა. თბილისის სახლების სახურავები იქსელება ანტენების ქსელით.

სადგურები იჭერენ მოსკოვის და უცხოეთიდან გადმოცემულ რადიოცნობებს.

მოსკოვი მოხსენებებს და კონცერტებს გარდა, გზავნის კვირაში ერთხელ დიდ თეატრის საოპერო წარმოდგენებს.

რადიოს გავრცელებას თბილისში ხელი შეუწყო ნავთლუღის ფართო გადაცემის სადგურის მოწყობამ.

ახალი იარაღების და ხელსაწყოების შეძენის შემდეგ სადგურმა განაახლა სატელეფონო გადაცემა. ფართო გადაცემისათვის დადგმულია ახალი ანტენა დიდი ძალოვნების ახალი მოტორი. საერთოდ მიღებულ იქნა ზომები გადაცემის ღირსების გასაუმჯობესებლად.

თბილისის რადიო ფირმებში იყიდება რადიო-აპარატები. გადამცემი აპარატი ფასობს 7 მან. 50 კაპეიკიდან 14 მან. 50 კაპეიკამდე. ერთყურიანი ტელეფონი 8 მან. 25 კაპ., ორყურიანი 13 მანეთი, სადეტექტორო მიმღები სადგურის დადგმა ანძებით და ანტენებით ღირს 52 მანეთიდან დაწყებული 72 მანეთამდე.

კატოდ-ლამპრიანი (ძალოვანი) მიმღების სადგურები ფასობს თბილისში 38 მანეთიდან—935 მანეთამდე. განსაკუთრებით ძალოვანი კატოდი ღირს 1000 მანეთზე მეტად.

განათლების ფრონტზე

მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

საკავშირო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ორგანოების დასახმარებლად გადადებული თანხებიდან საქართველოს ხვდა 5.396.299 მანეთი, რომელიც მოხმარდება მასწავლებელთა ხელფასის გასტუმრებას. ზემოხსენებული თანხა გადადებულია იმ მასწავლებელთა ხელფასისათვის, რომელნიც გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ირიცხებოდენ და ამა წლის იანვრიდან გადაყვანილ არიან ადგილობრივ ორგანოების ხარჯზე. კერძოთ იმ მასწავლებელთა ხელფასისათვის, რომელნიც ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტზე ირიცხებიან, გადადებულა 2.886.900 მანეთი.

აქედან საკუთრივ საქართველოს მასწავლებლობაზე მოდის 2.505.948 მანეთი, აფხაზეთის მასწავლებლობაზე 236.030 მანეთი, აჭარისტანის—79.920 მანეთი, ხოლო სამხრეთ ოსეთის მასწავლებლობისათვის—65.002 მანეთი.

ადგილობრივი კულტურულ დაწესებულების აღორძინებლად გადადებულ თანხებიდან საქართველოს ხვდა 868.709 მანეთი. ეს თანხა შემდეგნაირად არის განაწილებული: სასკოლო მშენებლობას მოხმარდება 269.111 მანეთი, საავადმყოფოებს 295.144 მან. და საგზაომშენებლობას 304.454 მანეთი.

ზაჰესში

როგორ მიმდინარეობს მუშაობა

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად დაწყებული მუშაობის ყველა მთავარი ეტაპები განვლილია. რამდენიმე თვის დაუღალავი შრომის შემდეგ ეს უზარმაზარი სადგური მზად იქნება.

განათხარი, წყალმიმღები და მთავარი რაბი უკვე მზადაა ქვასხებით და ამჟამად თავდება ლითონის საფარების დადგმა.

თავდება აგრეთვე მთავარი საგუბარი: მისი ნაწილები უკვე მოგებულია ბეტონით და ქვით. დარჩენილი სამუშაოები დამთავრებული იქნება თვენახევრის განმავლობაში, რის შემდგაც დაიწყება ლითონის საფარების მონტაჟი.

არხის 60 პროც. უკვე მოგებულია ბეტონით და გაზაფხულამდე მისი მოგება ბეტონით სავსებით დამთავრებული იქნება. წარმატებით მიდის ყველა დანარჩენი სამუშაოებიც.

გენერატორული სადგურის შენობის ასაგებათ მუშაობის ყველაზე უფრო ძნელი ნაწილი დამთავრებულია და დაიწყო შენობის მთავარი ბურჯების არმატურის დადგმა.

აპრილის დამლევისათვის შენობა სავსებით მზად იქნება. თებერვლის პირველ რიცხვებში დამთავრდება გამადიდებელ ტრანსფორმატორების შენობის აგება.

რაც შეეხება ელექტრო-გადაცემას და მუშაობის მაღალი დაძაბვის ქსელზე, უნდა ითქვას, რომ ელექტრო-გადაცემის ქსელის ბოძები უკვე დადგმულია ზაჰესიდან დიღუბემდე, ნაძალადევამდე და ავლაბრამდე; ქვესადგურები ნაწილობრივ მზადაა, ნაწილობრივ დამთავრდება მიმდინარე იანვარში; დამთავრებულია აგრეთვე 49 ტრანსფორმატორული „ბუდკის" დადგმა ქალაქში.

მიწისქვეშა მავთული 6,000 ვოლტ ენერგიის გასატარებლად უკვე გაბმულია 30 კილომეტრის მანძილზე.

ზაჰესი თავის დროზე იღებს ყოველგვარ მოწყობილობას, გარდა გენერატორებისა და მსხვილ გამადიდებელ ტრანსფორმატორებისა, რომელთა დამზადება დაგვიანდა.

დაიწყო წინასწარი მუშაობა ტურბინების და გენერატორების მონტაჟის დასაწყებად.

მთელი სადგური მზად იქნება მიმდინარე წლის შემოდგომის დასაწყისში.

წყალსადენი მანგლისში

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების სამაზრო სექციამ გასულ წელში მანგლისში გაიყვანა წყალსადენი, რაზედაც დაიხარჯა 5,051 მანეთი 1924—25 წლის ხარჯთაღრიცხვიდან და 5300 მან. მიმდინარე 25—26 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში.

რომ რაც შეიძლება მოსახლეობის მეტი რაოდენობისათვის ყოფილიყო მისაწვდომი წყალსადენი, მთავარი ხაზიდან გაიყვანეს ორი შტო ერთი „ახალი ქვეყნის" და მეორე პროტიაგალოვკას მიმართულებით.

მიმდინარე წელში აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება კიდევ გაიყვანს და გააფართოებს წყალსადენის შტოებს, რაც სავსებით უზრუნველყოფს მთელი მანგლისის მცხოვრებლებს წყალით.

წყალსადენის გაყვანა საგრძნობლად აუმჯობესებს მანგლისს, როგორც აგარაკს.

საბჭოთა საქართველოში

დეპეშები

საბინაო აღმშენებლობა

ქუთაისი, 12 იანვ. ქუთაისში და მაზრაში მუშაობს სამი საბინაო აღმშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობა. თვით ქ. ქუთაისში მუშაობს 2 ამხანაგობა, მათ შორის ერთი არის რკინისგზის კოოპერატიული საამშენებლო საზოგადოება, რომელიც ამჟამად აშენებს 8 სახლს, 3 ოთახით თვითეულს. ამ რვა შენობის აგების ხარჯთაღრიცხვა შედგენილი იყო 20.000 მან. რაოდენობით, მაგრამ ამხანაგობა შუამდგომლობს დამატებით 27.000 მან. მიცემის შესახებ. მეორე ამხანაგობა—მაუდის ფაბრიკის მუშების საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა აშენებს 6 სახლს; ხარჯთაღრიცხვა ნავარაუდევია 19.000 მან.

მიზნობრივი გადასახადი

ქუთაისი, 12 იანვ. მიზნობრივ გადასახადმა ქუთაისში მოგვცა 23.000 მან. მთელი ეს თანხა მოხმარდება საბინაო - საამშენებლო კოოპერაციას.

პურის ბაზარი

ქუთაისში, 12 იანვ. კერძო ბაზარზე გაძვირდა ფქვილი. ყუბანის თეთრი ფქვილი. 40 პროცენტიანი ღირს 4 მ. 40 კ. ფუთი, 50 პროცენტიანი—4 მ. 20 კაპ. ყუბანის ფქვილი მეორე ხარისხის 2 მ. 70 კაპ., სათესლე—3 მ. 60 კ. სახელმწიფო ბანკი თავის საწყობებიდან ყუბანის 50 პროცენტიან თეთრ ფქვილს ჰყიდის 3 მ. 67 კაპ. ფუთს, მეორე ხარისხის ფქვილს, რომელ ც ღირსებით უფრო მაღლა სდგას, ვინემ კერძო ვაჭრების ფქვილი—2 მ. 92 კაპ., მესამე ხარისხის—2 მან. ფუთს.

ბაზარი არ განიცდის ფქვილის კრიზისს: მოთხოვნილება სავსებით იფარება. ჩრდილოეთ კავკასიიდან ფქვილის ჩამოტანის შეწყვეტის გამო ადგილობრივი სიმინდის ფასი გაიზარდა 1 მან. 60 კაპ. ფუთი.

სახელმწიფო ბანკის სახელზე მოვიდა 2 ვაგონი ფქვილი.

თელავის თეატრი

თელავი, 12 იანვ. ადგილობრივი თეატრი აღმასკომს ყოველთვიურად აძლევს 400—500 მანეთს წმინდა მოგებას. კინო ყოველთვის სავსეა ხალხით.

ღვინო

ქუთაისი, 12 იანვ. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ღვინის [illegible] ში დამზადებულია 22.000 ვედრო ღვინო, აქედან 3—4.000 ვედროდან დამზადებული იქნება გამაგრებული ღვინო. წარსული წლის ოქტომბრიდან დღევანდელ დღემდე მარანის საწყობებიდან მოსკოვში გაიგზავნა 3 000 ვედრო გამაგრებული ღვინო და 2.250 ვედრო—ახალი, თბილისში—3.500 ვედრო სასადილო ღვინო.

გარდა ამისა, დაჭრილ-დასახიჩრებულთა საზოგადოება „იმედმა" ნოვოროსიისკში გაგზავნა 1.500 ვედრო ღვინო, აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ—ოდესაში—1.500 ვედრო და კერძო პირებმა საბჭოთა რუსეთში გაგზავნეს 2.000 ვედრო ღვინო.

ქუთაისი, 9 იანვ. ქუთაისის სამაზრო სტატბიურო შეუდგა შინამრეწველობის გამოკვლევას. გამოსაკვლევ ობიექტს წარმოადგენს, შალის ქსოვა—100 კომლი, მეაბრეშუმეობა—100 კომლი, თიხის წარმოება—20 კომლი, წნელის და ჩალის წნა—10 კომლი, სულ 230 კომლი. გამოკვლევა მოხდება შინამრეწველობის ამა თუ იმ დარგის თავის ტიპიურ თემებში. სულ აღებულია 11 თემი.

აღმშენებლობა აგარაკ ბახმაროზე

ოზურგეთი, 12 იანვ. წარსულ ზაფხულში აგარაკ ბახმაროზე გაცხოველებული საამშენებლო მუშაობა სწარმოებდა. [illegible] საამშენებლო მასალის არსებობამ ადგილობრივად, მახლობელ სოფლებში თავისუფალი მუშა-ხელის სიჭარბემ და ბოლოს მთავრობის უკანასკნელმა განკარგულებამ, რომლის თანახმად ნებადართულია საამშენებლო მასალის გამოტანა იმ ტყეებიდან, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ყოველივე ამან შესამჩნევად წასწია წინ და გააცხოველა საამშენებლო საქმე. ზაფხულის განმავლობაში აგებულ იქნა კურორტის შემდეგი შენობები: განათლების მუშაკთა სამაზრო კავშირის სახლი 18 ოთახით, კერძო არტელის მიერ აგებული 18 ოთახიანი შენობა და მოსამსახურეთა დასასვენებელი სახლი 20 ოთახით. გარდა ამისა, აშენებულია 60-ზე მეტი კერძო სახლები. ფილტვებით ავადმყოფთა იზოლიაციისათვის საკურორტო სამმართველომ გამოჰყო ცენტრის გვერდით 50 ნაჭერი საიზოლო მიწა სახლების ასაშენებლად და 130 ნაჭერი კერძო პირთათვის. მრავალ ასეთ ნაჭრებზე სახლების აგება უკვე დაწყებულია და დამთავრდება სეზონის დასაწყისში. ქუჩები გაყვანილია განსაზღვრული გეგმის მიხედვით. შენობები ჩვეულებრივია. სახლები ყველა დახურულია ყავარით; სხვა სახურავი მასალის გამოყენება აქ შეუძლებელია დიდი თოვლის გამო ზამთრობით, რომელიც ბახმაროს მთების მწვერვალზე აღწევს 10 მეტრზე მეტს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ახალქალაქი, 12 იან. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მაზრაში უკანასკნელ დროს შესამჩნევად გაცხოველდა. აკრეფილია მთელი გადასახადის 45 პროცენტი.

აღმშენებლობა გურიის სოფლებში

ოზურგეთი, 12 იანვარი. უკანასკნელ ხანებში გურიის სოფლებში შემჩნეულია დიდი გამოცოცხლება მშენებლობის დარგში. დაწყებულ სახლების რაოდენობა აღემატება ომის წინა პერიოდის რაოდენობას. მხოლოდ ორ თემში—ოზურგეთის და ბახვის თემებში ახალ შენობათა რიცხვი აღემატება 240-ს, მინაშენების და დამატებითი ოთახების რიცხვი კი—200-ს. სოფელ მელექედურში თავდება [illegible] შენობა 8 ოთახით; სოფ. ოზურგეთში, ექადიაში და ლიხაურში აშენებულია სახალხო ბიბლიოთეკები. სოფელ ცხემლის ხიდში გათავებულია სკოლის შენობა 16 ოთახით. სოფელ შუხუთში ასრულებენ ორ სართულიანი ქვის სახლის შენობას ცხოვრებისათვის. აღმშენებლობა ფერხდება ადგილობრივ ბაზარზე საჭირო მასალების—ცემენტის, კრამიტის, აგურის და სხვ. უქონლობით. ოზურგეთში არსებული ორი აგურის ქარხანა ვერ აკმაყოფილებს მთელ მოთხოვნილებას. განსაკუთრებით საგრძნობია ცემენტის ნაკლებობა: გლეხებს ყუმბებით მოაქვთ ცემენტი ბათომიდან. თითო ბოჭკა ცემენტში (8 ნაძ.—9 ფუთი) აძლევენ 13 მან. და 50 კაპ. მუშა ხელის ნაკლებობა არ არის.

საექიმო პუნქტი

თელავი, 12 იანვარი. სოფ. ახალგავაზში იხსნება საექიმო პუნქტი, რისთვისაც წითელ ჯვარს [illegible] 3 ოთახი. ეს არის ყველაზე უფრო მალარიიანი ადგილი მაზრაში. აქ დღემდის არ ყოფილა კარგად დაყენებული საექიმო დახმარება.

პეტიცია

თელავი, 12 იანვარი. პროფკავშირთა სამაზრო კონფერენციამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საქართველოს საექიმო ვაჭრობის სამმართველოს წინაშე სოფელ პანკისში აფთიაქის გახსნის შესახებ. საექიმო პუნქტი პანკისის ხეობაში აფთიაქის უქონლობის გამო ნაყოფიერ [illegible] ზიანებულ გლეხებს უხდებათ წასვლა 25—30 ვერსის მანძილზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

თელავი, 12 იანვარი. პოლიტ-განათლების სამმართველომ მაზრაში გახსნა სულ 13 სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოსახდენად. სკოლებში სწავლობს 3.918 კაცი, აქედან 15 პროც. დაქირავებული გლეხია.

აბრეშუმის თესლი.

თელავი, 12 იანვარი. აბრეშუმის თესლის ამხანაგობამ „არსენ ლებანოვმა და კომ" მიიღო საზღვარ-გარეთიდან სპეციალური ხელსაწყო და მიკროსკოპები. ფაბრიკის მუშათა რიცხვი გადიდებულია. დღემდის ფაბრიკამ დაამზადა 90.000 მისხალი თესლი. ფაბრიკა განაგრძობს მუშაობას კიდევ ერთ თვეს და უნდა დაამზადოს ამ ხნის განმავლობაში 30.000 მისხალი აბრეშუმის თესლი.

აჭარისტანი

ქარიშხალის წინ

ბათომი, 12 იანვარი. ბათომის ნავთსადგურის ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურის ცნობით, ბათომის ნაპირებზე მოსალოდნელია ზიუდოსტის (სამხრეთ-აღმოსავლეთის) ძლიერი ქარი. ნავთსადგურში გამოკიდებულია ქარიშხალის ნიშანი. ქარიშხალის მოლოდინში ნავთსადგურში მდგომი გემები არ გადიან ზღვაში.

წყალსადენი სოფლად.

ბათომი, 12 იანვარი. აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ სოფ. ახალშენში გაიყვანა წყალსადენი 12 ვერსის მანძილზე და გააკეთა 6 გასანაწილებელი ონკანი.

აჭარის ხილი რუსეთში.

ბათომი, 12 იანვარი. აჭარისტანის წარმოკავშირმა გაგზავნა მოსკოვში და ოდესაში 15.000 ფუთი ვაშლი, 3 ვაგონი ფორთოხალი და 1 ვაგონი მანდარინი.

აჭარისტანის წარმოკავშირი ხსნის მოსკოვში და ბათომში განყოფილებებს აჭარისტანის ხილის გასასყიდათ.

ბალახის თესვა.

ბათომი, 12 იანვარი. მიმდინარე წელს აჭარისტანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი იწყებს ფართო მასშტაბით ხელოვნური ბალახის თესვას; თესლის ნაწილი უფასოთ დაურიგდება გლეხებს. ამასთან ერთად სანიმუშო საცდელ მინდვრებზე დათესილი იქნება სიმინდი ხელოვნურად გაპოხიერებულ მიწაზე.

სახელმწიფო დაწესებულებათა სახლი.

ბათომი, 12 იანვარი. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით უნდა გამომუშავებულ იქნას პროექტი ყოფილ ძველ ნურიის ბაზარის ადგილას საბჭოთა აჭარისტანის ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა სახლის აშენების შესახებ.

წერილები

მიწის იჯარა სისწორით უნდა სწარმოებდეს

მიწის იჯარამ და დაქირავებულ შრომის შემოღებამ სოფელს თავისი კვალი დაამჩნია. მან ხელი შეუწყო ერთი მხრივ შეძლებულ გლეხობის, ეგრეთ წოდებულ კულაკების გაძლიერებას და მეორე მხრივ ღარიბების გამრავლებას.

ეს ფაქტი უკვე საყოველთაო ჭეშმარიტებათაა ცნობილი და სწორეთ ამით აიხსნება, რომ პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ღონისძიებებს ღებულობენ ღარიბ გლეხთა ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაერთიანებისათვის მათ კულაკების წინააღმდეგ დაპირისპირებისათვის.

მაგრამ პარტიის ასეთ მისწრაფებას წინ ეღობება ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელსაც უთუოდ ყველა ადგილებზე მომუშავე ამხანაგები იცნობს და რომელიც თან დაფან ფართედ იდგამს ფეხს ჩვენს სინამდვილეში. ჩვენ ვლაპარაკობთ მიწის არალეგალურ ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ეს ჩვენი სოფლად მუშაობის პოლიტიკის ძირშივე ჩამშლელი მოვლენები თითქმის საყოველთაო მოვლენად გადაიქცა.

ვაჭრობენ მიწით ფარულად და აშკარადაც. და ყველაფერი ეს ხდება იჯარის საფარველ ქვეშ. მაგალითად, სამტრედიის რაიონის კულაშის თემიდან ამხ. ი. ჭახნაკია გვატყობინებს, რომ ამ თემში მიწით ვაჭრობამ მასიური ხასიათი მიიღო. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მიწები იჯარით იცემა, ადგილი აქვს მიწის კოდექსის უხეშ დარღვევას. იგივე ამხანაგი ჭახნაკია გვატყობინებს, რომ კულაშის თემში მიწა იცემა იჯარით 7, 8 და 9 წლის ვადითაც კი. და ეს მაშინ, როცა კოდექსის მე-27 მუხლი ამის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს:

„მიწის იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს, განსაკუთრებულ შემთხვევაში (როცა, მაგალითად, მიწას იჯარით გასცემს ქვრივი დედაკაცი უშვილო ან წვრილი ობლებიანი) რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან გაუგრძელოს იჯარის ვადა ექვს წლამდე."

ასეთია კანონის აზრი და შინაარსი. მიუხედავათ ამისა მთელი რიგი სოფლებიდან მიღებული კორესპონდენციები გადმოგვცემენ, რომ ხდება არა თუ მიწის ყიდვა-გაყიდვა, არამედ ირღვევა იჯარით გაცემის კანონის აუცილებელი მოთხოვნილებაც.

ცხადია, რომ გამყიდველის ან იჯარით გამცემის როლში ბევრ შემთხვევაში გამოდის შეუძლებელი გლეხობა, ხოლო მოიჯარადრე და მყიდველი მდიდარი გლეხობაა, ესე იგი ის, ვისაც გააჩნია სათანადო თანხა და მიწის დასამუშავებელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი.

ეს მოვლენა უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია. ყოველ ცალკე შემთხვევაში, როცა კი გამოაშკარავებული იქნება მიწის გაყიდვის ფაქტი, დამნაშავეები სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული. მათი გასამართლება საჯაროთ უნდა მოხდეს, დამნაშავეები კი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

ამხ. ჭახნაკია წინადადებას იძლევა თავის წერილში, რომ ასეთ შემთხვევაში დამნაშავეებს ჩამოერთვას გაყიდული მიწა და კომუნებს ან ღარიბ გლეხთა ამხანაგობებს გადაეცეს. ეს აზრი, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ არ შეიძლება მისი ხელაღებით გატარება. ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა საკითხის ადგილობრივ პირობებთან და იმ გარემოებასთან შეფარდებით გადაჭრა, რომელშიაც მოხდა მიწის კოდექსის დარღვევა.

საერთოდ კი სოფლის ყველა ადმინისტრატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მართებთ, რომ უფრო ფხიზლათ ადევნონ თვალი მიწის გარშემო დადებულ ყოველ ხელშეკრულებას და არ დაუშვან კოდექსის ისეთი უხეში დარღვევა, როგორსაც დღეს აქვს ადგილი ზოგიერთ შემთხვევაში.

ა. ბ—ლი.

მეტი ყურადღება ხევს

ყაზბეგის რაიონი ზამთარში მოწყვეტილია დუშეთის მაზრას. რაიონში არის მხოლოდ ერთი სკოლა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სწავლა-განათლების მოთხოვნილებას. მეფის დროს მოხევეები თავიანთ შვილებს კავკავის სკოლებში გზავნიდენ. ხევს დიდი მისწრაფება ჰქონდა სწავლისადმი. ეხლა ეს მისწრაფება უფრო [illegible] მოვაქციოთ ხევს.

ხევში, გარდა კობის რაიონისა, 25,000 სულ მდე მცხოვრებლებია. საჭიროა, რომ გაიხსნას 9 წლედი შრომის სკოლა. სკოლისათვის შენობა მზად არის. ესაა ყოფილ ღენერალ ყაზბეგის სასახლე. საჭიროა ინვენტარი და მასწავლებლები. წელს ბევრი ახალგაზრდა ჩამოვიდა თბილისში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ზოგი სკოლის გარედ დარჩა უადგილობის გამო, ზოგს კი მატერიალურ მდგომარეობამ არ შეუწყო ხელი და უკანვე დაბრუნდენ ხევში. კავკავში ვერ მიდიან სწავლის გასაგრძელებლად იმიტომ, რომ იქ მეცადინეობა სწარმოობს რუსულ ენაზე და ყაზბეგის შრომის სკოლაში კა სწავლა არის ქართულად. მოწაფეს სჭირდება მომზადება, რაც იწვევს ზედმეტს ხარჯებს, რომლის გაღება გლეხს არ შეუძლია.

სოფელი თოთი, ართხმო და გუგუდა მოწყვეტილია ყაზბეგს, ზამთრობით ვინაიდან საურმე გზა აქ არ არის. ამ სოფლებში არის 56 კომლი მცხოვრებლები და მათ შეერთებული ძალით შეუძლიანთ თავისი შრომით გაიყვანონ გზა და ისე არ იწვალონ, როგორც ეხლა წვალობენ ბილიკ გზაზე. მაგალითი უნდა აიღონ სოფელ ცდოდან, რომელმაც სალ კლდეზე გაიყვანა საურმე გზა.

ყაზბეგის აღმასკომმა უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ საქმეში ისე, როგორც მან ითავა ცდოს გზის გაყვანის ხელმძღვანელობა. დუშეთის აღმასკომი კი დაეხმარება ტექნიკური ძალით, და ეს საქმე გაკეთდება საერთო მეცადინეობით.

ვ. ბოცვაძე.

სამაგალითო სკოლა

სოფ. ზემო-საქარაში (ზესტაფონის რაიონი) არსებობს ოთხწლედი შრომის სკოლა, რომელიც სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს. ამ სკოლის მოწაფეები დიდ თვითმოქმედებას იჩენენ, მოწაფეების მიერ სკოლასთან დ არსებულია საბავშვო კოოპერატივი, სადაც იშოვება ყოველგვარი საჭირო სასწავლო საგნები: წიგნები, რვეულები, კალმისტარები და სხვა, ყოველივე ამით მოწაფეები სარგებლობენ უსაყიდლოთ და ხმარების შემდეგ ისევ აბრუნებენ კოოპერატივში, რათა დანარჩენებმა ისარგებლონ მითი. არსებობს აგრეთვე ბიბლიოთეკა, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საბავშვო წიგნები და ჟურნალები, რომლებიც შეგროვილია შეწირულებით.

როგორც კოოპერატივს, ისე ბიბლიოთეკას განაგებენ მოსწავლეთაგან შედგენილი ბიუროები.

ეს სკოლა ძველად ყურადღებას არ იქცევდა გლეხობის მხრივ და ისინი თავიანთ შვილებს გზავნიდენ უმთავრესად ზესტაფონში. ეხლა უკვე ამ სკოლაში ირიცხება 175-დე ბავში.

ეს გარემოება უთუოდ იმას მოწმობს, რომ სკოლა კარგ ნიადაგზეა დაყენებული და ეს კი იზიდავს გლეხებს.

მაგრამ არ შეიძლება დაკმაყოფილება იმით, რაც არის—საჭიროა კიდევ უფრო ხელის შეწყობა ამ სკოლისათვის, რათა ნორჩ მოწაფეთა თვითმოქმედების პირველი ნაყოფი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო გაძლიერებულ იქნას.

ა. კ—ძე.

ს. ცაიში (ზუგდ. მ.)

კმარა ძილი. ჩვენს თემში ბლომათ მოიპოვება ინტელიგენტური ძალები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისინი არავითარ კულტურულ-საზოგადოებრივ მუშაობას არ ეწევიან, ოთხი თვეა აქ არავითარი წარმოდგენა არ გამართულა, დაადგინეს კედლის გაზეთის გამოცემა, მაგრამ დადგენილება ცხრაკლიტულში დამწყვდეული. კმარა ძილი, საჭიროა გამოღვიძება.

ახკორი პაჭკორია.

ონტოფოს თემი (სენ. მ.)

ღორებმა აგვიკლო. ადგილობრივ სამკითხველოს ეზოში მოთავსებულია ძმათა სასაფლაო და საეკლესიო სასაფლაო. ეზო შეუღობავია. ღორები სასაფლაოზე თავისუფლად დათარეშობენ და ისე გადათხარეს ირგვლივ ყველაფერი, რომ სადაცაა კუბოებამდიც მიაღწევენ. გლეხებში ასეთი მდგომარეობა უკმაყოფილებას იწვევს. აღმასკომი ზომებს არ ღებულობს.

კ—ანი.

დ. წითელი-წყარო (სიღნ. მ.)

ალაგმეთ კოსტია მარსანოვი. წითელ-წყაროს მცხოვრებნი კოსტის მარსანოვს იცნობენ, როგორც მოძალადე და აბეზარა ელემენტს. ამას წინათ ის დაითრო და შეუვარდა ეზოში მოქ. ზედგინიშვილს. ეზოში შესვლისას მან რევოლვერი დაახალა ძაღლს და იქვე გააცივა. შემდეგ შევიდა სახლში და მასპინძელს ქეიფი მოსთხოვა. ღვინო მოართვეს, მაგრამ კოსტიამ მოისურვა დროს გატარება მასპინძლის ქალთან. როცა მას ეს არ დაანებეს ამოიღო რევოლვერი და იქვე დაიწყო უთავბოლოთ სროლა. მილიცია, ლაგამი ასეთ ხორცმეტებს!

შირაქიშვილი.

ოქონის თემი (სამხრ. ოსეთი.)

თავგასული მიკიტნები. ამ პატარა თემში სამი სამიკიტნოა. აქ გლეხები ლოთობისა და აურ-ზაურის მეტს არაფერს კარგს არ ეჩვევიან. მიკიტნებს არა აქვთ პატენტი. ვაჭრობენ ისე, როგორც მოესურვებათ. ადგილობრივი ხელისუფლება მათ ჩარჩულ მოღვაწეობას ყურადღებას არ აქცევს.

გლეხკორი ვალიკო.

სოფლის ქრონიკა

— **გელათის მახლობლად** მდინარე წყალწითელაზე ხიდის ასაგებათ, ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ცნობით, საჭიროა 21 ათასი მან.

— **ქედის** სამაზრო აღმასკომი შეუდგა მაზრაში ფიზკულტურის ორგანიზაციის მოწყობას.

— **ქუთაისის განათლების** მუშაკთა სახლთან გაიხსნა კლუბი

— **კონტრაბანდასთან ბრძოლა** სოფ. ბაბუჩ-ოღლში დაარსდა საგანგებო სამეული კონტრაბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **სოფ. კასპის** (გორის მაზ.) აღმასკომმა დაადგინა შეადგინოს ჯანსაღი საქონლის სია და შეუდგეს მათ აცრას საქონლის ჭირის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

— **ძეგვის** (გორ. მ.) სათემო აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს თემში ქუჩების განათება ფარნებით.

— **ბაკურციხის გლეხკომი** დახმარებას უწევს ადგილობრივ სკოლას, ქსენონს და სამკითხველოს.

— **სოფ. ყვარელში** (თელ. მ.) დაარსდა გლეხ-ქალთა კუთხე.

მუშათა ცხოვრება

გულშემატკივარი ადამიანი

(პატარა ფელეტონისებური)

ერთ ვაჭრის დუქანში შეგროვილან თუთუნის ქარხნის მუშები. ყველა საუზმისათვის სურსათს ყიდულობს. ვაჭარმა ერთ მუშას ძეხვი აუწონა. ამ დროს მას შემოასწრო სანიტარულ კომისიის წევრმა—და მიმართა ვაჭარს:

— შენ, მოქალაქევ, გაქვს თუ არა ძეხვის და თევზეულობის ვაჭრობის ნებართვა?

— მე, ამხანაგო, გარეშე პირებისათვის არ მომაქვს ძეხვეულობა, არამედ—მხოლოდ ამ ქარხნის მუშებისათვის!

— მერე, თქვენ იცით თუ არა, რომ ამით სწამლავთ მუშებს? მუშებმა ყურები სცქვიტეს.

— რაო, ამხ. ექიმო? ძეხვით ვიწამლებით ჩვენა?

— რასაკვირველია. ჯერ ძეხვს შეახებს ხელს ვაჭარი, შემდეგ თევზსა, მერე ვაშლსა ან ყურძენს და ამგვარად ერთის სითხე მეორეს ჰუჰყს შეუერთდება და ამნაირად ნელნელა იწამლებით ისე, რომ თქვენ არც კი გრძნობთ ამას.

—შეიძლება მართალიც იყოთ, მაგრამ ჩვენში ეჭვსა ბადებენ მაინც თქვენი სიტყვები, რადგანაც ზოგი ჩვენგანი ორმოცი წელიწადი მუშაობს თუთუნის ქარხანაში და ნიკოტინით იკვებება, მაგრამ მაინც არ მოვწამლულვართ დღემდე და განა ძეხვს შეუძლიან ჩვენი მოწამლვა? სიცილით უპასუხეს მუშებმა.

— თქვენ მედიცინა არ გესმით და ეგრე—გგონიათ.

— სამაგიეროდ, შიმშილი და სილარიბე კარგად გვესმის და თუ ამ ძეხვსაც თავი დავანებეთ შიმშილი უფრო მძიმედ მოგვწამლავს, ვიდრე ეს ძეხვი.

— ყველანი ნისიად იღებთ ძეხვებს?

— რასაკვირველია.

— უწინ გვაძლევდნენ კვირაში ორ ან სამ მანეთს ავანსად ჯამაგირის ანგარიშში და ეხლა კი ავანსებს არ გვაძლევენ.

— მაშ, როგორა სცხოვრობთ?

— როგორც—ხედავთ; ჩვენი შრომის ძალღონესა ვხარჯავთ და წარმოებას ვაღონიერებთ.

— რატომ არ გაძლევენ ავანსებს? რა მიზეზია?

— ასე გვეუბნებიან: ავანსების გაცემა აკრძალულიაო. კერძო ვაჭარი ჩვენი უფულობით სარგებლობს და ნისიის სახით ტყავს გვაძრობს. ამიტომ კარგი იქნებოდა, ნისიათ სურსათ-სანოვაგეს მუშკოოპიდან მოგვცემდნენ მუშებს. მაშინ ამ სპეკულიანტებს ავცილდებოდით.

— სანიტარი მიუბრუნდა ვაჭარს მრავალ „მნიშვნელოვანი" სიტყვებით: შენ კი, მოქალაქევ, უნდა იქონიო პატენტი!

— მესმის ბატონო, მაგრამ... როცა პატენტს ავიღებ, მაშინ აღარ მოიწამლებიან მუშები?

— ეგ სხვა საკითხია. ამის შემდეგ „სანიტკომი" გამოვიდა დუქნიდან და მუშებიც თან გამოყვნენ.

— როგორ გვირჩევ ამხ. ექიმო? ძეხვი აღარ ვიყიდოთ ვაჭრებისაგან?!

— რა გაეწყობა, როგორც გიცხოვრიათ, ისე იცხოვრეთ. ამ სიტყვებმა მუშებში სიცილი გამოიწვია და თან მუშებმა ერთხმად წამოიძახეს: ძლივს ერთი გულშემატკივარი ადამიანი მაინც გამოგვიჩნდა!!!

მუშა ამბალი.

შ. არაგვისპირელის ხსოვნას

ჭეშმარიტად პატივისცემის ღირსია და დაუვიწყარი ის ადამიანი, რომელიც სიცოცხლეს უქმად არ გაატარებს და დაიმსახურებს მშრომელი ხალხის გულწრფელ სიყვარულს.

ასეთ ადამიანებს ეკუთვნის დამსახურებული ბელეტრისტი შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი).

შიო არაგვისპირელის ნაწერები გაჟღენთილია მშრომელი ხალხის სიყვარულით და ნიჭიერად აგვიწერს ის განსაკუთრებით ქართლელი გლეხობის ჭირ-ვარამს, მათ ყოფა-ცხოვრებას და იმ მდგომარეობას, რასაც ისინი განიცდიდენ რუსეთის მეფის თვითმპყრობელობის დროს ჩაფრების, ბოქაულების და მოქეიფე თავად-აზნაურებისაგან.

შიო თავის ნაწერებში ზიზღს უცხადებდა მშრომელი ხალხის მჩაგვრელ-მყვლეფელებს და უიმედოდ უყურებდა ჩვენ ცხოვრებას თვითმპყრობელობის ხელში.

ჩვენ შეგვიძლიან შიო არაგვისპირელი შევადაროთ განსვენებულ ეგ. ნინოშვილს. ნინოშვილი აგვიწერდა გურული გლეხკაცობის უმწეო მდგომარეობას და ასევე აგვიწერს შიოც ქართლელი გლეხების ცხოვრებას.

ვისაც კი წაუკითხავს შიოს მრავალ ნაწერთა შორის ორი პატარა ესკიზი: „ჩემო შვინდავ" და „ესაა ჩვენი ცხოვრება", მას ადვილათ შეუძლიან ქართლელი გლეხის ცხოვრების გაგება.

ამისათვის შიოსთანა გულწრფელი მწერლები, რომელნიც თავიანთ ცოდნას და ნიჭს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ მოახმარენ დაუვიწყარნი იქნებიან და ხელთუქმნელ ძეგლს დაიდგამენ მუშათა გულში.

მუშა ახოთ-ამწყ. პ. ახალკაცი.

ვინ ფარავს ამ ხულიგანთა გროვას

(ქალ. ადმახკომის საყურადღებოთ).

დიდი ხანია, რაც „ახალ ბაზარზე" ადგილკომის სახელით მეფობს ერთი ჯგუფი სპეკულიანტებისა ვაჭარი ფალიაშვილის მეთაურობით.

კიდევაც ეთქმით მათ: „მთელი ბაზარი ხელში გვყავს დამწყვდეულიო".

თურმე ნუ იტყვით, ამ ვაჟბატონებს ისე ყავდათ მთელი ბაზარი შიშის ქვეშ გამოცხადებული, რომ მათ საწინააღმდეგოთაც ხმას ვერავინ ვერ ამოიღებდა. როგორც სურდათ, ისე მოქმედებდნენ. ფლანგავდნენ, ითვისებდნენ და ანგრევდნენ. არ არსებობდა მათთვის არც კანონი, არც წესდება და არავისაც არ ექვემდებარებოდენ.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, ბაზრის ხელოსნებმა ამოიღეს მათ წინააღმდეგ ხმა და თავიანთ შორის აირჩიეს ადგილკომი, რის შემდეგაც სავსებით გამოირკვა ძველი კომიტეტის „საქმენი-საგმირონი".

სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა მოახდინეს კვლევა-ძიება და კიდევაც აღმოაჩინეს მრავალნაირი ბოროტმოქმედება, რაზედაც დასკვნა გადაეცა, როგორც ქალ. მილიციის სამმართველოს, ისე სასამართლოსაც.

მიდის დრო, პასუხისგებაში მიცემული სპეკულიანტთა ჯგუფი კვლავ განაგრძობენ ბაზარზედ თარეშს. რაზედაც ხალხი დიდ გაუგებრობაშია.

ვეკითხებით ქალაქის ადმინისტრატიულ განყოფილებას, ვინ ფარავს ამ ხულიგანთა ხროვას ან და სად უნდა იყოს მათი ადგილი.

ვაკიხუბნელი.

ასეთ „პოეტებს" ჭკუა უნდა ასწავლოთ

— „თქვენ იცით, მე ვინა ვარ? მე გრანდელმა აქაც დიდი „სიმამაცე" გაგიგონიათ? გრანელი, გრანელი, მეისა ვარ, წადი თქვენი პატრონის დედაც!"..

ასე ილანძღებოდა და ჭირვეულობდა ახალწლის ღამეს პლეხანოვის ქუჩაზე ღვინით ძალზე გალეშილი მოქ. ტერენტი გრანელი. ბოლოს როდესაც მას მილიციელმა წესრიგისაკენ მოუწოდა. გრანელმა მილიციელს ჯერ ლაზათიანად შეუკურთხა და მერე კაი გვარიანი სილაც გააწნა ყბაში.

„პოეტის" საქციელით გაბრაზებულმა მილიციელმა მოინდომა მისი კომისარიატში წაყვანა, მაგრამ მოქ. გრანელმა აქაც დიდი „სიმამაცე" გამოიჩინა და მილიციელს მივარდა უცებ ცოფიან ძაღლივით და თითი მოაკვნიტა. ბოლოს როგორც იყო გრანელი მიაბრძანეს მე-10 კომისარიატში და მეორე დღეს კი წააბრძანეს ადმინისტრატიულ განყოფილებაში.

იმედია, ამხ. ხმალაძე შესაფერისად გაუმასპინძლდება ასეთს „პოეტებს".

მუშკორი მილიციელი.

მარტო ბრძანება არ კმარა, თუ ის არ სრულდება

რკინისგზებზე ბრძანება-ბრძანებაზე მოგვდის იმის შესახებ, რომ უნდა გატარდეს ცხოვრებაში საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე. რათქმა უნდა ეს მოსაწონია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი უფროსები თვითონ არღვევენ დადგენილებას და მიწერ - მოწერა სამმართველოსგან უფრო მეტი წილი მოგვდის რუსულ ენაზე და ამითი ერთნაირი გაუგებრობა ხდება მთავარ სახელოსნოს კანცელარიაში, რადგანაც რთულდება კითხვა: რუსულად უპასუხოდ თუ ქართულად. ასეთი მიწერ-მოწერა ხდება უფრო წევის სამსახურიდან და მისი უფროსის როგორც კანცელარიიდან, აგრეთვე ბუღალტერიიდან. თუ გვიკარნახებთ სახელმწიფო ენაზე წარმოებას, ნურც თქვენ დაარღვევთ მთავრობის დადგენილებას.

მუშკორი ლიაპისი.

ჭირვეული მასწავლებელი

(განათ. კომისარიატის საყურადღებოდ)

ყველასათვის უდავოა, რა დიდი მოვალეობა აწევთ მასწავლებლებს იმ ახალი თაობის აღზრდაში, რომელიც საძირკველი და ქვაკუთხედი უნდა იყვეს მომავალი კომუნისტური სახელმწიფოსი. დღევანდელ ცხოვრების განახლებასთან ერთად უნდა განახლდეს სასწავლებელიც, (მაგრამ სამწუხაროდ დღესაც მოიპოვებიან ჩვენ სასწავლებლებში ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც თავიანთი მოვალეობა ნაკლებათ ესმით).

აი მაგალითიც: მე-8 შრომის სკოლის მე-9 პირველ ჯგუფში, „საზოგადოებათ - მეცნიერების" — გაკვეთილზე, სამი მოწაფის ჩურჩულის დროს მასწავლებელმა მიხეილ ჩოგოვაძემ ასე დასაჯა მოწაფეები: მოწაფეებს მაგიდაზე ეწყოთ სხვადასხვა რვეულები და წიგნები, რომლებშიაც ჩაბარებული მასალები ჰქონდათ მოთავსებული, მივიდა მათთან ბ-ნი მიხეილი და გადუფხრიწა ყველა რვეულები და მათთან ერთად წიგნებიც.

ის ამასაც არ დასჯერდა, გამოაცალა მაგიდიდან სხვა რვეულებიც და ისინიც დაუხია. საბრალო მოწაფეებმა მორთეს ტირილი. ადვილი შესაძლებელია, რომ მოწაფეებიც დამნაშვენი იყვნენ იმ დროს, მაგრამ ნუთუ ასეთი სასჯელი დასაშვებია? მასწავლებელ ჩოგოვაძეს შეეძლო ეცნობა ეს სკოლის გამგესთვის და თავის გაკვეთილიდან გაეძევებია ურჩი მოწაფეები და სხვა...

რაც შეეხება რვეულების და წიგნების დახევას, ეს კი ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ამგვარი საქციელისათვის სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

მუშკორი აკოსტა.

ხაშურის რკ. გზ. კლუბი

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ საკლუბო მუშაობას ხაშურში ვერ აქვს ფესვები გადგმული, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი მომენტი. საკლუბო მუშაობას გაურბიან მუშა-მოსამსახურეები. ამის მიზეზი არის შემდეგი: იშვიათი შემთხვევაა, რომ აქ რევოლიუციონური პიესა დაიდგას. ძველი დამყაყებული პიესებით კმაყოფილდება ადგილობრივი დასი. უკანასკნელად მოხდა დრამწრის წევრების გადახალისება; არჩეულ იქნა ახალი რეჟისორი.

იმედია ახალი დრამ-წრე დააკმაყოფილებს ადგილობრივ მასის მოთხოვნილებებს საკლუბო და კულტ-მუშაობის თავის დონეზე დაყენებით.

არჩილი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დაეხმარეთ ამ მუშას.** თბილისის საქონლის სადგურზე ფიზიკურ მომუშავედ მუშაობდა 1917 წ.—1925 წ. ამხ. იოსები კობიძე, პატიოსანი და ენერგიული წვრილცოლშვილით დატვირთული მუშა. აღნიშნული ამხანაგი ორჯერ მოჰყვა შტატის შემცირებას და უმუშევრობის გამო აუტანელ მატერიალურ მდგომარეობას განიცდის.

მიეცით ამ პატიოსან მუშას სამუშაო და იმის საშუალება, რომ მან, შეძლებისდაგვარად, არჩინოს თავისი ცოლშვილი.

მუშა—რკინისგზელი.

— **ჭკუა ასწავლეთ ამ გათავხედებულ სპეკულიანტს.** ელისაბედის ქ. სახ. № 74-ში ცხოვრობს ვინმე ვაჭარ-სპეკულიანტი ივანე ოგანეზოვი, რომელიც ითვლება უმუშევრად, კავშირის წევრია, დაზღვეულია და სარგებლობს ყოველ დახმარებით და მასთან „დეზერტირკაზე" თავისუფლად ვაჭრობს ამ სახლის მდგმურებს საშინლად გვავიწროებს. წყალს არ გვაძლევს და სხვა ეზოდან გვიხდება წყლის ზიდვა.

მილიციავ, გამოარკვიე ამ თავხედის ვინაობა და მას ჭკუაც ასწავლე!

კედი.

— **დაიცავით ეს პატიოსანი მუშა ქალი.** არცრუნოვის ქ. სახ. № 10-ში ცხოვრობს ექიმი სერგო არაღოვი, რომელსაც შინამოსამსახურედ აყვანილი ჰყავს ახალგაზრდა 19—20 წ. ქალიშვილი. საბრალო ქალი ამ ექიმის წყალობით შრომის საშინელ პირობებში იმყოფება. ექიმი ქალს თორმეტი საათის განმავლობაში ამუშავებს. მასთან ის საშინლად დაშინებული ჰყავს. მას ყოველ დღე სცემენ, „ტუქსავენ", შრომის ხელფასს კი არ აძლევენ. შრომის ინსპექციავ და მილიციავ, ამ ექიმს აგრძნობინეთ შრომის კანონების სიმკაცრე ექსპლოატატორების მიმართ.

ლოლა ლომთაძე.

— **უწესობა ხელფასის დარიგების დროს.** ხშირად რკინისგზის მთავარ სახელოსნოებში მუშებს ხელფასს ურიგებენ შაბათობით. სალაროს წინ დგება დაულეველი რიგი მუშებისა. მუშები, როგორც ვიცით, შაბათობით ქალაქიდან გადიან და ყველას სურს, რაც შეიძლება ადრე მიიღოს ხელფასი, ამიტომ მათ შორის აქ ყოველთვის დიდ უსიამოვნებას აქვს ადგილი.

სასურველი იქნებოდა, ხელფასის გაცემა არ ხდებოდეს შაბათობით.

მუშა—ლ-ტ-ბელი.

მუშათა ქრონიკა

არსენალის ქარხანაში

— **ახალი ხელშეკრულება.** არსენალის ქარხ-კომმა ადმინისტრაციასთან დასდო ახალი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ადმინისტრაციას არა აქვს უფლება დაითხოვოს მუშა — ავადმყოფობის მიზეზით უადრეს ოთხი თვისა.

— **კედლის გაზეთი.** არსენალის ქარხკომთან არსებულმა კულტკომისიამ გამოსცა ყოველთვიური კედლის გაზეთი „არსენალელი".

— **ფიზ - კულტურის წრე.** არსენალის ქარხ-კომთან არსებულმა კულტ-კომისიამ დაარსა ფიზ-კულტურის წრე.

— **მომღერალთა გუნდი.** არსენალის ქარხ-კომთან არსებულმა კულტ-კომისიამ მოაწყო მომღერალთა გუნდი.

— **პოლიტ-წრე.** იმავე კულტ-კომისიამ დაარსა პოლიტ-წრე.

— **რადიო წრის დაარსება.** მანვე დაარსა რადიო წრე.

— **წერა-კითხვის უცოდინართა წრე.** არსენალის ქარხ-კომთან არსებულმა კულტ-კომისიამ გახსნა ქარხანაში წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა.

— **სხდომების დღე.** ყოველ ორშაბათობით მოწვეულია არსენალის ქარხ-კომის სხდომა; სამშაბათობით — კულტ-კომისიის სხდომა; ოთხშაბათობით—შრომის დაცვის კომისიის სხდომა და ხუთშაბათობით კი სარედაქციო კოლეგიისა

— **დამხმარე სალარო.** არსენალის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს აქვთ დამხმარე სალარო. სალაროში არის ნაღდი ფული 1000 მანეთი, ასეთ დიდ თანხიანი სალარო დიდი დახმარებას უწევს მუშა-მოსამსახურეებს.

— **დარბაზის გათბობა.** ფიზ-კულტურის წრის სხდომამ სთხოვა არსენალის ადმინისტრაციას, რომ გაათბოს მეცადინეობის დროს ფიზკულტურის სამეცადინო დარბაზი

— **საგზაო აფთიაქი.** ფიზ - კულტურის წრის სხდომამ დაადგინა გამოინახოს წყარო თანხის შესაძენად, რათა ფიზ-კულტურის წრისთვის მოეწყოს საგზაო აფთიაქი.

— **შენობის გამონახვა.** ფიზ-კულტურის წრის სხდომამ სთხოვა არსენალის ადმინისტრაციას, დაუთმოს ფიზ-კულტურის წრეს ამჟამად თავისუფალი საფაბრიკო საქარხნო სკოლის შენობა.

— **საკონტროლო წიგნი.** ფიზ-კულტურის წრის სხდომამ დაადგინა ეთხოვოს კომუნალურ კავშირს, რათა ფიზ-კულტურის წრეს მისცეს თანხა საკონტროლო წიგნის შესაძენად.

ტფილისის ტრამვაიში

— **კომუნისტური ნათვლა.** 31 დეკემბერს ტრამვაის კლუბში გაიმართა კომუნისტური ნათვლა, სადაც მოინათლენ რამოდენიმე მუშა-მოსამსახურეების შვილები.

— **ადგილკომის თანამშრომლებსაც უნდა მიცენ შეშის ფული.** ტრამვაის სახელოსნოს ადგილკომმა დაადგინა, რომ, როგორც სხვა ყველა მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ შეშის შესაძენად 25 მანეთი, მათთან ერთად მისცეს შეშის შესაძენად ადგილკომის თანამშრომლებსაც 25 მ.

— **ტრამვაის რონოდების მრეცხავებს.** ვინაიდან რონოდების მრეცხავები არ ღებულობენ პრემიას, ტრამვაის სახელოს. ადგილკომმა დაადგინა— გამოეწეროთ მათ 10 პროცენტით დამატება ოქტომბრის ჯამაგირზე.

— **ხელფასის გადიდება.** ვინაიდან რონოდების მრეცხავები ღებულობენ რონოდების გარეცხვაში უმნიშვნელო ხელფასს, ტრამვაის ადგილკომმა სთხოვა დირექციას გაადიდოს რონოდების გასარეცხი ხელფასი.

რკ. გზ. უბნ. კავშირში

— **უბედური შემთხვევის აღრიცხვა.** წინადადება მიეცა რკ. გზის უბ. კავშირის მიერ ყველა ადგილკომებს აწარმოონ აღრიცხვა ყოველგვარ უბედურ შემთხვევათა.

— **ყველა რკ. გზის საავადმყოფოებს.** ვინაიდან ხშირად თავის დროზე რკ. გზის საავადმყოფოები ვერ უწევენ მუშა-მოსამსახურეებს საექიმო დახმარებას, წინადადება მიეცა უბკავშირის მიერ, რომ ასეთები მომავალში აღარ განმეორდეს.

— **შენობის აშენება.** ვინაიდან რკ. გზის მთავარი სახელოსნოს „შიშელნიკების" შენობა ძალიან პატარაა, უბკავშირმა დაადგინა—ეთხოვოს რკ. გზის სამმართველოს დააჩქაროს „შიშელნიკების"-თვის შენობის აშენება.

— **ყველა წრეები გადაირიცხენ კლუბებში.** რკ. გზ. უბკავშირმა დაუშვებლად სცნო ადგილკომებზე წრეების მიმაგრება და ადგილკომებთან არსებული წრეები გადაირიცხა კლუბებში.

— **რაიონულ სკოლებში.** ყველა ადგილკომებთან მიმაგრებული მცირე და წერა-კითხვის სულ არ მცოდნე რკ. გზ. კავშირის წევრები, უბკავშირის მიერ გადაირიცხა რაიონულ სალიკვიდაციო სკოლებში.

ტრიფონ თაბუკაშვილი

გუშინ თბილისში გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი.



ჩუმი, წყნარი ტკბილი ადამიანი, მუდამ გაჭირვებული, მუდამ იმედიანი. რამდენი უძილო ღამეები გაუტარებია, მზადებულა, რომ სხვებისთვის ესწავლებია. დიდი პრაქტიკით შობილი თეორეტიკოსი! ჭეშმარიტი პედაგოგი!

მთლად გული, გრძნობა, სალი გონებით შეზავებული. რამდენჯერ დაუსმენიათ ის ოლქის უფროსთან, რამდენი უწვალებიათ, რა ტანჯვა არ გაუვლია. ღირსეული მოქალაქე, გაჭირვებულის მოყვარული, მისი დამხმარე. მუდამ შეუჭმუხნელი წარბი, მშვიდი, აუღელვებელი, სათნოიანი, ცოტას მთქმელი, ბევრის გამკეთებელი.

მართალია, მის სიკვდილის არ შეუძრავს არც მთა და არც ველი, მაგრამ, ვინც მას იცნობდა, ყველას დასწყვიტა გული!..

მშვიდად იძინე ყალმოხდილო მასწავლებელო!

ვ. ძიძიგური.

საბჭოთა სასამართლო

ხულიგნობისათვის

პავლე კარპუროვმა გადაჰკრა ღვინო და აღძრა ნათესავური გრძნობა: მოისურვა ძმის ნახვა ღამის 2 საათზე.

კარპუროვის შეშინებული ძმა წამოვარდა ლოგინიდან, როდესაც გაიგონა კარების ბრახუნი.

„რა ეშმაკმა მოგიყვანა აქ ამდროს—შეჰკივლა ჯერ კიდევ ნახევრად მძინარე ძმამ—მე და ჩემმა ცოლმა ვიფიქრეთ, ქურდი შემოსულაო".

„ჩემო ძვირფასო ძამიკო, გადასძახა პავლემ ძმას, ხომ ცოცხალი ხარ ხომ არ მომკვდარხარ?"

„რათ მეკითხები ამას, განა უნდა მომკვდარიყავი?"

„მაშ, თუ არ მომკვდარხარ, წავიდეთ დასთან სტუმრათ, გავიგოთ ის ხომ არ მომკვდარა. მე მასთან არ ვყოფილვარ 1920 წლის შემდეგ".

ამ დროს პავლე ისე მაგრა მოეხვია კისერზე ძმას, რომ კინაღამ დაახრჩო იგი. ძმამ, როგორც იქნა თავი გაინთავისუფლა და დაუძახა მშველელს.

პავლე მიაბრძანეს კომისარიატში. გზაში მან „მეტის სიყვარულობით" სცემა მილიციელს და მეეზოვეს.

რი გრძნობაო", განუცხადა პავლემ სასამართლოს.

„ნათესაური" გრძნობების ასეთის „სიძლიერით" გამოხატვისათვის პავლე კარპუროვი ერთი წლით ციხეში გაგზავნა.

გურიალაშვილის საქმე

ილია გურიალაშვილი მიუახლოვდა პუშკინის ქუჩაზე მიმავალ ნინა ლორთქიფანიძეს და აღტაცებით შესძახა:

„სადღაც მინახვიხართ მგონი, ნება მომეცით გაგიცნოთ".

ლორთქიფანიძე ხმას არ იღებს.

გურიალაშვილი არ სცილდება.

მაგრამ ნინა ლორთქიფანიძის არა ლამაზი თვალები აინტერესებდა გურიალაშვილს, არამედ ის თვალს არ აშორებდა რედიკულს, რომელიც ლორთქიფანიძეს ჯიბეში შენიშნა.

როდესაც ლორთქიფანიძემ ჯიბეში ჩაიყო ხელი, ვიღაცას ხელი დახვდა შიგ და დაიყვირა:

„მიშველეთ, მძარცვავენო".

გურიალაშვილი შეიპყრეს და სასამართლომ მიუსაჯა მას 3 წლის ციხე.

ნ—დ.

ხელოვნება

ქართული საოპერო სტუდიის პირველი სიმფონიური კონცერტი

ქართულმა საოპერო სტუდიამ განახლა თავისი მეცადინეობა. რუსთაველის თეატრის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა სტუდიის ორკესტრის სიმფონიური კონცერტი სახალხო არტისტის ივანე ფალიაშვილის ლოტბაროობით. კონცერტის საორკესტრო ნაწილში შესრულებული იქნა რუსეთის სიმფონიური ნაწარმოები—ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტას" უვერტიურა. სტუდიის ორკესტრმა უკვე შეასრულა ეს უვერტიურა სტუდენტთა ბიუროს კონცერტზე—კონსერვატორიაში, მაგრამ უკანასკნელი შესრულება გაცილებით უფრო დასრულებული იყო. აქ ორი მთავარი თემაა: ლირიული (რომეო და ჯულიეტას თემა) და გმირული (იტალიის ორ პატრიციანულ თოდგმის მონტეკის და კაპულეტის ბრძოლა). პირველი თემა უნდა იქნას შესრულებული უფრო ნელი ტემპით, აქ ხოლოდ სიმღერაა. მეორე თემა შესრულებულია კარგად — ხმოვანება თანდათანობით ძლიერდება. საერთოდ უვერტიურაში სასურველია უფრო დასრულებული მხატვრული ფრაზიროვკა. გაცილებით უკეთესად შესრულებული იქნა ვაგნერის ოპერის „ლოენგრინის" ძნელი ინტროდუქცია. ფალიაშვილი ხაზს უსვამს მთავარი თემების მელოდიას, შეაქვს შესრულებაში ნიუანსები და ათავებს ინტროდუქციას საზეიმო აკორდით.

შემდეგ შესრულებული იქნა ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორის, კილაძის ორი პატარა ნაწარმოები (ელეგიური და იუმორისტული ხასიათის). ორივე ნაწარმოები ამტკიცებს კილაძის მუსიკალურ გემოვნებას და კომპოზიციის თეორიის ცოდნას.

კარგათ იქნა შესრულებული ოპერა „დაისის" უვერტიურა და ბალეტი ოპერა „აბესალომ და ეთერიდან". საორკესტრო ნაწილი დამთავრდა რიმსკი-კორსაკოვის საუცხოვო „ესპანიურ კაპრიჩიოს" შესრულებით. ორკესტრი იძლევა შესრულებაში მრავალ ფერადებს. მეორე ნაწილში (ვარიაცია) სასურველია უფრო მკაფიო მელოდია. კარგად იქნა შესრულებული მე-4 და მე-5 ნაწილი. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ორკესტრს, რომლის უმეტესობას შეადგენენ არა პროფესიონალისტები, არ შეიძლება წარუდგინოთ მკაცრი მოთხოვნილებანი, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თვალსაჩინო პროგრესი. სჩანს აშკარა ლტოლვა მხატვრულად დასრულებულ შესრულებისაკენ და ამას ორკესტრი მიაღწევს სულ ახლო მომავალში.

მეორე განყოფილებაში გამოვიდნენ სოლისტები. ყველა მომღერალმა ქალებმა და ვაჟკაცებმა დასტოვეს კარგი შთაბეჭდილება: ცირელაძემ შეასრულა ოპერა „ჯამბაზების" შესავალი. მომღერალს აქვს იშვიათი ხმოვანი მასალა და ფართოდ გაშლილი დიაპაზონი. მომღერალი თითქოს აკავებს ხმას და არ აძლევს მას საშუალებას ფართოდ გაიშალოს აუდიტორიაში.

ანდღულაძემ შეასრულა ჯამბაზის არიოზო იმავე ოპერიდან. მასაც მშვენიერი ხმა აქვს—ნამდვილი დრამატიული ტენორი. ორივე მომღერლის ხმას ესაჭიროება კიდევ დამუშავება.

ბარიტონმა ხოფერიამ და სოპრანომ ექსანიშვილმა შეასრულეს დუეტი ოპერა „ჯამბაზებიდან". ხოფერიას ხმა გარდა ტემბრის სილამაზისა კარგად არის დამუშავებული. მშვენივრად შეასრულა კვარადოსის არია ოპერა „ტოსკადან" მომღერალმა ქუმსიაშვილმა. მომღერალს ემჩნევა თანდათანობით პროგრესი ტემბრის მხრივ. კვარტეტი ოპერა „რიგოლეტოდან" შესრულებული იქნა მწყობრად, მაგრამ ხმები სწორად არ იყო განაწილებული, სჭარბობდა ბარიტონის და სოპრანოს პარტიები. მუსიკალურად შეასრულა ნ. [illegible] სენ-სანსის [illegible] და ჩაიკოვსკის ბალეტის ნაწყვეტი.

სამუდამოდ მოუღო ბოლო ზღაპრებს, თითქოს ქართულ ენაზე არ შეიძლება ოპერის დადგმა. სხვათა შორის, აღნიშნულმა კონცერტმაც დაამტკიცა, რომ ქართულ ენაზე ოპერა შეიძლება იქნეს და იქნება კიდეც. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხელოვნება თანდათანობით ვითარდება. საჭიროა მუშაობა და მომავალი ახალგაზრდა მომღერლებს ეკუთვნით. დიდი დამსახურება მიეძღვის მშობლიურ ხელოვნების წინაშე იმ პირებს, რომლებიც ასე თუ ისე ხელი შეუწყვეს ორკესტრის და მუსიკალურ სტუდიის შექმნას.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **შიო არაგვისპირელის ნაწერების გამოცემა.** სახელგამს განზრახვა აქვს გამოსცეს შიო არაგვისპირელის სრული თხზულებანი.

— **სანდრო ინაშვილი** 15 იანვარს მეორეთ იმღერებს ოპერა „აბესალომ და ეთერში".

— **საოპერო სტუდიის** მიერ ხვალ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „ფარული ქორწინება".

— **ე. კარპოვის გარდაცვალება.** ლენინგრადში გარდაიცვალა დამსახურებული რეჟისორი ე. კარპოვი.

— **ტერ-დავითიანის კონცერტი.** ამ დღეებში გაიმართება „[illegible]".

— **„რუსლან და ლიუდმილა"** ოპერის თეატრში დასადგმელად მზადდება ოპერა „რუსლან და ლიუდმილა".

— **„სტეფანე ხალტურინი".** ამ დღეებში კინო „სოლეი"-ში აჩვენებენ ახალ სურათს „სტეფან ხალტურინ".

— **სახელმწიფო ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ტრილბი".

— **კამერულ თეატრში** დღეს ახალი პროგრამა.

— **გ. ხუნდუკიანცის** დაბადებიდან 100 წლის შესრულების თავის აღსანიშნავად დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

- — აპოლო—„მძიმე წლები".
- — პალასი—„ჯალათები".
- — სოლეი—„ორი პრეტენდენტი".
- — არფახტი—„სიყვარულის თვალები"
- — მინიონი—„თავდასხმა ცირგინის ფოსტაზე".

პროფკავშირებში

სრ. საქართ. აღმშენებელთა კავშირის მე-5 ყრილობა

მეორე სხდომაზე

11 იანვარს, დილის სხდომაზე ამხ. სივინმა უპასუხა შეკითხვებზე. შემდეგ გაიხსნა კამათი ცენტრ. კომიტეტის ანგარიშის შესახებ.

კამათში მონაწილე ორატორები ეხებოდენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს, რომელსაც კავშირის ცეკამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და კერძოდ კი კოლექტიური ხელშეკრულების საქმეს.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე ამხ. ალლაძემ გააკეთა მოხსენება ცენტრ. გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ.

კავშირის წევრთა რაოდენობა

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ ჟამად აღმშენებელთა კავშირი საქართველოს მასშტაბით აერთიანებს 10 300 კავშირის წევრს. ამასთან ერთად ორი მესამედი აღმშენებელ მუშებისა კავშირის გარეთაა დარჩენილი. ეს აიხსნება არა იმით, რომ კავშირმა ვერ შესძლო მათი გაერთიანება, არამედ იმ გარემოებით, რომ საამშენებლო მუშაობის ხასიათის გამო ეს მუშები დროებითი არიან და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ უბრუნდებიან თავიანთ მეურნეობას.

ეროვნული შემადგენლობა კავშირის წევრებისა ასეთია: ქართველი—5.074, სომეხი—2.453, რუსი—1.256, ასირიელი—298, თურქი—201 და დანარჩენი ეროვნების —905.

კავშირი ადგილობრივ ორგანოებთან

აღმშენებელთა კავშირს პროვინციაში ჰქონდა სულ 7 საოლქო განყოფილება, 3 საქალაქო და დანარჩენი სამაზრო ადგილკომები. ადგილებთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით ცენტ. გამგეობამ 81-ჯერ გამოიკვლია მათი მუშაობა. სამაზრო განყოფილებებმა თავის მხრივ ძირითადად უჯრედები გამოიკვლიეს 156-ჯერ.

უკანასკნელად გამგეობამ აიღო ხაზი წითელი კუთხეებისა. ეს კუთხეები უფრო მეტ სარგებლობას აძლევენ აღმშენებელ მუშებს და სხვ.

სადელეგატო ინსტიტუტი

სადელეგატო ინსტიტუტის შემოღება აღმშენებელთა კავშირში ახალი საქმეა. გამგეობა მხარს უჭერდა მის შემოღებას. ამის საშუალებით შესაძლებელი იქნება ერთეულ მუშების პროფ-მუშაობაში ჩაბმა, მაგრამ კავშირის სარაიონო ორგანოები ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ წავიდნენ. დღეს ეს საკითხი ყრილობამ უნდა გადასჭრას

მუშაობა ქალთა შორის

აღმშენებელთა კავშირში ირიცხება სულ 111 ქალი. ეს ძალიან მცირე რიცხვია. ესენიც გაბნეულ არიან სხვადასხვა ადგილებზე. ამისათვის ცენტრ. გამგეობას მათ შორის განსაკუთრებულ მუშაობა არ უწარმოებია.

ახალგაზრდათა შორის მუშაობა

აღმშენებელთა კავშირში თავმოყრილია 2.082 ახალგაზრდა. ცენტრ. გამგეობამ მათ შორის ორგანიზაციულ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ამ მხრივ ნაყოფიც დიდია. დღეს ყრილობაზე მონაწილეობას იღებს 31 ახალგაზრდა.

ინჟ.-ტეხნიკურ ძალთა სექცია

კავშირთან არსებობდა საინჟინერო ტეხნიკურ ძალთა სექცია. თავისი განყოფილებები მას მაზრებშიაც ჰქონდა. კავშირის ყოველგვარ დავალებას ეს სექცია პირნათლად ასრულებდა.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა

უმთავრესი აღმშენებლობითი სამუშაოები სწარმოებს ზაჰესში, წყალთა მეურნეობაში და გზატკეცილების სამმართველოში. კავშირი თავისი წარმომადგენლების საშუალებით ამ სამეურნეო ორგანოებთან დაკავშირებული იყო.

მათი წარმომადგენლები კავშირის დავალებით ცენტ. გამგეობის პლენუმზე და კონფერენციებზე აკეთებდენ მოხსენებებს.

მარტო ამ ჩამოთვლილ დაწესებულებებისა აღმშენებელი მუშები მუშაობენ სხვადასხვა მცირე სამეურნეო ერთეულებში.

მოიჯარადრეები

ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვს მოიჯარადრეობას. რასაკვირველია, კავშირისთვის მიუღებელია მოიჯარადრეები, მაგრამ თუ მუშები კავშირში მჭიდროდ იქნებიან შეკავშირებული, მოიჯარადრეები მათ ვერას დააკლებენ.

ხელფასი

აღმშენებელ მუშების ხელფასი ისეთივეა საშუალოდ, როგორც სხვა მუშების.

თუმცა მარტოხელა მუშებისათვის ხელფასის რაოდენობის გამორკვევა ძალიან ძნელია: იმიტომ, რომ კავშირმა არ იცის ისინი წელიწადში რამდენ დღეს მუშაობენ.

საშუალოდ აღმშენებელი მუშა 8 თვეს მუშაობს მთელ წელიწადში. ამისათვისაც მათთვის სწორი ხელფასის გამომუშავება შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა აღმშენებელი მუშაც იმ პირობებში იქნება, როგორშიაც ქარხნის მუშა.

კულტურული მუშაობა

კულტ მუშაობა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. მთავარი ყურადღება აქ მიქცეული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობაზე.

დღეს კავშირს ჰყავს 1.306 წერა-კითხვის უცოდინარი. რამდენადაც კავშირში შემოდის ახალი ჯგუფი გლეხებისა, რომლებმაც წერა კითხვა არ იციან და კავშირიდან უკან სოფელში ბრუნდება წერა კითხვა შესწავლილები, იმდენად ჩვენ კავშირში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი არ იკლებს.

რასაკვირველია, ძალიან ბევრს კი მუშაობს ამ მხრივ კავშირი.

საკლუბო მუშაობა და წითელ კუთხების საქმიანობა სათანადო სიმაღლეზე იყო.

შრომის დაცვის საკითხებიდან

ამხ. ჯიჯაძის მოხსენება საქართვ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომ.-ის დაცვის განყოფ. მუშაობის შესახებ

რამოდენიმე ხნის წინად შესდგა თათბირი საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო საეკონომიო განყოფილებასთან. თათბირს დაესწრო კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობათა სატ.-საეკ. განყ. გამგეები.

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ჯიჯაძემ.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობის მიმღებმა პირებმა აღნიშნეს ზოგიერთი ნაკლულოვანებები. მთავარ ნაკლად მიჩნეული იქნა ის, რომ შრომის ინსპექცია დღევანდლამდე არ ეწეოდა საფუძვლიან და ღრმა გამოკვლევებს და შრომის დაცვის ყველა საკითხებს არ სწვდებოდა. სასანიტარო და ტეხნიკურმა ინსპექციამ თავიანთ მოთხოვნილებებს უფრო საბოლოო ხასიათი უნდა მისცენ, რომ ერთდა იმავე წამოწყებისათვის არ დასჭირდეს კიდევ ახალი მოთხოვნილების წაყენება, როცა ზედ მეორედ მივა გამომკვლევი პირი.

თათბირმა საჭიროდ სცნო შრომის ინსპექციის ქსელის გაფართოება: თბილისში—სასოფლო სამეურნეო დარგში, ოზურგეთის, ახალციხის, ქიათურის და რაჭის მაზრებში; ბათომსა და ჭიათურაში საჭიროა სანიტარული ინსპექციის დაწესება.

უკეთუ ფულის უქონლობის გამო ბათომში შეუძლებელი იქნება დამოუკიდებელი სანიტარული ინსპექტორის ყოლა, თათბირმა შესაძლებლად სცნო ამ თანამდებობაზე ექიმის ყოლა შეთავსებით.

ამ ბოლო დროს ზედმეტი საათების სამუშაო დრომ ფართო ხასიათი მიიღო. ეს საკითხი კანონმდებლობითი წესით უნდა მოგვარდეს.

თათბირმა მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებში ხშირად შემთხვევებია შრომის კანონების დარღვევა. თათბირმა სთხოვა შრომის სახალხო კომისარიატს მიიღოს სასწრაფო ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად. შრომის დაცვის კომისიებისა და შრომის ინსპექციამ ხელიხელ ჩაკიდებული რომ იმუშაონ, პროფკავშირებმა და შრომის ინსპექციამ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ.

კავშირებმა შუამდგომლობა აღძრეს გადასინჯული იქნეს სპეცტანისამოსების ნორმა, გადიდების მხრივ. ამ საკითხზე თათბირმა აუცილებლად სცნო და მისცა წინადადება კიდეც კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობებს 1926 წ. იანვრისათვის საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკ. განყოფილებაში წარმოადგინონ წერილობით თავიანთი მოსაზრებანი, თუ რა ცვლილებებია საჭირო, რომ შეტანილი იქნეს სპეცტანისამოსის ნორმებში.

თათბირმა წინადადება მისცა შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას წარადგინოს ს. პ. კ. ს. სატარიფო-საეკ. განყოფილებაში თავისი წერილობითი მოსაზრება, თუ რა საშუალებით შესაძლოა, რომ თბილისის მსხვილ საწარმოო წამოწყებებში უკეთეს პირობებში იქნეს ჩამოყენებულ შრომის დაცვა.

თათბირის დადგენილებათ შრომის ინსპექტორებმა დათვალიერების დროს თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე კოლექტიური ხელშეკრულების შესრულებას და, თუ არაა შესრულებული, მიიღონ შესაფერი ზომები.

თათბირმა აუცილებლად სცნო გაძლიერდეს თვალყურისდევნება სამხედრო უწყებასა და საკონცესიო წამოწყებებში.

საკონცესიო წამოწყებებში შედგენილი ოქმები საჭიროა იგზავნებოდეს თავის დროზე საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკ. განყოფილებაში.

შრომის სასამართლოების დადგენილებები ზოგ შემთხვევაში დაჩქარებით არ ტარდება. თათბირმა აუცილებლად სცნო, რომ შრომის სახალხო კომისარიატმა ზომები მიიღოს ამის შესახებაც და მოაწესრიგოს ეს საკითხი.

პროფკავშირელი.

ქრონიკა

ადმახკომში

— **საბინაო გადასახადი.** თბ. ადმახკომის საგადასახადო განყოფილება 20 იანვრისათვის დაამთავრებს საბინაო გადასახადის გაწერას გასული წლის ოქტომბრიდან ამა წლის აპრილამდე.

— **საბჭოთა სახლების შეკეთება.** ადმახკომის საამშენებლო სექციამ გასულ საანგარიშო წელში შეაკეთა 219 საბჭოთა სახლი, რაზედაც დახარჯული იქნა 282.353 მან.

— **ტრამვაის ყველა ხაზებზე** ამ ჟამად მუშაობს 121 რონოდა.

— **ფუნიკულიორი.** გაზაფხულზე შეუდგებიან ფუნიკულიორის საფუძვლიან შეკეთებას.

— **მექანიკური გრდემლი.** ტრამვაის სამმართველომ გადასწყვიტა შეიძინოს მექანიკური გრდემლი.

დამზღვევ სალაროში

— **თბ. დამზღვევ სალაროს** პრეზიდიუმმა დაადგინა პროფსნეულების შემსწავლელ ინსტიტუტს უწოდოს ამხ. კამოს სახელი.

— **რკინის გზებზე** მომუშავე მტვირთველი მუშები გადაირიცხნენ თბ. დამზღვევ სალაროში.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **აგრონომიულ მუშაობის** აღრიცხვის საწარმოებლად მიწათმოქ. სახ. კომისარიატის აგრო-დახმარების ქვე-განყოფილებამ გამოიმუშავა საგანგებო ფურცლები, რომლებიც დაგზავნილი იქნება მაზრებში.

— **აგრო-დახმარება.** თბ. მაზრაში მიმდინარე წელს აგრო-დახმარების საქმეზე დაიხარჯება 60.129 მან.

— **სანერგე.** მიწათმოქ. კომისარიატის ხელმძღვანელობით ჰრებალოში დაარსდა ამერიკული ვაზის სანერგე. ვაზის ლერწს უგზავნის სახალხო მამულების ტრესტი.

ბრძოლა მავნებლებთან

— **მავნებლებთან ბრძოლის** ბიურომ საზღვარგარეთიდან მიიღო მავნებლების საწინააღმდეგო ბრძოლისათვის ქიმიური მასალები და ხელსაწყოები.

— **ზამთრისა და სიცივეების** გამო მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა ამჟამად თითქმის ყველგან შეჩერებულია. ბრძოლა დაიწყება თებერვლიდან.

სხვადასხვა

— **ფულის გადაგზავნა.** 1 იანვრიდან საბჭოთა კავშირიდან ესტონეთში გადასაგზავნი ფული არ უნდა აღემატებოდეს 194 მანეთს.

— **განათლების კომისარიატი** შეუდგა ახალ პროგრამების შემუშავებას 9 წლედების უკანასკნელ ჯგუფებისათვის ახალ გადახრის (სამრეწველო, სას.-სამეურნეო და სხ.) მიხედვით.

— **ხვალ, ხუთშაბათს, 14 იანვარს,** დილით დაბა ზესტაფონში გაიხსნება ქუთაისის ოლქის სახალხო სასამართლოს სესიის სხდომები. სესია სხვათა შორის განიხილავს საყურადღებო საქმეს. პასუხის გებაში მიცემული შორაპნის მაზრის სახალხო განათლების პროფკავშირის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი შალვა ნესტორის ძე დევიძე. მას ბრალდება ხელით და სიტყვით შეურაცხყოფის მიყენება და სამჯერ ტყვიის სროლით მოკვლის განზრახვა თბილისის ადმახკომის თანამშრომლის ქაიხოსრო ქავთარაძისა. ქ. ქავთარაძე წასულ 1924 წლის 28 დეკემბერს ბრუნდებოდა საჩხერის რაიონის სოფელ ივანწმინდიდან სანოვაგით დატვირთული ურმით, როდესაც ქავთარაძე სახრის ცემით ხარებისათვის შეუტევია ამ ლექსით: „ჰ ამო, ჩფეი, რავა მენშევიკებივით მიიზლაზნებითო" დევიძეს მისთვის დედა შეუგინებია ხამჯერ რევოლვერი უსვრია და ორჯერ მხეცური გამეტებით სახეში ხელი დაურტყამს და ერთი თვალი დაუშავებია. ამ საქმის გამო გამოწვეულნი არიან მოწმები 10 კაცამდე.

შემთხვევები.

— **თავის მოწამვლა.** 11 იან. ჩუღურეთის შეს. № 3. თავი მოიწამლა დარო კაპულაშვილმა რომელიც გადაიგზავნა სასწრაფოდ საავადმყოფოში.

— **შეპყრობა.** 11 იანვარს შეიპყრეს ალიოევი ქურდობისათვის.

— იმავე დღეს შეიპყრეს [illegible] გვიაძე, რომელმაც პროფ. თიკანაძეს გაუგზავნა მუქარის წერილი ფულის მოთხოვნით.

— იმავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს ვინმე ჩერნოვი.

— **წამლების ქურდი.** 11 იან. შეიპყრეს რკ. გზ. საავადმყოფოს დარაჯი წითლიძე, რომელსაც ბრალდება საავადმყოფოდან ერთი ტაშტი წამლეულობის მოპარვა.

— **ქურდობა.** 11 იან. დავიდოვის ქ. № 17 გაქურდეს მარიამ მაჭარაშვილის ბინა.

— ამავე დღეს ანტონოვის ქ. № 2 გაქურდეს პაპიროსის მოვაჭრე გეურქ თუმანიანცი.

— ამავე დღეს პლეხ. პრ. № 128 მუშკოპის მაღაზიიდან სიმონ [illegible] მოპარეს 58 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული რჩევა-დარიგება

მეკუთვნის თუ არა შეღავათები

კითხვა

ვარ უმუშევარი, კავშირის წევრი, მაგრამ დაზღვეული არა ვარ, დახმარება უმუშევრობის გამო, როგორც კავშირის წევრს, მეძლევა მხოლოდ კავშირიდან. არსებობის სხვა რაიმე წყარო არ გამაჩნია.

გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო, რათა მეც მომეცეს ბინის ქირის, კომუნალური სამსახურის ხარჯების და გადასახადთა შეტანის შეღავათები.

ყოფ. ფეიქარი.

პასუხი

თანახმად ს.ს.რ. კავ. შრომის სახკომატის, ს.ს. პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს და ს.ს რ.კ. ფინანსთა სახკომატის 1924 წლის 4 აგვისტოს დადგენილებისა, აღნიშნული შეღავათები თქვენ მოგეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენ ნამდვილად საჭიროებთ შეღავათებს და იმ პირობით, თუ თქვენი საცხოვრებელი სახსარი იყო დაქირავებითი მუშაობა და ამჟამად არა გაქვთ არავითარი სხვა შემოსავალი და არც იმყოფებით დამოუკიდებელ ხელფასის და შემოსავლის მქონე პირის ხარჯზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 5

საქართველოს საგანგებო კომისიისა

§ 1

საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის ტარების და შენახვის ნებართვები, რომელიც გაცემული იყო დღემდის ამ ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, გაუქმებულად ითვლება.

§ 2

ყველა მოქალაქეებს და აგრეთვე სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც იარაღი აქვთ თავიანთ თანამშრომლებისათვის (კასირების, არტელშჩიკების, კონტროლიორების, ძვირფას ნივთების მზიდველ აგენტებისათვის) მისაცემად სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს, ვალდებული არიან მათ განკარგულებაში არსებული იარაღი გაატარონ რეგისტრაციაში საქართველოს საგანგებო კომისიაში და უკანასკნელისაგან მიიღონ იარაღის ტარების და შენახვის სათანადო ნებართვები.

§ 3.

იარაღის რეგისტრაცია საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა აჭარისტანის და აფხაზეთისა, სწარმოებს საქ. საგანგებო კომისიის კომენდანტის მიერ ამ ბრძანების გამოქვეყნების დღიდან 1926 წ. 15 მარტამდე.

შენიშვნა: აჭარისტანის და აფხაზეთის მოქალაქეთა იარაღის რეგისტრაცია [illegible] ხდება აჭარისტანის და აფხაზეთის საგანგებო კომისიებში.

§ 4.

ის პირნი, რომლებიც იარაღს არ გაატარებენ რეგისტრაციაში აღნიშნულ ვადაზე, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული იარაღის უკანონოთ შენახვისათვის.

საქ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე —კვანტალიანი.

საქ. საგანგ. კომისიის ოპერატ. ადმინისტრ. ნაწილის უფროსი— სტანსკი.

ქ. თბილისი, 1926 წ. 9 იანვარი.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისეთა საზოგადოებათათვის შეღავათების მინიჭების შესახებ—მათ განკარგულებაში შენობების გადაცემით, მათვისვე ხე-ტყის მიცემით, შენობისათვის მიწის ნაკვეთებისა, ბაქანებისა და სხვა ამისთ. რამის მიჩენით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისეთა საზოგადოებას, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, მიეცემა უსასყიდლოთ ამ საზოგადოების თხოვნისამებრ, რომელიც დადასტურებულ უნდა იქნეს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი სათანადო კომიტეტის მიერ, შენობა, მიწის ნაკვეთი, პლიაჟი, საბანაო, ბაქანი, ზღვისა და მდინარის სანაპირო ბულვარი და ბაღი, რაც ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაშია და რაც საჭირო იქნება ხსენებული საზოგადოებისათვის დასახული მიზნის მისაღწევად.

2. უკეთუ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი უარს ეტყვის წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისეთა საზოგადოებას შენობისა ან ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სხვა საგნის მიცემაზე საზოგადოებას უფლება აქვს განისაჩივროს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საამისოდ არსებული წესისამებრ.

3. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისეთა საზოგადოებას, თანახმად მისი თხოვნისა, რომელიც დადასტურებულ უნდა იქნეს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი სათანადო კომიტეტის მიერ, სატყეო მეურნეობის გამგე ადგილობრივი ორგანოები მისცემენ საშეღავათო პირობებში ხე-ტყეს რაც საჭირო იქნება ნავებისა, ბირჟებისა, ნავთსადგურებისა და სხვა ამისთ. რამის მოსაწყობად.

საქართველოს სოც.საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. იანვრის 11

თბილისი-სასახლე

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საბინაო კოოპერაციისათვის ხე-ტყის მასალის საშეღავათო წესით მიცემის შესახებ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1. საბინაო კოოპერაციისათვის სათანადო დახმარების აღმოსაჩენად ხე-ტყის მასალა მიეცემა მას შეღავათით. ამ მასალის რაოდენობა განისაზღვრება ქვემოდ აღნიშნული წესით, ხოლო 1925—26 წლისათვის იგი არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ მილიონ კუბიკურ ფუტსა

2. მთელი წლის განმავლობაში საჭირო ხე-ტყის მასალის რაოდენობის შესახებ საბინაო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი წარადგენს დასაბუთებულ განცხადებას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, სადაც ეს საკითხი გადასწყდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, სატყეო ტრესტის, საბინაო კოოპერატივების ცენტრალური კავშირისა და ამავე კოოპერაციის დამხმარე რესპუბლიკანური კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

3. საჭირო ხე-ტყის მასალას კოოპერაცია მიიღებს სატყეო ტრესტისაგან, ხოლო სატყეო ტრესტს შეუძლიან ესა თუ ის მოსაჭრელი ტყის ნაკვეთი დასამუშავებლად თვით კოოპერაციას გადასცეს.

4. გაცემული ხე-ტყის მასალისათვის სატყეო ტრესტი გადაახდევინებს კოოპერაციას თვითღირებულებას სამორე ფასის გამოკლებით და, ამის გარდა, ტყის სამრეწველო ფონდის შესაქმნელად თვითღირებულების 5 პროცენტს. რაც შეეხება სამორე ფასს, ტრესტი მიაწვდის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ცნობებს, კალკულაციის თანახმად იმის შესახებ, თუ რამდენი სამორე ფასი შედის გაცემული მასალის ღირებულებაში. ამ ცნობის მიხედვით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გადაახდევინებს საბინაო კოოპერაციას წინასწარ ამ სამორე ფასის 25 პროცენტს, დანარჩენ 75 პროცენტს კი ვალად ჩაუთვლის კოოპერაციას.

5. საბინაო კოოპერატივებისათვის მიცემული ხე-ტყის მასალის ანგარიშს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და სატყეო ტრესტი გაასწორებენ საბინაო კოოპერატივების ცენტრალურ კავშირთან.

6. სამორე ფასის აღნიშნული 75 პროცენტი კოოპერაციას ვალად ჩაერიცხება 8 წლის ვადით და ამ ვალს კოოპერაცია გადაიხდის თანასწორ ნაწილებად, მეორე წლიდან დაწყებული, ამ ვალის პროცენტს კოოპერაცია არ გადაიხდის.

7. აღნიშნული მასალის მოხმარება არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ აკრძალულია და ამის დამრღვევი პასუხისგებაში მიეცემა სისხლის სამართლის წესისამებრ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. იანვრის 11

თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 11.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

5 იანვარი 1926 წელი.

„დაზღვევის წიგნაკების ახალი ფორმის შემოღების შესახებ".

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებული იქნეს დაზღვევის წიგნაკის ახალი ფორმა.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადო, კოოპერატიულ და კერძო წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთ, არა უგვიანეს ორი კვირისა თბილისში, ხოლო პროვინციაში არა უგვიანეს ერთი თვისა, თვიდან ამა დადგენილების გამოცემისა, წარმოადგინონ დამზღვევ კასაში თანამშრომელთა სრული სია. სიაში აღნიშნული უნდა იქნეს თანამშრომლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დროებითი მომუშავეა თუ შტატში ირიცხება და მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრები.

3. წინადადება ეძლევა დამზღვევ კასებს სიების მიღებისთანავე დაურიგოს წარმოება-დაწესებულებებს დაზღვევის წიგნაკები შესავსებლად.

4. დაზღვევის წიგნაკების სისწორით და ყველა საჭირო ცნობებით შევსება და დამზღვევ კასაში დასამტკიცებლად წარდგენა, უნდა მოხდეს შრომის სახ. კომისარიატის მიერ ა. წ. 5 იანვრის თარიღით და 10 №-ით გამოცემულ დადგენილების მე-2-ე მუხლის თანახმად, წარმოება-დაწესებულებების მიერ გამოყოფილ სპეციალურ პირის საშუალებით და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ.

5. წარმოება-დაწესებულებებს ევალებათ ყოველთვიურად აღნიშნონ დაზღვევის წიგნაკში, სათანადო ხელმოწერით და ბეჭდის დასმით, რომ ესა თუ ის პირი ნამდვილად განაგრძობს მუშაობას (სამსახურს).

6. დადგენილება ესა ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. შრომის სახალხო კომისარი: **მიქაძე.**

რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს უფროსი: **გოგიბერიძე.**

შეთანხმებულია: ს. პ. კ. საბჭოს პასუხისმგებელ მდივნის **მაგ. მაჩაიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ცეკას შენობაში შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის** სხდომა, რომელზედაც დასწრება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა:

1. სვანიძე (ს. კ. პ. (ბ) თბილ. კომიტ.), 2. ყურულაშვილი, 3. ფანცხავა (ს. პ. კ. ს.), 4. მირიმანოვი, 5. ხაცკევიჩი, 6. ლიცინოვი, 7. ბახტაძე, 8. ციხელაშვილი ს. კ. პ. (ბ); 9. მურავიოვი (ს. კ. პ. ა|კ. საოლქო კომიტ.); 10. ინსტრუქტორები ს. კ. პ. ა|კ. საოლქო კომიტეტისა; 11. გეორგაძე (ც. კ. ქალთა განყ.); 12. ინსტრუქტორები ც. კ. ქალთა განყოფილებისა; 13. დარახველიძე, 14. გეურქოვი (ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ.); 15. აღნიაშვილი, 16. ბლუაშვილი (ქართ. უნივ. პოლიტგან.); 17. პეტროვი (ჯარიდან); 18. აფციაური (შინსახკომი), მოწვეულია აგრეთვე ამხ. მათიკაშვილი (შინ. საქ. სახ. კომისარი).

ს. კ. პ. (ბ) ცეკას საორგან. განყ. მდივანი: ცაგარელი.

— დღეს, 13 იანვარს, დილის 10 საათზე, თ. კ. ბინაზე, თბილისის კომიტეტთან შესდგება **საორგანიზაციო თათბირი**.

დასწრება სავალდებულოა თათბირის ყველა წევრებისათვის.

თ. კ. მდივანი—**ნ. სვანიძე.**

— დღეს, იანვრის 13-ს, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. ც. კ.-ის შენობაში (ოთახი № 17) დანიშნულია **„წერკუმსის" ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.** უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ. ამხ.: მუშიშვილი, ნერსესოვი, ენუქიძე აკ., (2 რაიკომი), ლომაძე (პოლიტგან), აგაბოვი, ხუნდაძე ტროფიმე, (გან. კავ.) და სუხიშვილი ვასო (1 რაიკომი).

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 1926 წლ. 13 იანვარს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის ბინაზე შესდგება მეორე რაიონის შემდეგი უჯრედების კრება:

1. ტრამვაის, 2. არსენალის, 3. 26 კომუნარის ქარხნის, 4. თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის, 5. მექანიკური სახელოსნო ქარხნის, 6. ელექტრიკის და 7. „ავტოპრომტორგის".

დღის წესრიგში სდგას:

1) ამხ. კახიანის მოხსენება — **საკავშირო კომპარტიის მეთოთხმეტე პარტყრილობის შედეგების შესახებ.**

სავალდებულოა საქართ. კომპარტიის ზემოდ დასახელებული უჯრედების ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად.

მდივნის მოადგილე წითლიძე.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის ახ. ლენ. კ. კ. ბიუროკოლექტივი ამით აცხადებს წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს, 14 იანვარს, დღის 4 საათზე, შესდგება გაერთიანებული უჯრედების მორიგი კრება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 1926 წლის 13 იანვარს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მეორე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა.

ყველა ამხანაგები, რომელთა ანკეტები, როგორც მიღების, ისე წევრთა გადარიცხვის შესახებ შემოტანილია რაიკომში და დამტკიცებულია სადელეგატო კრების მიერ 1 იანვრამდე, ვალდებული არიან გამოცხადდენ მიღებაზე და წევრათ გადაყვანაზე დაუგვიანებლად.

მდივანი—ფანცულაია

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს—განათლების მუშაკთა № 33 უჯრედის წევრებს—გამოცხადდენ დღეს, 13 იანვარს, დილის 11 საათზე რაიკომში ამხ. რონზანთან.

1. პავლენკო ნეონილა, 2. მაჭავარიანი, 3. სალაყაია დავით.

მდივნის მოადგილე წითლიძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა დიასახლის-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 13 იანვარს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში შესდგება მეორე რაიონის დიასახლისთა საერთო კრება.

დღის წესრიგში სდგას:

1. ამხ. ნარიმანოვის მოხსენება.

სავალდებულოა ყველა დიასახლისების დასწრება დაუგვიანებლად.

მდივნის მოადგილე წითლიძე.

განცხადებები

[illegible] მეუღლე—სოფიო რაფიელის ასული, შვილები: შალვა, დავით, თამარ, თინა და ქეთო; დები—მართა და ლიდა; სიძე—სავლე დევდარიანი; რძლები: ანტონინა და ნინა აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და დაუვიწყარი

ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე იქნება ცალკე გამოცხადებული.

ნ. 1—1

თბილისში მცხოვრებ ხაოგულის რაიონის მკვიდრთა დროებითი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 11 იანვარს, ღამით გარდაიცვალა დამსახურებული მოღვაწე და პედაგოგი

ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი

ნ. 1—1

საყვარელი ბაბუასაგან უდროოდ მიტოვებული პატარები: თერიკო და ცირა დევდარიანები, ლელიკო, ციალა და რაფო თაბუკაშვილები აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი

ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილის

გარდაცვალებას. ნ. 1—1

გულჩათუთქული მეუღლე მარიამ იოსების ასული ფუხაშვილისა თავისი შვილებით—ირაკლით და ეთერით, სიდედრი ეკატერინე ალექსის ასული ძიძე ჩხეიძისა, ცოლისდები: ქვრივი ბარბალე იოსების ასული ფირალაშვილი შვილიშვილებით—თამარით და ნადეჟდათი, ალექსანდრა იოსების ასული ფიცხელაურისა, ნინა იოსების ასული კანდელაკისა თავისი ქმრებით, უღრმესი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ შაბათს, 9 იანვარს, ნაშუადღევის 2 ს. 45 წ., ჭავჭავაძის ქუჩაზე, სახლი № 20, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის—დაუვიწყარი ნუგეში ქმარი, მხოლოდ დანარჩენების უძვირფასესი და საყვარელი სიძე

ექიმი ივანე იოსების ძე ფუხაშვილი

ნეშთის გამოსვენება ჭავჭავ. ქ., 20, ხუთშაბათს, 14 იანვარს, ნაშუადღევის 3 ნახ. ს. ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, სადაც მოხდება დაკრძალვა. 1137 2—1

გულმოკლული მშობლები ილარიონ და პიოსალავა წერეთლები შვილებით: კონსტანტინე, ვერა, ივანე, გრიშა, ივლიტა, ლადუშა, რძლები: მარიამი და ოლია, შვილის-შვილებით: დათუნა და ნათელიკო, დეიდა დარიკო წერეთლისა, დეიდაშვილი ვალოდია და სიძე ამბერკი ორჯონიკიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე გარდაიცვალა მათი უძვირფასესი, საყვარელი და დაუვიწყარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი

ქეთევან (მაყვალა) ილარიონის ასული წერეთელი

გამოსვენება, 13 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ქ. № 97, დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1141 1—1

გულმოკლული შვილები—პავლე ცოლ-შვილით, ანიჩკა, ლიზა აბესაძისა—ქმარითა და შვილებით, ნინა და დომინიკა, ძმები: რაფიელი და სანდრო ცოლშვილით და რძალი ქვრივი სონა ლეჟავასი შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ჭიათურაში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კრიმონ დარისპანის ძე ლეჟავა

დაკრძალვა მოხდება ა. | წ. იანვრის 13-ს ქ. ჭიათურაში საგვარეულო სასაფლაოზე. ნ. 582 1—1

აპოლლო ართისტიკო სოლეი

ნ. 574 0—9

სეზონის საუკეთესო სურათი

დოროტი დალტონის მონაწილეობით

იუკონის ნაპირებზე

პირველი სეანსის დაწყებამდე: პარტერი—35 კ., ამფიტეატ—25 კ., მე-4 ად.—20 კ.

პრემიერა

„სიყვარულის თვალები"

სოლოს სკრიპკაზე შეასრულებს იაკობ ბროდსკი

განსაკუთრებული წარმატების გამო გაგრძელებულია სურათის

„ორი პრეტენდენტის" ჩვენება

მერი პიკფორდის მონაწილეობით. ჩვენების უკანასკნელი დღეები.

ანონსი: სამშაბათიდან, 19 იანვრიდან

ვინ არის დამნაშავე? (მხედარი უაილდ ვესტიდან)

რუსთაველის თეატრი: ხუთშაბათს, 14 იანვარს

ქართულად ოპერა

„ფარული ქორწინება"

დგამს საოპერო სტუდია

შაბათს, 16 იანვარს

პირველად ამ სეზონში

გმირი

კვირას, 17 იანვარს

დეზერტირკა

ნ. 573 6—2

სახელმწიფო ოპერა დღეს, 13 იანვარს

მეოთხედ **„ტრილბი"** მეოთხედ

ბოკოვას, ისეცკის, ვენაძის, სინიცკის და სხვ. მონაწილეობით

ხუთშაბათს, 14 იანვარს **ფაუსტი**

ვალპურგიის ღამით

პარასკევს, 15 იანვარს სანდრო ინაშვილის მონაწილეობით **„აბესალომ და ეთერი"**

შაბათს, 16 იანვარს პრემიერა **„რუსლან და ლიუდმილა"**

ნ. 578 4—1

წითელი თეატრი დღეს, 13 იანვარს,

შილლერი

ყაჩაღები

ტრაგ. 6 სურათად

დადგმა ვახტ. გარრიკის დეკორაციები—ზდანევიჩის

დასაწყისი საღამოს 8 საათ. ნ. 583 1—1

გაზეთ **„კომუნისტი"-ს** მთავარ

კანტორისათვის

საჭიროა ქართულ-რუსულ მანქანაზე კარგად

მბეჭდავი ქალი

პირობების გაგება შეიძლება მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 24, მეორე სართული) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

მთავარი კანტორა.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—21

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

— გამგეობა —

აცხადებს, სტუდენტთა საყურადღებოდ

რომ კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდების (ზამთრის) სესია გრძელდება 1-დან 15 თებერვლამდე. აღნიშნულ სესიაში გამოცდის ჩაბარების მსურველნი ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლად 27 იანვრამდე.

ნ. 560—3—1

ამიერ-კავკასიის სახელმ. შრომის შემნახველი მთავარი სალარო

გადავიდა სოლოლაკის ქ. № 12

რუსთაველის პროსპექტზე № 19

(რუსთველის თეატრის გვერდით)

9 იანვრიდან ოპერაციები იწარმოებს ახალ შენობაში.

სალარო იძლევა ანაბარებზე 8—9 პროცენტს.

აწარმოებს ანაბარების, სესხების, აკრედიტულ, საამანათო და სხვა საბანკო ოპერაციებს.

ანაბარები ინახება სავსებით საიდუმლოთ

ნ. 556—3—2

თესლები სასოფლო-სამეურნეო, ბოსტნეულის, ყვავილების და სხ. მაღალი ღირებისა

1926 წლის კატალოგი დაიბეჭდა

და იგზავნება უფასოთ მოთხოვნილებისამებრ

სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის „Сельско-союз"-ის თესლის მაღაზია.

1-1 ნ. 581 მოსკოვი, სვერდლოვის მოედანი, № 3

ხელისმომწერლებმა

[illegible] ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

ჯანსახკომისარიატი

იწვევს მსურველებს მიიღონ მონაწილეობა

საჯარო ვაჭრობაში

8000 ფუთი ყინულის ჩაბარების შესახებ, რომელიც დანიშნულია შაბათს, ა.-წ. 16 იანვარს, დღის 12 საათზე, ჯ.ს.კ. საფინანსო-სამეურნეო განყოფილებაში (საპიორის ქ., № 30).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ჯ.ს.კ. ფინგანყოფილებაში, დღ. 12—3 საათამდე

1-1 ნ. 579 **ფინგანყოფილება**

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ [illegible] ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით სპენიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ., 5—8 საღ. ზუბალოვის ქუჩა, № 23.

ექ. ე. მ. **მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღ. და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთველის პროსპექტი № 18—10 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკაი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტთა კორპ. უკან.

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევას აძლევს. ყოფ. კლისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

(ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძმლიძის ქუჩა (ყოფილი საპიორის) № 32. 25—1

ექიმი **გ. ნ. მამაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი **არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას

დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართ: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზომა (ჩაბლის ზემელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდის-დინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავებით თანამედროვე მეთოდებით და სხვ. ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, [illegible] კოდევნის მოედანზე მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

გოლოვინის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **პ. ი. ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914"

ნორის და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ. საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

1138 25—1

დაიკარგა პასპორტი № 91822 მიცემული მეთე უბნის სამმართველოდან აგრაფინა ბაციაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1136 1—1

დაიკარგა პასპორტი და ქორწინების მოწმობა № 547 ლიუბა კობაიანოვის სახელზე, ჩ. გ. 1135 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1549 ალექსანდრე ეჯიანის სახელზე, ჩ. გ. 1134 1—1

დაიკარგა კავშირის წევრობის მოწმობა № 5369 და პარტიის კანდიდატობის მოწმობა № 11134 ვასილ გოგუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 586 1—1

დაიკარგა მეჩექმეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1362 ავთანდილ ოკაკის ძე ლაშაის სახელზე, ჩ. გ. 1139 1—1

დაიკარგა მუშკომის საწევრო წიგნაკი № 5004 თამარ გრიგოლის ასული ბეჟანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1132 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 38782 ალექსანდრე კილაძეს სახელზე, ჩ. გ. 1133 1—1

დაიკარგა სახლის წიგნაკი № 723 პრონიშვილის შეს. № 21 სახლი მათიაშვილისა, ჩ. გ. 1142 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 40403 თევდორე რამაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. უფ. 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამ. წულუკიძის ქუჩა № 4